

მიმართულება: კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა

დოქტორანტი: სოფიკო კანდელაკი

სადოქტორო ნაშრომი მედიცინის აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

## ანდროგენების როლი შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული მეტაბოლური დარღვევების კორექციაში.

(ექსპერიმენტული კვლევა)

ხელმძღვანელები:

ნელი დიდებულიძე - ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

დიმიტრი კორძაია - პროფ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

თბილისი, 2017

## სარჩევი

<b>I. შესავალი</b> .....	3
აქტუალობა .....	3
<i>შაქრიანი დიაბეტი, როგორც მსოფლიო ჯანდაცვის პრობლემა</i> .....	3
<i>შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის თავისებურებანი</i> .....	7
<i>ანდროგენები შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში</i> .....	9
კვლევის ჰიპოთეზა .....	12
კვლევის მიზანი .....	12
კვლევის ამოცანები .....	12
მეცნიერული სიახლე .....	13
დასაცავად გამოსატანი დებულებები .....	14
პრაქტიკული რეკომენდაციები .....	14
<b>II. ლიტერატურის მიმოხილვა</b> .....	15
დიაბეტი, როგორც სამედიცინო, ბიოლოგიური, ჯანდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა .....	15
შაქრიან დიაბეტთან და მის გართულებებთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები .....	21
ტესტოსტერონის როლი შაქრიანი დიაბეტის მართვაში .....	25
შაქრიანი დიაბეტის პათოგენეზისა და სანოგენეზის მექანიზმების თაობაზე .....	41
სასქესო სტეროიდული ჰორმონების რეცეპტორები და მათი გამოკვლევის მეთოდები .....	49
ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობრივი შეფასებისათვის სამიზნე ორგანოს იმუნოჰისტოქიმიური კვლევა .....	52
<b>III. მასალა და მეთოდები</b> .....	55
<b>IV. შედეგები და განსჯა</b> .....	64
პანკრეასისა და ღვიძლის ქსოვილის მორფოლოგიური ცვლილებები ალოქსანური დიაბეტის დინამიკაში და მისი მეთილტრიენოლონით	

მკურნალობის შემდეგ .....	66
ბიოქიმიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური ცვლილებები ალოქსანური დიაბეტის დინამიკაში და მისი მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ .....	75
V. შეჯამება .....	88
VI. დასკვნები .....	96
დანართი .....	98
რეზიუმე ინგლისურ ენაზე .....	99
გამოყენებული ლიტერატურა .....	115

## შესავალი

### აქტუალურობა

#### შაქრიანი დიაბეტი, როგორც მსოფლიო ჯანდაცვის პრობლემა

შაქრიანი დიაბეტი ინსულინის აბსოლუტური დეფიციტით ან ინსულინის მიმართ რეზისტენტობით გამოწვეული ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ორგანიზმში მთელ რიგ მეტაბოლურ ძვრებს იწვევს. მისთვის დამახასიათებელია ქრონიკული ჰიპერგლიკემია, რომელსაც ნახშირწყლების, ცხიმის და პროტეინების დისმეტაბოლიზმი ერწყმის. დაავადება ადრეულ სტადიაზე, ხშირად, გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევით ვლინდება, მოგვიანებით კი ვითარდება სხვადასხვა ორგანოს შეუქცევადი ქრონიკული დაზიანებები. შაქრიანი დიაბეტის მიმართ განსაკუთრებით მგძნობიარეა თირკმელი, თვალი, გული და სისხლძარღვები, ღვიძლი (Haligur et al., 2012). ამ ორგანოთა დაზიანება კი, თავის მხრივ, ისეთი გართულებების მიზეზი ხდება, როგორცაა, მაგალითად, გულის იშემიური დაავადება, თავის ტვინის ინსულტი, კიდურების განგრენა, სქესობრივი (ერექციული) დისფუნქცია და სხვა (Kaul et al., 2013; Peters et al., 2014; Peters et al., 2014; Maiorino et al., 2014; Bowling et al., 2015).

დღეისათვის განიხილავენ შაქრიანი დიაბეტის ორ ფორმას: „შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1“ და „შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2“. პირველი მათგანი ვითარდება β-უჯრედების აუტოიმუნური დაზიანების გამო, რაც, როგორც წესი, იწვევს ინსულინის აბსოლუტურ დეფიციტს; შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 კი ხასიათდება β-უჯრედების მიერ ინსულინის სეკრეციის პროგრესული კლებით, რაც ხშირად ვითარდება ინსულინრეზისტენტობის ფონზე (Standards of Medical Care in Diabetes – 2017 – American Diabetes Association).

ბოლო ოთხი ათწლეულის მანძილზე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის გავრცელებამ მკვეთრად იმატა (Steinbrook R., 2006). ნავარაუდებია, რომ 2030

წლისთვის დიაბეტით დაავადებულთა რაოდენობა 500 მილიონს გადააჭარბებს (Vetere et al., 2014).

შაქრიანი დიაბეტით ავადობის ტენდენცია განუხრელად იზრდება საქართველოშიც. ასე, მაგალითად, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2014 წელს ინცინდენტობის მაჩვენებელი 1000 მოსახლეზე წინა წელთან შედარებით 1,4-ჯერ იყო მომატებული და 586,5-ს შეადგენდა.

მიჩნეულია, რომ შაქრიანი დიაბეტის სიხშირის მკვეთრი მატება არის ბოლო 5 ათწლეულის განმავლობაში ჭარბი წონისა და სიმსუქნის მკვეთრი მატების პირდაპირი შედეგი (Parikh et al., 2007). ამერიკის შეერთებულ შტატებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 აღენიშნება 65 წლის ზემოთ მამაკაცთა ერთ მესამედს (Cowie et al., 2010). შაქრიანი დიაბეტის გავრცელების სიხშირე ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში მეტ-ნაკლებად თანაბარია და შეადგენს 6,6-6,9%-ს (Shaw et al., 2010). შემდეგი 20 წლის განმავლობაში, მიუხედავად არსებული და დაგეგმილი „ანტიდიაბეტური“ პროგრამებისა, ამ ქვეყნებში ნავარაუდებია შაქრიანი დიაბეტის შემთხვევათა 20%-ით მატება; განვითარებად ქვეყნებში კი შაქრიანი დიაბეტის შემთხვევათა მატებას 69%-ით ვარაუდობენ (Shaw et al., 2010).

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პოპულაციებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პროცენტული ზრდა შესაბამისად იწვევს როგორც თვით ამ პათოლოგიის, ასევე ამ პათოლოგიით გამოწვეული გართულებების მკურნალობის ხარჯების ზრდასაც. ამიტომ დღეისათვის შაქრიანი დიაბეტი განიხილება არა როგორც მხოლოდ სამედიცინო-ბიოლოგიური, არამედ როგორც სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაც (Standards of Medical Care in Diabetes – 2017 –American Diabetes Association).

მიუხედავად იმისა, რომ შაქრიანი დიაბეტი წარმოადგენს მსოფლიოში ავადობისა და სიკვდილობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, მიჩნეულია, რომ მისი

„ტვირთის“ მატება არ არის თანხვედნილი მისი მკურნალობისადმი მიმართული ადეკვატური (ტოლფარდი) ძალისხმევით (Vetere et al., 2014).

შაქრიანი დიაბეტი მჭიდრო კავშირშია მეტაბოლურ სინდრომთან. შემცირებული ფიზიკური აქტივობა და არასწორი (დაუბალანსებელი) კვება სიმსუქნის ხელშემწყობი ფაქტორია. მომატებული ცხიმი, განსაკუთრებით კი ვისცერალური ცხიმის გაზრდილი მასა, მიჩნეულია შაქრიანი დიაბეტის განვითარების მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორად. სიმსუქნე ეპიდემიასავით ვრცელდება მთელს მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში მამაკაცების 63% და ქალების 55% ჭარბწონიანად ითვლება. ჭარბწონიანთა 22%-ის სხეულის მასის ინდექსი 30 კგ/მ<sup>2</sup>-ზე მეტია, ამასთანავე, და რაც განსაკუთრებით საგანგაშოა, ხასიათდება სწრაფი მატების ტენდენციით (Ogden et al., 2006).

შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მეტაბოლური სინდრომი, რომლის ძირითად კომპონენტს ინსულინრეზისტენტობა წარმოადგენს, უკვე აღენიშნება მოზარდების 4,5%-ს (Ford et al., 2008).

ჭარბი წონა, შაქრიანი დიაბეტის გარდა, იწვევს და/ან ხელს უწყობს ისეთი დაავადებების განვითარებას, როგორცაა არტერიული ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ნაღვლის ბუშტის დაზიანება, ავთვისებიანი სიმსივნეები, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადება (ართრიტი). ზრდასრულ ჭარბწონიანთა 80%-ს აღენიშნება ჭარბ წონასთან დაკავშირებული ერთი დაავადება მაინც, ხოლო 40%-ს ორი ან მეტი დაავადება (Janssen et al., 2007).

შაქრიანი დიაბეტის განვითარება ასევე კავშირშია სასქესო და გონადოტროპული ჰორმონების პროდუქციასა და მეტაბოლიზმთან, აგრეთვე იმ სამკურნალწამლო საშუალებებთან, რომლებიც აძლიერებენ ან თრგუნავენ სასქესო ჰორმონების მოქმედებას. ამის გათვალისწინება აუცილებელია იმ სამედიცინო პერსონალისთვის, რომელიც ნიშნავს ჰორმონების გამოყენებას კონტრაცეპციისთვის ან ჩანაცვლებითი თერაპიის მიზნით (Mauvais-Jarvis F., 2011).

შაქრიანი დიაბეტის განვითარების დამატებითი რისკ-ფაქტორია ხანდაზმული ასაკიც (Chew et al., 2013).

მსოფლიოში მატულობს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის სიხშირეც (Dabelea et al., 2014; Atkinson et al., 2014). ამის ერთ-ერთ მიზეზად, შეიძლება მიჩნეული იყოს გარემო ტოქსინები (მძიმე მეტალები, სხვადასხვა წარმოებასთან დაკავშირებული ქიმიური ნივთიერებები), ასევე, აუტოიმუნური პათოლოგიები, წამლისმიერი გართულებები (Bodin et al., 2015; Rewers et al., 2016; Standards of Medical Care in Diabetes – 2017 –American Diabetes Association), რომლებიც იწვევს პანკრეასის კუნძულების  $\beta$ -უჯრედების დაზიანებას (ნეკროზს და/ან აპოპტოზს) და შესაბამისად, ინსულინის დეფიციტისა და ჰიპერგლიკემიის განვითარებას (Rewers et al., 2016). აღნიშნული მიზეზის გამო ბევრი მკვლევარი აწარმოებს დიაბეტი ტიპი 1-ის დროს  $\beta$ -უჯრედების დაცვისა და/ან რეგენერაციის შესაძლებლობების კვლევას (Karaca et al., 2010; Sun et al., 2012; Vetere and et al., 2014). ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დიაბეტი ტიპი 1-საც ახლავს სხვადასხვა ხარისხით გამოხატული საერთო დისმეტაბოლიზმი, რაც განაპირობებს სხვადასხვა სისტემებში და ორგანოებში პათოლოგიური ცვლილებების განვითარებას და საერთო კლინიკური სურათის დამძიმებას (Forbes et al., 2013; Duran-Salgado et al., 2014; Boer et al., 2014; Simo et al., 2014; Atkinson et al., 2015).

რადგანაც პანკრეასის  $\beta$ -უჯრედები წარმოადგენს ორივე ტიპის შაქრიანი დიაბეტის პათოგენეზის ცენტრალურ კომპონენტს, გლუკოზის ჰომეოსტაზის კორექცია  $\beta$ -უჯრედების დაცვისა და ფუნქციის შენარჩუნების (გაუმჯობესების) გზით დიაბეტის მართვის ოპტიმიზაციისაკენ მიმართული კვლევების სტრატეგიულ ამოცანად მიიჩნევა (Vetere et al., 2014).

პანკრეასის  $\beta$ -უჯრედების დაზიანების პრევენციისა და რეგენერაციის შესაძლებლობების, ისევე, როგორც შაქრიანი დიაბეტის რისკ-ფაქტორების

პრევენციისა და კორექციის შესაძლებლობების, მაქსიმალურად გამოვლენა მნიშვნელოვანია შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური, ინტეგრირებული სტრატეგიის შემუშავებისათვის, რაც ამ დაავადების სიხშირიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, მთელი მსოფლიოსათვის ფრიად აქტუალური პრობლემაა.

### შაქრიანი დიაბეტის მკურნალობის თავისებურებანი

კლინიკური და ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის კვლევის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, დღეს შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ გამოყენებული მიდგომები შეიძლება 4 ძირითად ჯგუფად დაიყოს:

ა) ჩანაცვლებითი თერაპია, რაც გულისხმობს ინსულინის დეფიციტის შევსებას ამ ჰორმონის ან მისი ანალოგების დამატებით. ინიშნება როგორც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, ისე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს (Vetere et al., 2014; Bocci et al., 2014; Approaches to glycemic treatment-2015-ADA; Standards of Medical Care in Diabetes-2017-American Diabetes Association).

ბ) აღდგენითი თერაპია, რაც გულისხმობს დაზიანებული  $\beta$ -უჯრედების რეგენერაციის ხელშეწყობას სხვადასხვა სამკურნალწამლო საშუალებებით და ინგრედიენტებით ან ქირურგიული ზემოქმედებით.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით კვლევები ძირითადად ექსპერიმენტულია ან პრეკლინიკურ სტადიაზე იმყოფება და განსხვავებული წარმატებით ხასიათდება სხვადასხვა ექსპერიმენტულ მოდელებში. ასე მაგალითად,  $\beta$ -უჯრედების რეგენერაცია უფრო წარმატებით ხორციელდება ვირთაგვებში, ვიდრე პრიმატებში. ვირთაგვებში პანკრეასის კუდის ნაწილის რეზექციის შემდეგ ნაჩვენებია პანკრეასის თავსა და სხეულში პანკრეასის კუნძულების გაჩენა; მსგავსი მოდელის მიღება პრიმატებში ვერ ხერხდება. უარყოფით დასკვნას იძლევა აგრეთვე იმ ადამიანების (მათ შორის ბავშვების)



გვამებიდან აღებული პანკრეასის ჰისტოლოგიური გამოკვლევაც, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით (სპლენექტომიის დროს) ჩატარებული ჰქონდათ პანკრეასის კუდის რეზექცია (Bjoern et al., 2008; Saisho et al., 2011). განსხვავებულ მონაცემებს იძლევა ზოგიერთი კვლევა, რომელიც ადასტურებს სხვადასხვა ნივთიერებებით (მათ შორის, მცენარეული ექსტრაქტებით) ზემოქმედების პირობებში პანკრეასის β-უჯრედების დაზიანების პროფილაქტიკის ან მათი რეგენერაციის შესაძლებლობას შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დროს (Karaca et al., 2010; Chong-De Sun et al., 2012; Vetere et al., 2014).

გ) ბიოტექნოლოგიური მიდგომები, რაც გულისხმობს β-უჯრედების (პანკრეასის კუნძულების) იმპლანტაციას ინტრაპერიტონეული და/ან ინტრაპორტული ინიექციით, ან წვრილი ნაწლავის ან ვენის იზოლირებული სეგმენტით შექმნილ ბიოკონტეინერებში ტრანსპლანტაციას (Kakabadze et al., 2011; Kakabadze et al., 2012; Berney et al., 2015). ასევე აქტიურად მუშავდება β-უჯრედების მიღება პანკრეასის აცინუსის ღეროვანი უჯრედებისგან, ასევე ნაღვლის სადინარების პროგენიტორებისაგან, სხვადასხვა ფაქტორების დამატებით, როგორც in vitro ასევე in vivo მოდელებში (Ramiya et al., 2000; Rajagopal et al., 2003; Cardinale et al., 2015).

დ) მეოთხე მიმართულება, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს სინერგიზმული თერაპია, მდგომარეობს შემდეგში: შაქრიანი დიაბეტის დროს ინიშნება სამკურნალწამლო საშუალებები და/ან ინგრედიენტები, რომლებიც ახდენს ინსულინრეზისტენტობის დაქვეითებას და გლუკოზის მეტაბოლიზმის კორექციას ინსულინური გზისაგან დამოუკიდებელი მექანიზმებით. ასე, მაგალითად, ნაჩვენებია ბიგუანიდების (Rojas et al., 2013), სულფანილზარდოვანას (Turner et al., 1999), თიაზოლიდინდიონის (Soccio et al., 2014) დადებითი ეფექტი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს, ასევე ინსულინის ანალოგების (Atkinson et al., 2014; Stephens et al., 2015), პრამლინტიდის (Vetere et al., 2014), პლაფერონის

(Latsabidze et al., 2011) დადებითი ეფექტი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის პირობებში.

სინერგიზმული თერაპიისათვის აქტიურად განიხილება მამაკაცის სასქესო ჰორმონების - ანდროგენების - გამოყენება, რომელთა დადებითი ზემოქმედებაც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს ინტენსიურად შეისწავლება (Kalyani et al., 2007; Stanworth et al., 2009; Grossmann et al., 2010; Jones et al., 2010; Muraleedharan et al., 2010; Corona et al., 2011; Gianatti et al., 2014).

### ანდროგენები შაქრიანი დიაბეტის მკურნალობაში

მამაკაცებში აღინიშნება უკუკავშირი ტესტოსტერონის დონესა და შაქრიანი დიაბეტის სიმძიმეს შორის (Saad et al., 2009). შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მამაკაცებს სისხლში აღენიშნებათ ტესტოსტერონის კონცენტრაციის უფრო დაბალი მაჩვენებელი, იმ მამაკაცებთან შედარებით, რომელთაც არ აქვთ შაქრიანი დიაბეტი (Stanworth R.D. and Jones T.H., 2009; Stanworth, Kapoor, et al., 2009); ასევე, დადასტურებულია უკუკავშირი ტესტოსტერონსა და გლიკოზირებულ ჰემოგლობინს შორის (Stamler et al., 1976).

ჯვარედინი (გამჭოლი) კვლევების მეტა-ანალიზმა აჩვენა, რომ ტესტოსტერონის დონე შესამჩნევად დაბალია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე მამაკაცებში; სისხლში ტესტოსტერონის დაბალი კონცენტრაციის მქონე მამაკაცებში კი შაქრიანი დიაბეტის განვითარების ალბათობა მომატებულია (Chubb et al., 2008); მეტიც, ზოგიერთი კვლევა ადასტურებს, რომ ტესტოსტერონის დაბალი დონე მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების წინაპირობაც კი შეიძლება იყოს (Rebuffescribe et al., 1991); და პირიქით, ტესტოსტერონის კონცენტრაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი 42%-ით უფრო დაბალია

ტესტოსტერონის კონცენტრაციის დაბალი მაჩვენებლის მქონე მამაკაცებთან შედარებით (Ding et al., 2006).

არსებობს დამაჯერებელი ეპიდემიოლოგიური მტკიცებულებები, რომლის თანახმადაც ხანდაზმულ ასაკში ტესტოსტერონის დაბალი დონე წარმოადგენს დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორს როგორც მეტაბოლური სინდრომისა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის (Stanworth et al., 2009; Traish et al., 2009,II), ისე მათი გართულებების - ინსულტისა და გარდამავალი იშემიის განვითარებისათვისაც (Yeap, Hyde, et al., 2009).

MMAS - The Massachusetts Male Aging Study (Stellato et al., 2000) და MRFIT- Multiple Risk Factor Intervention Trial (Haffner et al., 1996) კვლევებმა აჩვენა, რომ როგორც საერთო ტესტოსტერონის დაბალი მაჩვენებელი, ისე სექს-ჰორმონ შემაკავშირებელი გლობულინის (Sex hormone binding globulin - SHBG) დაბალი მაჩვენებელი (რომელიც ასოცირდება ინსულინრეზისტენტობასთან), შუა ხნის მამაკაცებში წარმოადგენს დიაბეტის განვითარების დამოუკიდებელ რისკ-ფაქტორს.

კლინიკური კვლევების ერთი ჯგუფი ადასტურებს, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს ტესტოსტერონის დანიშვნა ამცირებს ინსულინრეზისტენტობას, სისხლში გლუკოზის შემცველობას, ლიპიდების დისმეტაბოლიზმს და დადებითად მოქმედებს შაქრიანი დიაბეტის კლინიკურ სურათზე (Boyanov et al., 2003; Heufelder et al., 2009; Jones et al., 2010; Gianatti et al., 2014). თუმცა, სხვა კვლევები მიუთითებს, რომ სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავება მეტაბოლური სინდრომისა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებაში არ დასტურდება ტესტოსტერონით ნამკურნალევ და მის გარეშე პაციენტთა ჯგუფებში (Chen et al., 2006). ეს განსხვავებული მონაცემები მიუთითებს ამ მიმართულებით გამოკვლევების გაგრძელების აუცილებლობას.

აღსანიშნავია, რომ კლინიკური კვლევების აბსოლუტური უმრავლესობა სწავლობს ანდროგენების ეფექტს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პირობებში. ამასთანავე, შაქრიანი დიაბეტის ექსპერიმენტულ მოდელებზე (ალოქსანით, სტრეპტოზოტოცინით გამოწვეული შაქრიანი დიაბეტი თეთრ ვირთაგვებში) ჩატარებული კვლევები ასევე მიუთითებს ანდროგენების დადებით ეფექტს (Gibb et al., 2014; Didebulidze et al., 2015). იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტი მეტად შეესაბამება შაქრიან დიაბეტ ტიპ 1-ს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მამაკაცის სასქესო ჰორმონი დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ზე, არამედ, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ზეც.

გამოჩნდა პირველი დადებითი კლინიკური დაკვირვებებიც, რომლებიც მიუთითებს ანდროგენების დადებით ეფექტზე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დროს და ადასტურებს ამ მიმართულებით შემდგომი კვლევების მიზანშეწონილობას (Saad et al., 2015).

იმ კვლევების ანალიზი, რომლებიც შეისწავლის ანდროგენების მოქმედების მექანიზმებს ორივე ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს, იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ანდროგენების დამატება შეიძლება სხვადასხვა გზით ახდენდეს გავლენას შაქრიანი დიაბეტის დროს წარმოშობილ სხვადასხვა დარღვევაზე. ერთ-ერთ სავარაუდო მექანიზმად განიხილება ანდროგენების ზემოქმედება ანდროგენ-რეცეპტორებზე, რომელთა არა მარტო არსებობაა დადასტურებული სხვადასხვა ორგანოთა უჯრედებში (გული, ღვიძლი, პანკრეასი, პროსტატა, ძუძუ და ა.შ.), არამედ დადასტურებულია მათი აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა დაავადების, მათ შორის სიმსივნეების და დიაბეტის პათო- და სანოგენეზში (Chang et al., 2014; Morelli et al., 2014; Didebulidze et al., 2015; Shen M and Shi H., 2015; Harada et al., 2015; Navarro et al., 2016). აქედან გამომდინარე, შაქრიანი დიაბეტის სხვადასხვა ფორმების კომპლექსურ თერაპიაში ანდროგენების გამოყენების კვლევა აქტუალურ სამეცნიერო და პრაქტიკულ

საკითხს წარადგენს, რომლის მიზანშეწონილობის განსაზღვრაც საბოლოო ვერდიქტს ელოდება.

### **კვლევის ჰიპოთეზა**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენი კვლევის ჰიპოთეზა, შესაძლებელია, შემდეგნაირად იქნას ფორმირებული: მამაკაცის სასქესო ჰორმონი დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-ზე, არამედ, შაქრიან დიაბეტ ტიპ 1-ზეც. ეს მოქმედება მულტიორგანულია და ხორციელდება განსხვავებული მექანიზმებით, მათ შორის ორგანოთა ანდროგენ-რეცეპტორების მონაწილეობით.

### **კვლევის მიზანი**

შაქრიანი დიაბეტის ექსპერიმენტულ მოდელში გამოვლენილ მეტაბოლურ დარღვევებზე ანდროგენების ზემოქმედების ეფექტის გამოკვლევა და ამ ზემოქმედების მექანიზმების განსაზღვრა.

### **კვლევის ამოცანები**

აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის ოპტიმალურად მივიჩნიეთ კვლევის ქვემოთე ამოცანების გადაწყვეტა:

1. Wistar - ის ჯიშის თეთრ ვირთაგვებზე შაქრიანი დიაბეტის ექსპერიმენტული მოდელის დაყენება და მისი ტესტოსტერონით მკურნალობის შემუშავება.
2. პანკრეასის და ღვიძლის ჰისტოლოგიური, იმუნოჰისტოქიმიური და მორფომეტრიული გამოკვლევა ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მისი ტესტოსტერონით მკურნალობის შემდეგ.
3. ინსულინის და გლუკოზის, ასევე სტეროიდული, სასქესო და სომატოტროპული ჰორმონების კონცენტრაციების განსაზღვრა ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტისა და მისი ტესტოსტერონით მკურნალობის შემდეგ სხვადასხვა ვადაზე.

4. ღვიძლში ანდროგენ-რეცეპტორების ექსპრესიის და დნმ-ისა და რნმ-ის სინთეზის ინტენსივობის გამოკვლევა ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მისი ტესტოსტერონით მკურნალობის შემდეგ.

5. მიღებული შედეგების ანალიზი და სტატისტიკური დამუშავება.

### მეცნიერული სიახლე

ალოქსანის ინიექციის შედეგად  $\beta$ -უჯრედების დაზიანების ფონზე განვითარებული ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის პირობებში იცვლება როგორც გლუკოზის, ისე სასქესო, სომატოტროპული და კორტიკოსტეროიდული ჰორმონების მეტაბოლიზმი; ცვლილებები ასევე, ვითარდება გლუკოზის ინსულინდამოუკიდებელი უტილიზაციის შესაძლებლობის მქონე ორგანოებში (ღვიძლში), რაც ადასტურებს ზოგადი „მეტაბოლური სტრესის განვითარებას“.

სინთეზური ტესტოსტერონის -  $H^3$ -მეთილტრიენოლონის - ინიექციები, ერთი მხრივ, ამცირებს ინსულინრეზისტენტობას, ხოლო მეორე მხრივ, ახდენს ზემოთ აღნიშნული ჰორმონების კონცენტრაციის ნორმალიზაციას, ასევე ღვიძლის უჯრედებში ნუკლეინის მჟავების სინთეზის აღდგენას, რაც, საბოლოოდ, აისახება ჰიპერგლიკემიის და მისით აღძრული დისმეტაბოლიზმის კორექციით.

იმის გათვალისწინებით, რომ ღვიძლის უჯრედებში დნმ-ის და რნმ-ის სინთეზის გაძლიერება ხდება ამ უჯრედების აქტიური ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობის მატების პარალელურად, უნდა ვიფიქროთ, რომ ალოქსანური შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული დისმეტაბოლიზმის კორექციას ტესტოსტერონი ახორციელებს ანდროგენ-რეცეპტორული მექანიზმით.

ტესტოსტერონის ინიექციების შედეგად ჰეპატოციტებში დნმ-ისა და რნმ-ის სინთეზის გაძლიერება აისახება არა ღვიძლის უჯრედების მიტოზების, არამედ პლოიდობის მატებით.

### დასაცავად გამოსატანი დებულებები

ნაშრომში დასაცავად არის გამოტანილი „კვლევის ჰიპოთეზაში“ გაცხადებული დებულება, კემოდ: მამაკაცის სასქესო ჰორმონი - ტესტოსტერონი - დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-ზე, არამედ, შაქრიან დიაბეტ ტიპ 1-ზეც. ეს მოქმედება მულტიორგანულია; ღვიძლში ეს შესაძლებელია ხორციელდებოდეს ანდროგენ-რეცეპტორების მონაწილეობით.

### პრაქტიკული რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია გაგრძელდეს კვლევა არა მხოლოდ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის, არამედ, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის კომპლექსურ თერაპიაში ანდროგენების ჩართვის ეფექტის სრულფასოვანი შეფასებისა და მიზანშეწონილობის დადგენის, ასევე, მათი დოზირებისა და დანიშვნის ალგორითმის დაზუსტებისათვის.

მიზანშეწონილია გაგრძელდეს ანდროგენ-რეცეპტორებზე დაფუძნებული იმ მექანიზმების შემდგომი შესწავლა, რომლითაც ეგზოგენური ანდროგენების დამატება იწვევს ჰიპერგლიკემიისა და ჰიპოინსულინემიის პირობებში დარღვეული უჯრედული მეტაბოლიზმის (როგორც ექსტრანუკლეარული, ისე ინტრანუკლეარული) კორექციას.



## II თავი

### ლიტერატურის მიმოხილვა

1. შაქრიანი დიაბეტი, როგორც სამედიცინო, ბიოლოგიური, ჯანდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა.

შაქრიანი დიაბეტი ქრონიკული მდგომარეობაა, რომელიც წარმოიშვება მაშინ, როცა პანკრეასი ვერ გამოიმუშავებს საკმარის ინსულინს (შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1), ან როცა ორგანიზმს არ შეუძლია გამომუშავებული ინსულინის ეფექტური გამოყენება (შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2). შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მიზეზი დღემდე დადგენილი არ არის; შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების ძირითად მაპროვოცირებელ და ხელშემწყობ ფაქტორებად მიჩნეულია ჭარბი წონა (სიმსუქნე) და ცხიმისა და კალორიების მაღალი შემცველობის საკვები (Atkinson et al., 2014; American Diabetes Association, 2014; Zaccardi et al., 2015); დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ეპიდემიოლოგიური ბიულეტენი - დკეც 2015; Chatterjee et al., 2017).

შაქრიანი დიაბეტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული არაგადამდები დაავადებაა, რომელმაც ეპიდემიის სახე მიიღო მთელი მსოფლიოსათვის. ის წარმოადგენს სიკვდილიანობის მეოთხე-მეხუთე მიზეზს ბევრ განვითარებულ ქვეყანაში (დკეც, 2015). შაქრიანი დიაბეტი 21-ე საუკუნეში ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად განიხილება (Forouhi N.G. and Wareham N.J., 2014).

2014 წელს არაგადამდებ დაავადებათა გლობალური ანგარიშის (Global status report on NCD) მიხედვით, 9 ძირითად სამიზნეს შორის მეშვიდეა შაქრიანი დიაბეტისა და სიმსუქნით დაავადების მატების შეჩერება. მსოფლიოში შაქრიანი დიაბეტის გავრცელება 9%-ს აღწევს. დაავადებულთაგან 20% ცხოვრობს



განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო 80% - დაბალ და, განსაკუთრებით, საშუალო შემოსავლის მქონე მოსახლეობის ქვეყნებში. თუ შაქრიანი დიაბეტის შემთხვევათა ზრდის დღევანდელი ტენდენცია შენარჩუნდა, 2035 წლისთვის დაახლოებით 592 მლნ ადამიანი, ანუ მოზრდილი მოსახლეობის თითქმის მეათედი შაქრიანი დიაბეტით იქნება დაავადებული (WHO-Global report on diabetes 2016).

დღეისათვის განვითარებულ ქვეყნებში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა შორის შაქრიან დიაბეტ ტიპ 1-ზე 10-15% მოდის (და ამ პაციენტების რიცხვი უმნიშვნელოდ იცვლება), ხოლო შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-ზე - 85-90% (ამ პაციენტთა რიცხვი მუდმივად იზრდება), რაც დაკავშირებულია არასწორ კვებასა და სიმსუქნესთან (Dabelea et al., 2014). დიაბეტის სიხშირე, გარკვეულწილად, ასევე, დამოკიდებულია გეოგრაფიულ და ეთნიკურ ფაქტორებზე. ჩრდილოეთის ქვეყნებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 სამხრეთის ქვეყნებთან შედარებით მეტადაა გავრცელებული. მაგალითად, ფინეთში ის 30-40-ჯერ ხშირია (Forssas et al., 2016), ვიდრე კორეასა (Ha et al., 2015) და მექსიკაში (Rull et al., 2005; Aguilar-Salinas et al., 2017). დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანთა რიცხვი 181 მლნ-ს შეადგენს, რომელთაგან 122 მლნ სოფლად ცხოვრობს. 2035 წლისთვის აღნიშნული მაჩვენებლები მიაღწევს 347 მილიონს ქალაქად და 145 მილიონს სოფლად (National Center for Disease Control and Public Health - NCDC 2015).

საინტერესოა შაქრიანი დიაბეტით დაავადების სიხშირის მონაცემები ასაკობრივ ასპექტში. შაქრიანი დიაბეტის ნახევარზე მეტი 40-დან 59 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში ვლინდება. ექსპერტთა ვარაუდით, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა უმრავლესობა მომავალშიც კონცენტრირებული იქნება ამ ასაკობრივ კატეგორიაში; ნავარაუდევია, რომ 2035 წლისთვის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ 40-59 წლის ადამიანთა რაოდენობა 264 მლნ-ს მიაღწევს. ამასთანავე,

ამ ადამიანთა 86%-ზე მეტი იცხოვრებს დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში (Kautzky-Willer et al., 2016; WHO -Global report on diabetes 2016).

დადასტურებულია, რომ შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 180 000 000-ზე მეტი ადამიანი 20 წელზე ნაკლები ასაკისაა. National Health and Nutrition Examination Survey (NHANES)-ის მონაცემების მიხედვით, 1999-დან 2007 წლამდე ამერიკის 12-დან 19 წლამდე მოზარდებში აღინიშნა პრედიამეტის და შაქრიანი დიაბეტის მომატება 9%-დან 23 %-მდე (Copeland et al., 2011; Pettitt et al., 2014). ამასთანავე, ყოველწლიურად, მსოფლიოში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დაახლოებით 15 000 ახალი შემთხვევა ვლინდება სწორედ 20 წლამდე ასაკის პირებში (Patterson et al., 2014).

სხვა კვლევები მიუთითებს, რომ შაქრიანი დიაბეტით ყოველწლიურად ავადდება 15 წლამდე ასაკის 79100 ბავშვი (Reinehr T., 2013; Dabelea et al., 2014).

2010 წლის მონაცემებით შაქრიანი დიაბეტი აღენიშნებოდა 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის 26,9 %-ს, ხოლო პრედიამეტი 50 % -ს (Cowie et al., 2011).

NHANES-ს (National Health and Nutrition Examination Survey) კვლევების მიხედვით 2005-2050 წლებში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთა რიცხვი გაორმაგდება (5,6%-12%) (Narayan et al., 2006).

რაც შეეხება შაქრიანი დიაბეტის გავრცელებას გენდერული ნიშნის მიხედვით, დღეისათვის, მსოფლიოში შაქრიანი დიაბეტით დაავადებული მამაკაცების რიცხვი 7%-ით მეტია, ვიდრე ქალების. ვარაუდობენ, რომ ეს სხვაობა შენარჩუნებული იქნება 2035 წლისთვისაც (Guariguata et al., 2014). გენდერული დისბალანსი შაქრიანი დიაბეტის განვითარების დროს დადასტურებულია მრავალი ეპიდემიოლოგიური კვლევით (Fitzgerald et al., 1995; Grant et al, 2009; Siddiqui et al., 2013), რომლებიც ადასტურებს, რომ მამაკაცებს აქვთ უფრო მაღალი

პრევალენტობა და შაქრიანი დიაბეტის განვითარების მაღალი რისკი (Aregbesola et al., 2016; Kautzky-Willer, et al., 2016).

ამავე ტენდენციას ადასტურებს (თუმცა სხვა ციფრებს მიუთითებს) Bogalusa Heart Study კვლევა, რომლის მიხედვითაც 20 წელზე მეტი ასაკის მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტის გავრცელება უფრო ხშირია (11,8%) ვიდრე ამავე ასაკის ქალებში (10,8%) (Wild et al., 2004).

განსაკუთრებით მაღალია შაქრიანი დიაბეტის გავრცელება ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აღმოსავლეთ რეგიონებში (14%) და შედარებით დაბალია წყნარი ოკეანის, ევროპულ და დასავლეთ რეგიონებში (8% - 9%) (Guariguata et al., 2014).

აფრიკის ქვეყნებში, სადაც არ არის ან ნაკლებია რესურსები შაქრიანი დიაბეტის მკურნალობისთვის და/ან ამ დაავადების მკურნალობა (მართვა) არ წარმოადგენს პრიორიტეტს, შაქრიანი დიაბეტის არადიაგნოსტირებულმა შემთხვევებმა შეიძლება მიაღწიოს 90%-ს (Kengne et al., 2013(1); Kengne et al., 2013(2)). მეტიც, ირკვევა, რომ მაღალი შემოსავლის ქვეყნებშიც კი, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირთა ერთმა მესამედმა არ იცის თავისი ავადმყოფობის შესახებ (Beagley et al., 2014). შაქრიანი დიაბეტის არადიაგნოსტირებული შემთხვევების 60% მოდის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე (35,1 მლნ) და წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილის რეგიონზე (74,7 მლნ). მსოფლიო მასშტაბით, იმ ადამიანების 84%, რომლებმაც არ იციან თავიანთი დაავადების შესახებ, მოდის დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებზე (Li et al., 2014; Pablos-Velasco et al., 2014; Bancks et al., 2014; Ramachandran et al., 2014).

NHANES (National Health and Nutrition Examination Survey) მონაცემების მიხედვით, 20 წელზე მეტი ასაკის 19,7 მილიონ ამერიკელს აღენიშნება ექიმის მიერ დადასტურებული შაქრიანი დიაბეტი, ხოლო 8,2 მილიონს - დაუზუსტებელი შაქრიანი დიაბეტი აქვს. ამასთანავე, 87,3 მილიონ ადამიანს

აღნიშნება პრედიკტი, რაც ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელით შეპყრობილია ამერიკის მოსახლეობის 38% (Ginter E. and Simko V., 2013).

აღსანიშნავია, რომ ამერიკაში შაქრიანი დიაბეტის ახალი შემთხვევები სჭარბობს ინდიელებში, აზიელებში და ესპანელ ლათინოსებში (Liu et al., 2009). 2007-2009 წლებში შაქრიანი დიაბეტის დიაგოზი დაისვა 7,1% არაესპანელ თეთრკანიანებში, 8,4% აზიელ ამერიკელებში, 11,8% ესპანელებში და 12,6% არაესპანელ შავკანიანებში (Centers for Disease Control and Prevention 2011). არაესპანელ თეთრკანიანებთან შედარებით დიაბეტის გავრცელება 18%-ით მაღალი იყო აზიელ ამერიკელებში, 66% -ით მაღალი ესპანელ ლათინოსებში (Centers for Disease Control and Prevention 2011).

2004-2006 წლებში შაქრიანი დიაბეტით დაავადებულების რიცხვი ორჯერ უფრო მაღალი იყო ინდოელებში (14%), ვიდრე ჩინელებში (6%) და იაპონელებში (5%) (Barnes et al., 2008).

განსაკუთრებით მაღალია შაქრიანი დიაბეტის გავრცელება ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების აღმოსავლეთ რეგიონებში (14%) და შედარებით დაბალია წყნარი ოკეანის, ევროპულ და დასავლეთ რეგიონებში (8% და 9%) (Geiss et al., 2014; Tamayo et al., 2014).

ყველა ეს მონაცემი, სავარაუდოდ, ამ დაავადებისადმი „გენეტიკურ განწყობის“ არსებობას უნდა ადასტურებდეს.

შაქრიანი დიაბეტით ავადობა ბავშვთა ასაკში, განსაკუთრებით 15 წლამდე, ასევე ავლენს მკვეთრ გეოგრაფიულ ტენდენციებს. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონში, სადაც მანამდე ეს დაავადება ბავშვთა შორის ნაკლებად იყო გავრცელებული (Dabelea et al., 2014; Patterson et al., 2015).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებული 497 100 ბავშვიდან 26%

ცხოვრობს ევროპის რეგიონში, სადაც შეკრებილია უკანასკნელი და განსაკუთრებით სარწმუნო მონაცემები შაქრიანი დიაბეტის ახალი შემთხვევების შესახებ, ხოლო 22% - ჩრდილოეთ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონში (Dabelea et al., 2014; Pettitt et al., 2014; Patterson et al., 2015).

შაქრიანი დიაბეტით ავადობა საქართველოს ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. დაავადების გავრცელება ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება. 2014 წლის ბოლოს შაქრიანი დიაბეტით დაავადებული იყო 85 957 ადამიანი (პრევალენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენდა - 2 306,3-ს), რაც წინა წელთან შედარებით 1,3-ჯერ მეტი იყო. 2014 წელს ინციდენტობის მაჩვენებელმაც 10 000 მოსახლეზე, წინა წელთან შედარებით 1,4-ჯერ მოიმატა და 586,5 შეადგინა. ასეთი მკვეთრი მატება შესაძლებელია უკავშირდებოდეს სადაზღვევო პროგრამების გავრცელების და პროფილაქტიკური გამოკვლევების გახშირების ფონზე ავადმყოფთა გამოვლენის გაუმჯობესებას, სადაზღვევო პროგრამების სტაბილურ მიმდინარეობას და ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამით მაღალ მოცვას (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემები - 2015).

ამასთანავე, აღინიშნება ერთგვარი „მაკრატლის სინდრომი“, რომელსაც ზუსტი ახსნა ჯერ-ჯერობით არ მოეძებნება. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის ინციდენტობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2014 წელს 53,3 იყო, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 1,32-ჯერ ნაკლებია. გარემოს მზარდი დაბინძურებისა და საკვებსა და საყოფაცხოვრებო საგნებში ტოქსინების კონტროლის შეუძლებლობის პირობებში, ასევე, აუტოიმუნური დაავადების რიცხვის მატების ფონზე, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის კლება შემდგომ გამოკვლევას საჭიროებს. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ინციდენტობის მაჩვენებელი კი 425 იყო, რაც 1,5-ჯერ აღემატება წინა წლის მაჩვენებელს (დკეც 2015).

შაქრიანი დიაბეტის როგორც პრევალენტობის, ისე ინციდენტობის მაჩვენებლის მატების ტენდენცია აღინიშნება 15 წლამდე ბავშვებში (დკეც 2015).

2014 წლის მონაცემებით შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ინციდენტობის მაჩვენებელი 8-ჯერ აღემატებოდა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის ინციდენტობას, რაც მეტ-ნაკლებად შეესაბამება სამხრეთ აღმოსავლეთ ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს (დკეც 2015).

ამასთანავე, შაქრიანი დიაბეტის ინციდენტობის მაჩვენებელთა შედარებით ვლინდება, რომ საქართველოს მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლები (Atkinson et al., 2014; დკეც 2015).

### შაქრიან დიაბეტთან და მის გართულებებთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

შაქრიანი დიაბეტის მართვა ჯანდაცვის სისტემის მაღალ დანახარჯებთანაა დაკავშირებული, ამასთანავე, ის აქვეითებს შრომისუნარიანობას, და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპებს. მსოფლიოში, 2011 წელს ჯანდაცვის სისტემის დანახარჯი შაქრიან დიაბეტზე 465 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა, რაც ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების 11%-ია. ითვლება, რომ ეფექტური და ფართოდ ხელმისაწვდომი ღონისძიებების განხორციელების გარეშე, ეს მაჩვენებლები 2025 წლისთვის 595 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება (World Health Organization, 2016). დეკომპენსირებული შაქრიანი დიაბეტი, რომელსაც თან ახლავს გართულებების მაღალი რისკი, შემოსავლების დიდ დანაკლისს იწვევს და საფრთხეს უქმნის პიროვნების (შესაბამისად, ოჯახისა და სახელმწიფოს) ეკონომიკურ განვითარებას.

ამასთანავე, შაქრიანი დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის მონაცემებით, არანაკლებ 175 მილიონმა ადამიანმა, ანუ ამ პათოლოგიით დაავადებულთა



მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის იმის შესახებ, რომ აქვს შაქრიანი დიაბეტი. უმეტესად, ეს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ია (International Federation of Diabetes 2015).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის წილი 85%-ს აღემატება. როგორც წესი, ეს მაჩვენებელი, მაღალი შემოსავლის ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალია საშუალო და დაბალი შემოსავლის ქვეყნებში. ქვეყნების უმეტესობაში კულტურული და სოციალური ცვლილებების მაღალ ტემპებთან ერთად (მოსახლეობის დაბერება, ურბანიზაცია, კვებითი ჩვევების და რეჟიმის ცვლილება, ფიზიკური აქტივობის დაქვეითება და ცხოვრების არაჯანსაღი წესი) შაქრიანი დიაბეტით ავადობა მატულობს (Ginter et al., 2013; Beratarrechea et al., 2014).

როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ქვეყნებში ყოველწლიურად იზრდება შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ით დაავადებულთა რიცხვიც, თუმცა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, შაქრიანი დიაბეტის ეს ფორმა გაცილებით იშვიათია, ვიდრე დიაბეტი ტიპი 2 (Guariguata et al., 2014; Beagley et al., 2014).

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირებში ინვალიდობის, სიკვდილიანობისა და ცხოვრების ხარისხის გაუარესების წამყვან მიზეზებს ამ დაავადების გართულებები წარმოადგენს, რაც მძიმე ტვირთად აწევს როგორც დაავადებული ადამიანის ოჯახს, ასევე საზოგადოებას მთლიანად.

შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პირებში გართულებებმა შეიძლება მოიცვას როგორც სხვადასხვა ორგანო, ისე მთლიანად ორგანიზმი. დროთა განმავლობაში შაქრიანი დიაბეტი აზიანებს გულსა და სისხლძარღვებს, თვალებს, ნერვულ სისტემას, თირკმელებს, ღვიძლს; მკვეთრად ზრდის გულის დაავადებებისა და ინსულტის განვითარების რისკს (Fox et al., 2004; Fang et al., 2006; Fox et al., 2007; Fox et al., 2008; Goldstein et al., 2011; Shah et al., 2014; Peters et al., 2014), სისხლის მიმოქცევის დარღვევასთან კომბინაციაში იწვევს ქვემო

კიდურების ნეიროპათიას (Metteling et al., 2013; Chiles et al., 2014; Iftikhar et al., 2014), ზრდის ტერფზე წყლულების გაჩენის შესაძლებლობას და საბოლოო ჯამში - კიდურების ამპუტაციის რისკს (Alavi et al., 2014; Martins-Mendes et al., 2014). შაქრიანი დიაბეტითაა განპირობებული სიბრმავის შემთხვევათა 1%; დიაბეტური რეტინოპათია, რომელიც სიბრმავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს, ვითარდება ბადურის წვრილი სისხლძარღვების ქრონიკული დაზიანების შედეგად (Zhao et al., 2014; Zhao et al., 2015; Petropoulos et al., 2015; Yang et al., 2016). შაქრიანი დიაბეტი თირკმლის უკმარისობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია (Centers for Disease Control and Prevention (CDC) – 2010; Boer et al., 2011; Wanner et al., 2016).

ამრიგად, შაქრიანი დიაბეტის ორივე ტიპისათვის დამახასიათებელი ქრონიკული ჰიპერგლიკემია ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების მეტაბოლური მოშლით (American Diabetes Association, 2009), პათოგენეზში მრავალ ორგანოს ითრევს (Hotamisligil, 2006). შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მქონე მამაკაცების რისკი გულ-სისხლძარღვთა დაავადების სიკვდილობის მიხედვით დაახლოებით 10-ჯერ მაღალია, იმ მამაკაცებთან შედარებით რომელთაც არ აქვთ შაქრიანი დიაბეტი (Orchard et al., 1990).

პოპულაციური კვლევების მონაცემების თანახმად, შაქრიანი დიაბეტის ახალ შემთხვევათა უმრავლესობა არ (ვერ) ვლინდება ადრეულ სტადიაზე (Forouhi et al., 2014). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის შემთხვევების დიდი წილი არადიაგნოსტირებულია (Li et al., 2014; Pablos-Velasco et al., 2014; Bancks et al., 2014; Ramachandran et al., 2014). მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა (პრედიაბეტი - მდგომარეობა, როდესაც გლუკოზის დონე აღემატება ნორმას, მაგრამ შაქრიანი



დიაბეტის დიაგნოსტიკურ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს) (Bonomini et al., 2015).

ბევრ ქვეყანაში შაქრიანი დიაბეტი და მისი გართულებები წარმოადგენს ნაადრევი სიკვდილიანობის მიზეზს (Nwaneri et al., 2014; Zinman et al., 2015). (მეორდება)

ყოველწლიურად მსოფლიოში 3.4 მილიონი ადამიანი იღუპება შაქრიან დიაბეტთან დაკავშირებული გართულებების გამო. შაქრიანი დიაბეტით სიკვდილიანობის თითქმის 80% დაბალ და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებზე მოდის (Huang et al., 2014 Zoungas et al., 2014). გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები არის შაქრიანი დიაბეტით დაავადებულებში სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი (Go et al., 2013; Dregan et al., 2014).

ბონოუს მონაცემებით, აშშ-ში შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტების 80%-ის სიკვდილის მიზეზი კარდიო-ვასკულური დაავადებებია, მათ შორის 75% გულის იშემიურ დაავადებებზე მოდის (Bonow et al., 1996).

ევროპის რეგიონში შაქრიანი დიაბეტის ძირითად გართულებებად მიჩნეულია ნეიროპათია (16-34%-ში), ნეფროპათია (8,5-16%), რეტინოპათია (10,5-45%) და გულის იშემიური დაავადება (4-26%) (NCDC-2014).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობის დროული დაწყება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია მძიმე და ძვირადღირებული მკურნალობის საჭიროების მქონე გართულებების პროფილაქტიკისთვის. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პროფილაქტიკა მნიშვნელოვანია ყველა, განსაკუთრებით დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებისათვის (დკეც 2015).

გასათვალისწინებელია, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პრევენცია უმრავლეს შემთხვევაში შესაძლებელია. ამასთანავე, ამ დაავადების (მისი

გართულებების) მკურნალობის ხარჯები გაცილებით აღემატება პრევენციისა და კონტროლისათვის საჭირო ხარჯებს (American Diabetes Association 2014; Alwin et al., 2017).

## **2. ტესტოსტერონის როლი შაქრიანი დიაბეტის მართვაში**

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გენდერული დისბალანსი შაქრიანი დიაბეტის განვითარების დროს დადასტურებულია მრავალი ეპიდემიოლოგიური კვლევით (Fitzgerald et al., 1995; Grant et al., 2009; Siddiqui et al., 2013). მიჩნეულია, რომ შაქრიანი დიაბეტი უფრო მძიმე ფორმით ვითარდება მამაკაცებში (Aregbesola et al., 2016; Kautzky-Willer et al., 2016). თუმცა, რამდენიმე ფაქტორი დაკავშირებული ცხოვრების წესთან, გარემოსთან და სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსთან, გავლენას ახდენს მამაკაცებსა და ქალებს შორის შაქრიანი დიაბეტის წინასწარ განწყობაზე, განვითარებასა და კლინიკურ გამოვლინებაზე. სასქესო ჰორმონები დიდ გავლენას ახდენს ენერგეტიკულ ცვლაზე, აღნაგობაზე, სისხლძარღვთა ფუნქციაზე და ანთებით რეაქციებზე (Kautzky-Willer et al., 2016). აღწერილია ტესტოსტერონის კონცენტრაციის სარწმუნო დაქვეითება როგორც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, ისე შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ მამაკაცების სისხლში. სისხლში ტესტოსტერონის კონცენტრაციის დაქვეითება იწვევს ღვიძლში მეტაბოლური პროცესების დარღვევას, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 და ტიპი 2-ის მქონე მამაკაცებში ჰიპერგლიკემიას და ინსულინრეზისტენტობას (Grossmann et al., 2008; Holt et al., 2014). დასაბუთებულად შეიძლება მივიჩნიოთ სასქესო ჰორმონების გავლენა პანკრეასის  $\beta$ -უჯრედებში ინსულინის სეკრეციასა და ღვიძლში მიმდინარე მეტაბოლურ პროცესებზე (Morimoto et al., 2001; Shen and Shi, 2015). თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰეპატოციტებს და  $\beta$ -უჯრედებს აქვთ როგორც ქალის, ისე მამაკაცის სასქესო ჰორმონების რეცეპტორები, რომელთაც

აქვთ რაოდენობრივი ექსპრესიის ცვლილების („კლების“ და „მატების“) უნარი სისხლში სასქესო ჰორმონების კონცენტრაციისაგან დამოკიდებულებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შაქრიანი დიაბეტის მიმდინარეობისას, სასქესო ჰორმონების მიღებას შეუძლია გამოიწვიოს პანკრესისა და ღვიძლის ფუნქციური აქტივობის ცვლილება, რაც ეფუძნება ამ ორგანოებში სასქესო ჰორმონების რეცეპტორების ექსპრესიის ცვლილებას და მათგან აღძრულ უჯრედულ მექანიზმებს.

მნიშვნელოვანი კავშირების არსებობა იკვეთება ანდროგენის ნაკლებობასა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ს შორის. ტესტოსტერონი ზემოქმედებს მეტაბოლურ სინდრომზე, ინსულინრეზისტენტობაზე, შედეგად კი - ხელს უწყობს სისხლძარღვების პათოლოგიისა და მათი გართულებების (გულისა და ტვინის იშემიური დაავადება, თირკმელების პათოლოგია, კიდურების ცირკულაციის მოშლა, ერექციული დისფუნქცია) განვითარებას.

ტესტოსტერონის დაბალი დონე ხელს უწყობს ინსულინრეზისტენტობის განვითარებას - შემდგომი ჰიპერგლიკემიით, არტერიული ჰიპერტენზიითა და დისლიპიდემიით, რაც, თავის მხრივ, ზრდის სისხლძარღვოვანი დაავადებების რისკს (Simon et al., 1997; Stellato et al., 2000; Oh et al., 2002; Dhindsa et al., 2004; Rhoden et al., 2005b; Pitteloud et al., 2005a,b; Corona et al., 2006; Kapoor et al., 2006, 2007; Selvin et al., 2007; Fukui et al., 2007,2008).

ნაჩვენებია, რომ ენდოგენური ტესტოსტერონის დაბალი კონცენტრაცია კორელირებს მაღალი არტერიული წნევის მაჩვენებლებთან (Kannel et al., 1972), რაც ზრდის მარცხენა პარკუჭის ჰიპერტროფიისა (Kannel et al., 1969) და გულის უკმარისობის განვითარების რისკს (Kannel et al., 1972).

შაქრიანი დიაბეტი და ინსულინრეზისტენტობა განიხილება როგორც მეტაბოლური სინდრომის ორი მთავარი კომპონენტი. როგორც აღვნიშნეთ, დღეს

მსოფლიოში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის გავრცელებამ მკვეთრად იმატა და ეს წარმოადგენს ბოლო 5 ათწლეულის განმავლობაში ჭარბი წონისა და სიმსუქნის მკვეთრი მატების ანარეკლს (Steinbrook R., 2006; Parikh et al., 2007). შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მეტაბოლური სინდრომი, რომლის ძირითად კომპონენტს ინსულინრეზისტენტობა წარმოადგენს, აღენიშნება მოზარდების 4,5%-ს (Ford et al., 2008).

მამაკაცებში აღინიშნება უკუკავშირი ტესტოსტერონის დონესა და შაქრიან დიაბეტს შორის (Saad et al., 2009). შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ მამაკაცებს აღენიშნებათ ტესტოსტერონის დაბალი დონე, იმ მამაკაცებისგან განსხვავებით, რომელთაც არ აქვთ შაქრიანი დიაბეტი (Stanworth R. D. and Jones T. H., 2009; Stanworth et al., 2009). ასევე უკუკავშირი არსებობს ტესტოსტერონსა და გლიკოზირებულ ჰემოგლობინს შორის (Stamler et al., 1976). სხვა კვლევებმა აჩვენა, რომ მაღალი ტესტოსტერონის მქონე მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი 42% - ით უფრო დაბალია (Ding et al., 2006).

დადასტურებულია, რომ მეტაბოლური სინდრომი თრგუნავს მოცირკულაციე ტესტოსტერონის დონეს, ხოლო დაბალი ტესტოსტერონი იწვევს მეტაბოლურ სინდრომს (Stellato et al., 2000; Laaksonen et al., 2004).

კვლევები ადასტურებს, რომ დაბალი ტესტოსტერონის მქონე მამაკაცებს აქვთ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების მაღალი რისკი და რომ დაბალი ტესტოსტერონის დონე შეიძლება იყოს შაქრიანი დიაბეტის განვითარების პრედიქტორი (წანამძღვარი) (Haffner et al., 1997; Stellato et al., 2000; Oh et al., 2002; Rhoden et al., 2005a,b; Shores et al., 2006; Selvin et al., 2007) და პირიქით, ტესტოსტერონის მაღალი დონის შემთხვევაში შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი მნიშვნელოვნად დაბალია (Ding et al., 2006). ეს უკანასკნელი დასკვნა

ეფუძნებოდა 43 კვლევის მიმოხილვას, რომლებშიც 6427 მამაკაცი იღებდა მონაწილეობას (Ding et al., 2006).

საერთო ტესტოსტერონსა და ინსულინრეზისტენტობას შორის უკუკავშირის კვლევისას (Andersson et al., 1994; Simon et al., 1997; Pitteloud et al., 2005a,b; Osuna et al., 2006) აღმოჩნდა, რომ აღნიშნული კორელაცია უფრო მაღალია თავისუფალ ტესტოსტერონთან, ვიდრე საერთო ტესტოსტერონთან (Rhoden et al., 2005a,b; Basaria et al., 2006). ამასვე ადასტურებს უახლესი კვლევების შედეგებიც, რომელთა თანახმადაც საერთო ტესტოსტერონის დონე შემცირებული იყო შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ მამაკაცთა 43%-ში, ხოლო თავისუფალი ტესტოსტერონისა - 57%-ში. მსგავსი ტენდენცია აღინიშნება შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დროსაც: მამაკაცების 7%-ს აღნიშნა საერთო ტესტოსტერონის ნაკლებობა, ხოლო 20%-ს - თავისუფალი ტესტოსტერონის დაბალი დონე (Grossmann et al., 2008).

დ.სიმონის კვლევის მიხედვით (Simon et al., 1997) საერთო ტესტოსტერონის კონცენტრაცია მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული უზმოდ სისხლში ინსულინის დონეზე, ხოლო საკვების მიღებიდან 2 საათის შემდეგ - სისხლში ინსულინის და გლუკოზის დონეებზე.

ნაჩვენებია, რომ ინსულინის დონის მატება და საერთო ტესტოსტერონის დაბალი დონე შეიძლება კავშირში იყოს სხეულზე ცხიმის გადანაწილებასთან. ჯ. ოსუნამ დაადგინა ტესტოსტერონის დონის მნიშვნელოვანი უკუპროპორცია წელის გარშემოწერილობასთან, სხეულის მასის ინდექსთან, ინსულინთან და HOMA ინდექსთან (HOMA ინდექსი - homeostatic model assessment of insulin resistance). ერთად აღებული, ეს შედეგები მიუთითებს, რომ მამაკაცებში ტესტოსტერონს შეიძლება ქონდეს დამცავი ფუნქცია შაქრიანი დიაბეტის წინააღმდეგ (Osuna et al., 2006).

ერთსა და იმავე პაციენტს ხშირად უსვამენ ერთდროულად ჰიპოგონადიზმისა და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დიაგნოზებს (Dhindsa et al., 2004; Kapoor et al., 2007). ამასთანავე, ჰიპოგონადიზმი უფრო გავრცელებულია სხეულის ჭარბი მასის მქონე შაქრიანი დიაბეტის მქონე პაციენტებში, ან პაციენტებში მორბიდილი სიმსუქნით (სხეულის მასის ინდექსი  $> 40$ -ზე). 1100 -ზე მეტი მამაკაცისგან შემდგარ ჯგუფში, ჯ. კორონამ გამოიკვლია, რომ ჰიპოგონადიზმს უფრო მაღალი დადებითი კორელაცია აქვს ვისცერალურ ცხიმთან, ვიდრე შაქრიან დიაბეტს (Corona et al., 2007). ამასთანავე, ნაჩვენები იქნა, რომ ჰიპოგონადიზმი ინსულინის და გლუკოზის დონის მატების უფრო ძლიერ რისკ ფაქტორს წარმოადგენს ვიდრე ჭარბი წონა (Pagotto et al., 2003). ს. დჰინსამ ასევე აჩვენა, რომ 50 წლის შემდეგ ჰიპოგონადიზმის შემთხვევების მატება სულ უფრო ინტენსიური ხდება ყოველი მომდევნო 10 წლის განმავლობაში: 50-59 წლის ასაკობრივ ჯგუფში ეს მატება 24%-ს შეადგენს, ხოლო 70-79 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 55%-ს (Dhindsa et al., 2004), რაც ხელს უნდა უწყობდეს მოხუცებში წონის მატებასა და შაქრიანი დიაბეტის განვითარებას (Cowie et al., 2011).

რ. პასკუალიმ აღმოაჩინა, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე ადამიანებს ხშირად აღენიშნებათ სიმსუქნე, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორი თავისუფალი და საერთო ტესტოსტერონის შემცირებისათვის და უზმოდ ინსულინის რაოდენობის მომატებისათვის. ამასთანავე, ნორმალური წონის მამაკაცებში ასეთი რისკ-ფაქტორის არსებობა არ დასტურდება (Pasquali et al., 1991; 1997). ჯანმრთელ, ასევე დიაბეტის არმქონე, მაგრამ ჭარბწონიან მამაკაცების ჯგუფებში, რომელთაც გლუკოზის ცვლა დაერღვათ დიაზოქსიდის მიღების შედეგად, აღმოჩნდა, რომ ინსულინს აქვს *in vivo* ტესტოსტერონის წარმოქმნის სტიმულაციის და, ამავდროულად,



სექს-ჰორმონ შემაკავშირებელი გლობულინის (SHBG) კონცენტრაციის დაქვეითების უნარი (Pasquali et al., 1995).

ა. ისიდორიმ და თანაავტორებმა დაადასტურეს, რომ იმ ადამიანებს, რომელთა სხეულის მასის ინდექსი  $30\text{კგ/მ}^2$ -ზე მეტია, უზმოდ აღენიშნებათ ინსულინის, ინსულინრეზისტენტობის ინდექსისა და C-პეპტიდის სარწმუნოდ უფრო მაღალი, ხოლო ტესტოსტერონის დაბალი მაჩვენებლები, იმ ადამიანებთან შედარებით, ვისი სხეულის მასის ინდექსიც  $30\text{კგ/მ}^2$ -ზე ნაკლებია (Isidori et al., 2000). კ. ბლოუინმა ივარაუდა, რომ სხეულის ცხიმის გადანაწილება შესაძლოა გავლენას ახდენდეს საერთო ტესტოსტერონის დაბალ დონესა და ინსულინის მომატებულ დონეს შორის კავშირზე (Blouin et al., 2008). თუმცა, ნ. პიტელოუდმა აჩვენა, რომ სხეულის აგებულებას არავითარი გავლენა აქვს პლაზმაში ტესტოსტერონის კონცენტრაციასა და ინსულინისადმი მგრძნობელობას შორის ურთიერთკავშირზე (Pitteloud et al., 2005 b). დ. ლააკსონენმა და თანაავტორებმა შეაფასეს შაქრიანი დიაბეტის არმქონე შუახნის 1896 მამაკაცის მახასიათებლები მეტაბოლურ სინდრომთან მიმართებაში. აღმოჩნდა, რომ მეტაბოლური სინდრომის მქონე პირებს უზმოდ მომატებული ჰქონდათ ინსულინის დონე, ხოლო დაქვეითებული - საერთო ტესტოსტერონის დონე (Laaksonen et al., 2003). გარდა ამისა, მ. მულერმა და თანაავტორებმა უჩვენეს, რომ მომატებული ტესტოსტერონი და სექს-ჰორმონ შემაკავშირებელი გლობულინი (SHBG) იწვევს ინსულინის მიმართ მგრძნობელობის მატებას და მეტაბოლური სინდრომის რისკის შემცირებას (Muller et al., 2005).

ანდროგენების აღკვეთის თერაპია, რაც ხშირად ინიშნება პროსტატის სიმსივნის დროს, ზრდის ინსულინრეზისტენტობას, მოქმედებს გლუკოზის მეტაბოლიზმზე და, შესაძლოა, ხელს უწყობდეს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებას. მ. ლაჯემ აღმოაჩინა, რომ შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი

ანდროგენების აღკვეთის თერაპიის დროს შეადგენს 1,36 ( $P = 0.01$ ) და რომ ამ პაციენტებში შაქრიანი დიაბეტის განვითარების მაღალი რისკი არსებობს 1 წლის განმავლობაში, მაშინაც კი, როდესაც მიმდინარეობს ისეთი კოფაქტორების კორექცია, რომლებიც დაკავშირებულია ასაკთან, სუსტ ჯანმრთელობასთან და განსაკუთრებით ჰიპერტენზიასთან (Lage et al., 2007).

პროსტატის სიმსივნის მქონე ისეთი დიაბეტიანი პაციენტების გადაყვანისას ანდროგენების აღკვეთის თერაპიაზე, რომელთაც მკურნალობდნენ ინსულინით, ანდროგენების აღკვეთის შემდეგ ინსულინზე მოთხოვნა თანდათანობით იზრდებოდა. აღნიშნულის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ანდროგენების აღკვეთას უარყოფითი ზეგავლენა აქვს ინსულინრეზისტენტობაზე და გლიკემიაზე პროსტატის სიმსივნის მქონე პაციენტებში (Haidar et al., 2007).

ნაჩვენები იქნა, რომ სასქესო ჰორმონების შეწყვეტამ 2 კვირის განმავლობაში გამოიწვია ინსულინის მიმართ მგრძობელობის დაქვეითება იდიოპათიური ჰიპოგონადოტროპული ჰიპოგონადიზმის მქონე ახალგაზრდა მამაკაცებში, რაც ახსნეს იმით, რომ ტესტოსტერონი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ინსულინის მგრძობელობაზე და რომ ეს მექანიზმი არ არის დაფუძნებული ორგანიზმის აგებულების (მათ შორის ცხიმოვანი ქსოვილის განვითარება-გადანაწილების) ცვლილებაზე (Yialamas et al., 2007).

მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრება, რომ ანდროგენების უკმარისობა მეტაბოლიზმის პროცესის გაუარესების შედეგია და არა მიზეზი (Chen et al., 2006).

ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ურთიერთქმედება ორმხრივია. ჯ. სმიტმა გამოიკვლია ანდროგენების აღკვეთის თერაპიის ეფექტი ინსულინის დონეზე პროსტატის სიმსივნის მქონე პაციენტებში. 12 კვირის განმავლობაში „გონადოტროპინ რილიზინგ ჰორმონის“ (GnRH) აგონისტებით მკურნალობამ მამაკაცებში გამოიწვია გლიკოზირებული ჰემოგლობინის მატება



და ინსულინის მიმართ მგრძობელობის და HOMA ინდექსის დაქვეითება (Smith et al., 2001).

ინსულინის დონის ცვლილება დადებითად კორელირებს სხეულის ცხიმის მასის ცვლილებასთან (Dockery et al., 2003). ტესტოსტერონის ნაკლებობა იწვევს ჰიპერინსულინემიას, ხოლო ანდროგენების აღკვეთის თერაპია იწვევს უზმოდ გლუკოზის დონის მატებას (Nishiyama et al., 2005). ჯ. იანუჩის კვლევამ რომელიც 85 დღე გრძელდებოდა, უჩვენა, რომ ანდროგენების აღკვეთის თერაპიაზე მყოფ პაციენტებში გლუკოზის და ინსულინრეზისტენტობის დონე (HOMA ინდექსი) იმატებს. ამ კვლევაში ასაკი და სხეულის მასის ინდექსი შეზღუდული არ იყო (Yannucci et al., 2006). ს. ბასარიას კვლევით (სადაც შეზღუდული იყო ასაკი და სხეულის მასის ინდექსი) იმ პაციენტებს, რომლებიც იმყოფებოდნენ ანდროგენების აღკვეთის თერაპიაზე, ინსულინის მნიშვნელოვნად უფრო მაღალი დონე აღენიშნათ უზმოდ, ვიდრე პროსტატის სიმსივნიან პაციენტებს, რომლებიც არ იმყოფებოდნენ ანდროგენების აღკვეთის თერაპიაზე; იგივე შედეგი დაფიქსირდა ჯანმრთელ საკონტროლო ჯგუფის წევრებშიც (Basaria et al., 2006).

ეს კვლევები ადასტურებს, რომ ანდროგენების აღკვეთის თერაპია, და არა ასაკი და სხეულის მასის ინდექსი, არის პირდაპირ პასუხისმგებელი უზმოდ ინსულინის დონის მატებაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ს. ბასარიამ მამაკაცების სამივე აღნიშნულ ჯგუფში აღმოაჩინა მაღალი უარყოფითი კორელაცია უზმოდ გლუკოზის, ინსულინის და HOMA ინდექსის დონეებსა და საერთო და თავისუფალი ტესტოსტერონის დონეებს შორის. იმ პაციენტების რაოდენობა, რომელთა გლუკოზის კონცენტრაცია უზმოდ იყო  $\geq 126$  მმოლ/ლ, შეადგენდა ანდროგენების აღკვეთის თერაპიაზე მყოფი პროსტატის სიმსივნიან პაციენტების 44%-ს, ანდროგენების აღკვეთის თერაპიაზე არ მყოფი პროსტატის სიმსივნიანი

პაციენტების - 12%-ს, ხოლო ჯანმრთელ ჯგუფის წევრთა - 11%-ს (Basaria et al., 2006).

ს. შაჰანის ვარაუდით, ანდროგენების აღკვეთის თერაპია ადრეულ ეტაპზე (3-6 თვე) იწვევს მეტაბოლიზმის დარღვევებს, რაც ასოცირებულია ჰიპერინსულინემიის განვითარებასთან, ხოლო ხანგრძლივ თერაპიას (12 თვე და მეტი) მიყვავართ შაქრიანი დიაბეტის და მეტაბოლური სინდრომის განვითარებასთან (Shahani et al., 2008).

ჰიპოგონადიზმის დროს მამაკაცებში ტესტოსტერონით მკურნალობა ამცირებს ინსულინის დონეს უზმოდ, მაგრამ ასევე ამცირებს ინსულინრეზისტენტობას. ინსულინის მიმართ მომატებული მგრძობელობა მაღალ უარყოფით კორელაციაშია საერთო ტესტოსტერონის დონესთან (Marin et al., 1992; 1993; 1995; 1996; Pagotto et al., 2003). მ. ბოიანოვმა ასევე აჩვენა, რომ შაქრიანი დიაბეტის მქონე იმ მამაკაცებს, რომლებიც სამი თვის განმავლობაში იღებდნენ ტესტოსტერონს, საწყის მაჩვენებლებთან შედარებით შეუმცირდათ უზმოზე გლუკოზის დონე, ჭამის შემდგომი გლუკოზის დონე და გლიკოზირებული ჰემოგლობინის დონე (Boyanov et al., 2003).

დ. კაპურის კვლევის თანახმად ტესტოსტერონის მკურნალობის შედეგად ინსულინ დამოკიდებულმა პაციენტებმა შეამცირეს თავიანთი დოზა საშუალოდ 7 ერთეულით (Kapoor et al., 2006).

მ. ნაჰარსიმ აჩვენა, რომ ტესტოსტერონის ხანგრძლივმა თერაპიამ გააუმჯობესა ინსულინის მიმართ მგრძობელობა და შეამცირა სხეულის ცხიმის მასა. ასევე, ნაჰარსის მტკიცებით, რაც უფრო მაღალია ტესტოსტერონის „დელტა“, მით უფრო იმატებს ინსულინის მიმართ მგრძობელობა (Naharci et al., 2007). ამასვე ადასტურებს ნ. პიტელოუდის დაკვირვებაც (Pitteloud et al., 2005a,b). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მიუთითებს, რომ საჭიროა

ტესტოსტერონის ნორმის არა დაბალი დონის (მინიმალური მაჩვენებლის), არამედ, მაღალი დონის (მაქსიმალური მაჩვენებლის) მიღწევა (შენარჩუნება).

ტესტოსტერონს, გარდა ინსულინის მიმართ მგრძობელობაზე ეფექტისა, შესაძლოა ქონდეს პირდაპირი გავლენა პანკრეასის  $\beta$ -უჯრედებზე (Morimoto et al., 2005). კერძოდ, ნაჩვენებია იქნა, რომ კასტრირებული ცხოველების პანკრეასის უჯრედებში, სტრეპტოზოტოცინით გამოწვეული ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის მოდელზე ტესტოსტერონით თერაპია აჩერებს  $\beta$ -უჯრედების ადრეულ აპოპტოზს.

როგორც აღინიშნა, ანდროგენების დეფიციტი მთავარ როლს თამაშობს მეტაბოლური სინდრომის, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის და ინსულინ-რეზისტენტობის პათოგენეზში; მას ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადიპოგენეზსა და ვისცერალური ცხიმის დაგროვებაში, რასაც მივყავართ სიმსუქნის განვითარებამდე.

ვისცერალური ცხიმი ფუნქციონირებს როგორც ენდოკრინული ორგანო, რომელიც აწარმოებს მრავალ ქსოვილსა და ორგანოზე მოქმედ ანთების საწინააღმდეგო ციტოკინებს, რომლებიც ზრდის ინსულინ-რეზისტენტობის, შაქრიანი დიაბეტის და მეტაბოლური სინდრომის რისკს და ენდოთელურ დისფუნქციას. ითვლება, რომ ანდროგენების ნაკლებობა მთავარი ფაქტორია მრავალი პათოლოგიის განვითარებისათვის, რომელსაც მოიცავს მეტაბოლური სინდრომი და რომელსაც მივყავართ სისხლძარღვოვან გართულებებამდე (Traish et al., 2009, III).

ამ პათოლოგიურ ჯაჭვში, კლინიცისტთა აღიარებით, მთავარი პრობლემა მდგომარეობს ზედმეტი წონის კორექციაში. სიმსუქნე, ეს ის მდგომარეობაა, რომელიც ეპიდემიასავით ვრცელდება განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. შეერთებულ შტატებში მამაკაცების 63% და ქალების 55%

ჰარბონიანად ითვლება. ჰარბონიანთა 22%-ის სხეულის მასის ინდექსი  $30\text{კგ/მ}^2$ -ზე მეტია, ამასთანავე ეს შეფარდება მზარდი დინამიკით ხასიათდება, რისი შედეგის სერიოზულობის გადაფასება ძნელია (Ogden et al., 2006). ჰარბონასთან დაკავშირებულია ისეთი დაავადებები, როგორებიცაა შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2, ჰიპერტენზია, გულ-სისხლძარღვთა დაავადება, ნაღვლის ბუშტის დაზიანება, სიმსივნე და საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადება (ართრიტი).

ზრდასრულ ჰარბონიანთა 80%-ს აღენიშნება ჰარბონასთან დაკავშირებული ერთი დაავადება მაინც, ხოლო 40%-ს ორი ან მეტი დაავადება (Janssen et al., 2007).

ზრდასრული მამაკაცი და ქალი განსხვავდება ცხიმის რეგიონალური განაწილების თავისებურებებით (Blouin et al., 2008).

მენოპაუზამდე ქალებში ცხიმის დიდი ნაწილი გროვდება მკერდში, თეძოებში და ბარძაყებში. მამაკაცებში კი, როგორც წესი, მუცლის მიდამოში (კანქვეშ და ვისცერალურად). ამასთანავე მამაკაცებს, ვისცერული ცხიმის უფრო დიდი მარაგი აქვთ, ვიდრე ქალებს (Wells et al., 2007). იქედან გამომდინარე, რომ სხეულის ცხიმის ლოკალიზაცია ითვლება მეორად სასქესო ნიშნად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სასქესო სტეროიდები მონაწილეობას ღებულობენ მამაკაცის და ქალის ცხიმოვანი მარაგის განაწილებაში.

ეს მოსაზრება დასტურდება იმით, რომ სასქესო სტეროიდების დონის ცვლილება, რეპროდუქციული ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, თანხვედრაშია ცხიმის რეგიონალური დაგროვებისა და მობილიზაციის ცვლილებებთან, მაშინ, როდესაც პუბერტატულ პერიოდამდე გოგოები და ბიჭები ძალიან არ განსხვავდებიან ცხიმის რაოდენობით და მისი რეგიონალური გავრცელებით.

პუბერტატული პერიოდიდან კი განსხვავებები უკვე აშკარად ვლინდება (Loomba-Albrecht et al., 2009; Taylor et al., 2010).

საკვერცხის მიერ ესტროგენის და პროგესტერონის გამომუშავება იწვევს საერთო ცხიმის მატებას და ასევე ცხიმის შერჩევით გადანაწილებას მკერდში, საჯდომსა და ბარძაყებში. ბიჭებში კი, პუბერტატულ პერიოდში, საგრძნობლად იზრდება არაცხიმოვანი მასა, მაშინ როდესაც ცხიმის საერთო რაოდენობა თითქმის უცვლელი რჩება (Loomba-Albrecht et al., 2009).

სიმსუქნეზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ცხიმის უპირატესად მუცლის მიდამოში დაგროვება დაკავშირებულია ინსულინდამოუკიდებელი შაქრიანი დიაბეტის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების განვითარების მომატებულ რისკთან, თანაც არა მხოლოდ ჭარბწონიანებში, არამედ ნორმალურწონიანებშიც (Kannel et al., 1991).

მრავალი კვლევა ადასტურებს კავშირს აბდომინალურ გაცხიმოვნებასა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების ისეთ რისკ-ფაქტორებს შორის, როგორცაა ჰიპერტენზია, დისლიპიდემია (ქოლესტეროლის, ტრიგლიცერიდების, დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების გაზრდილი დონე და მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების დაბალი დონე), გლიკემია ჰიპერინსულინემიასთან ერთად (ცნობილია, როგორც „ინსულინრეზისტენტობა“ ან „მეტაბოლური სინდრომი“) (Bjorntorp et al., 2000; Carr et al., 2004; Grundy et al., 2004; Gans, 2006).

გამჭოლი (ჯვარედინი) კვლევების სისტემატურმა მიმოხილვამ და მეტა-ანალიზმა აჩვენა, რომ ტესტოსტერონის დონე შესამჩნევად დაბალია შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე მამაკაცებში. დაბალი ტესტოსტერონის მქონე მამაკაცებში კი შაქრიანი დიაბეტის განვითარების ალბათობა გაზრდილია (Ding et al., 2006). კვლევებით ასევე დასტურდება, რომ ტესტოსტერონის დაბალი დონე

მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარების წინაპირობაა. არსებობს დამაჯერებელი ეპიდემიოლოგიური მტკიცებულებები, რომლის მიხედვითაც ტესტოსტერონის დაბალი დონე ხანდაზმულ ასაკში წარმოადგენს დამოუკიდებელ რისკ ფაქტორს, როგორც მეტაბოლური სინდრომის და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის (Stanworth et al., 2009; Traish et al., 2009,II), ასევე მათი გართულებების - ინსულტისა და გარდამავალი იშემიის განვითარებისათვის (Yeap et al., 2009).

MMAS (The Massachusetts Male Aging Study) (Stellato et al., 2000) და MRFIT (Multiple Risk Factor Intervention Trial) (Haffner et al., 1996) კვლევებმა აჩვენა, რომ საერთო ტესტოსტერონის დაბალი დონე და სექს-ჰორმონ შემაკავშირებელი გლობულინი (SHBG) დამოუკიდებელი რისკ ფაქტორია შუა ხნის მამაკაცებში - შაქრიანი დიაბეტის მოგვიანებით განვითარებისათვის.

კალიფორნიაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა მნიშვნელოვანი უარყოფითი კორელაცია საერთო ტესტოსტერონის საწყის დონესა და უზმოდ გლუკოზის დონეს, ინსულინის დონესა და, ასევე, გლუკოზოტოლერანტულ ტესტს შორის (8 წლის დაკვირვება) (Oh et al., 2002). მიჩნეულია, რომ ტესტოსტერონის და სექს-ჰორმონ შემაკავშირებელი გლობულინის (SHBG) დაბალი დონე წარმოადგენს მეტაბოლური სინდრომის და შაქრიანი დიაბეტის განვითარების პროგნოზს (Laaksonen et al., 2004; Haring et al., 2009).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ MMAS-ის (The Massachusetts Male Aging Study) მონაცემებით, ტესტოსტერონის დაბალი დონე წარმოადგენს მეტაბოლური სინდრომის და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკ-ფაქტორს იმ მამაკაცებში, რომლებიც თავიდანვე არ იყვნენ ქარბწონიანები (Kupelian et al., 2006). NHANES III კვლევამ (the Third National Health and Nutrition survey), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1413 მამაკაცმა, რომლებიც დაყვეს ასაკის, რასის, ეთნიკური



წარმომავლობის და ჭარბი წონის მიხედვით, აჩვენა, რომ იმ მამაკაცებს, რომლებსაც თავისუფალი ტესტოსტერონის (და არა საერთო ტესტოსტერონის) დაბალი დონე აღენიშნებოდათ, შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი უფრო მაღალი ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვისაც აღენიშნებოდა სიმსუქნე (Selvin et al., 2007).

ეს კვლევა ამყარებს MMAS - ის (The Massachusetts Male Aging Study) კვლევის შედეგებს, რომლის თანახმადაც, ჭარბი წონა, თავისთავად, არ წარმოადგენს რისკ-ფაქტორს შაქრიანი დიაბეტის განვითარებისათვის, რაც უნისონშია ავსტრალიაში ჩატარებულ ანალოგიური დიზაინის კვლევასთან. (Stellato et al., 2000; Traish et al., 2009 (II; III); Yeap et al., 2009).

სიმსუქნე, მასთან ასოცირებული ჰიპერინსულინემიით, თრგუნავს სექს-ჰორმონ შემკავშირებელი გლობულინის (SHBG) სინთეზს და აქედან გამომდინარე მოცირკულირე ტესტოსტერონის რაოდენობას (Kaufman et al., 2005; Eckel et al., 2005). გარდა ამისა, ინსულინი (Pitteloud et al., 2005a) და ლეპტინი (Isidori et al., 1999) დამთრგუნველად მოქმედებს სათესლის მიერ სტეროიდების წარმოქმნაზე (Stamler et al., 1976). აქედან გამომდინარე, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სიმსუქნე მოცირკულირე ტესტოსტერონის დაქვეითების მთავარი ფაქტორია 40 წლამდე მამაკაცებშიც კი (Goncharov et al., 2009; Zitzmann M., 2009; Mah et al., 2010).

აღნიშნული მიმოხილვიდან ცხადი ხდება, რომ ტესტოსტერონის დაბალი დონე მთავარი ფაქტორია ხანდაზმული მამაკაცების ისეთი დაავადების ეტიოლოგიაში, როგორცაა მეტაბოლური სინდრომი და მასთან დაკავშირებული დაავადებები: შაქრიანი დიაბეტი და ათეროსკლეროზული დაავადებები. ამდენად, მეტაბოლური სინდრომის და მისი გართულებების - შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები - მკურნალობაში ტესტოსტერონის ჩართვის მიზანშეწონილობის განსაზღვრა ფრიად აქტუალური საკითხია.

მრავალი მტკიცებულებით დასტურდება ტესტოსტერონის დადებითი გავლენა ვისცერალური ცხიმის და მეტაბოლური სინდრომის სხვა ელემენტების რედუქციაზე (Jones et al., 2009).

ჩატარდა კვლევა, სადაც შერჩეულ იქნა ჰიპოგონადიზმით დაავადებული 32 მამაკაცი მეტაბოლური სინდრომით და ახლად დადგენილი შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით. ერთი ჯგუფის წევრებს (n=16) მხოლოდ დიეტა და ვარჯიში დაენიშნათ, მეორე ჯგუფს (n=16) - დიეტა და ვარჯიში ტესტოსტერონის გელთან ერთად (50 მგ. ტესტოსტერონი ერთხელ დღეში, 52 კვირის მანძილზე). გლუკოზაზე მოქმედი არც ერთი პრეპარატი იქნა გამოყენებული კვლევაში ან კვლევის დროს. ტესტოსტერონის დამატებამ საგრძნობლად გააუმჯობესა გლიკემიური მაჩვენებელი და მეტაბოლური სინდრომისთვის დამახასიათებელი სხვა პარამეტრები, იმ ჯგუფთან შედარებით, სადაც მხოლოდ დიეტას და ვარჯიშს მისდევდნენ (Heufelder et al., 2009).

ასევე დადგენილია, რომ ტესტოსტერონი ამცირებს ინსულინის დონეს და ინსულინრეზისტენტობას ჭარბწონიან მამაკაცებში. ორ კვლევაში, ტესტოსტერონის ჩანაცვლებითი თერაპიის შემდეგ, სადაც მონაწილეობას იღებდნენ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე და ჰიპოგონადიზმით დაავადებული მამაკაცები, აღინიშნა ტესტოსტერონის მცირედი გავლენა გლიკემიაზე ან ასეთი გავლენა საერთოდ არ აღინიშნა (Corrales et al., 2006). საპირისპირო შედეგები აჩვენა სხვა კვლევაში, რომლითაც დადგინდა, რომ ტესტოსტერონის ჩანაცვლებითმა თერაპიამ შეამცირა ინსულინრეზისტენტობა და გააუმჯობესა გლიკემიური მაჩვენებელი ჰიპოგონადიზმით დაავადებულ პაციენტებში, რომელთაც აღინიშნებოდათ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 (Lee et al., 2005).



ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ არ არის ცალსახა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მოცირკულირე ტესტოსტერონის დონე ხელს უწყობს გლუკოზის ჰომეოსტაზის ნორმალიზაციას, არსებობს კვლევები, რომლებიც ამტკიცებს, რომ ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპია დადებით როლს ასრულებს გლიკემიისა და მეტაბოლური პროცესების კონტროლში შაქრიანი დიაბეტის დროს.

ამასთანავე, ტესტოსტერონის მოქმედების მექანიზმები ჯერ კიდევ გამოსაკვლევიან. მით უფრო, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, ნავარაუდევია ამ მექანიზმების კომპლექსურობა.

პანკრეასის კუნძულები შეიცავს მინიმუმ 5 სახის უჯრედებს, რომლებშიც გამომუშავებული ჰორმონები პირდაპირ გადადის სისხლის მიმოქცევაში. მღრღნელების პანკრეასის კუნძულები ამჟღავნებს მსგავსებას ადამიანის პანკრეასის კუნძულებთან. ეს მსგავსება ქმნის საფუძველს, რომ შაქრიანი დიაბეტის მოდელირება განხორციელდეს სწორედ მღრღნელებში. ვირთაგვის პანკრეასის კუნძულებში, ენდოკრინული უჯრედების სუბსიდიები წარმოდგენილია შემდეგი პროპორციით (Elayat et al., 1995):

- α-უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებს გლუკაგონს, შეადგენს კუნძულოვანი უჯრედების 20%-ს;
- β-უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებს ინსულინს და ამილინს, შეადგენს უჯრედული პოპულაციის 70%-ს;
- δ-უჯრედები, რომლებიც გამოიმუშავებს სომატოსტატინს, შეადგენს - 10%-ს;
- PP უჯრედები, რომლებშიც გამომუშავდება პანკრეასული პოლიპეპტიდი - 5%-ს;

- $\epsilon$ -უჯრედები (ეფსილონი), რომლებშიც გამომუშავდება გრელინი - მხოლოდ 1%-ს.

ამასთანავე, უჯრედული შემადგენლობის მსგავსების მიუხედავად, უჯრედთა დასახელებული ტიპების ტოპოგრაფია პანკრეასის კუნძულებში განსხვავებულია. მაშინ, როდესაც მღრღნელების კუნძულებს ახასიათებს ინსულინის წარმომქმნელი  $\beta$ -უჯრედების უპირატესი ცენტრალური განლაგება და ალფა, დელტა და PP უჯრედების მწირი პერიფერიული განლაგება, ადამიანის კუნძულებში  $\alpha$ - და  $\beta$ -უჯრედები განლაგებულია ერთმანეთთან ახლოს (შეჯგუფულად) (Brissova et al., 2005; Cabrera et al., 2006).

#### **შაქრიანი დიაბეტის პათოგენეზისა და სანოგენეზის მექანიზმების თაობაზე.**

მიუხედავად იმისა, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს ტესტოსტერონის დონის შემცირება დადასტურებულად ითვლება (Haffner et al., 1996; Stellato et al., 2000; Oh et al., 2002), ისევე, როგორც ის ფაქტი, რომ პროსტატის სიმსივნის მქონე პაციენტებში ანდროგენების აღკვეთის თერაპია გონადოტროპული ჰორმონის აგონისტებით, იწვევს  $\beta$ -უჯრედების ფუნქციის ნაკლებობას და ჰიპერგლიკემიას (Inaba et al., 2005) და ზრდის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის რისკს (Keating et al., 2012), ტესტოსტერონის დეფიციტის როლი  $\beta$ -უჯრედების დისფუნქციაში უცნობი რჩება.

გამომდინარე იქედან, რომ ჰიპერგლიკემიის განვითარება მოითხოვს  $\beta$ -უჯრედების დაზიანებას, ზემოთ განხილული კვლევების შედეგები საფუძველს უქმნის ვარაუდს, რომ ტესტოსტერონის ნაკლებობა იწვევს ან ხელს უწყობს  $\beta$ -უჯრედების დაზიანებას მამაკაცებში.

დადასტურებულია, რომ ტესტოსტერონი ზემოქმედებს ანდროგენ-რეცეპტორებზე, რომელსაც შეიცავს სხვადასხვა ორგანოების უჯრედების

მემბრანები (Haffner et al., 1996). თუ რა მექანიზმით და რა როლს ასრულებს ანდროგენ-რეცეპტორი  $\beta$ -უჯრედების ფუნქციონირებაში ნორმულად და ტესტოსტერონის ნაკლებობის პირობებში, გარკვეული არ არის (Stellato et al., 2000; Oh et al., 2002). ეს საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან ანტიდიაბეტური ანდროგენული თერაპია, რომელიც არ გაზრდის პროსტატის ჰიპერტროფიული პათოლოგიების განვითარების რისკს, შეიძლება იქცეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან მონაპოვრად (Oh et al., 2002).

ადამიანის პანკრეასის ქსოვილის კულტურებზე და ისეთ ხაზოვან თაგვებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა, როდესაც მიზანმიმართულად იყო შემცირებული  $\beta$ -უჯრედების ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობა, უჩვენა, რომ ტესტოსტერონი მოქმედებს ანდროგენ-რეცეპტორის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ლიგანდ-დამოკიდებულ ტრანსკრიფციის ფაქტორს. ნაჩვენებია იყო, რომ  $\beta$ -უჯრედებში შემცირებული რაოდენობის ანდროგენ-რეცეპტორების მქონე მამრ ვირთაგვებში, ისევე როგორც ადამიანის კულტურის შემთხვევაში, ეს რეცეპტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტესტოსტერონის პოტენცირების გამოვლენისათვის გლუკოზით სტიმულირებული ინსულინის სეკრეციის (GSIS - glucose-stimulated insulin secretion) გაძლიერებისათვის (ტესტოსტერონი გლუკოზის დაბალი კონცენტრაციის პირობებში იწვევს ინსულინის ისეთივე სეკრეციას როგორსაც გამოიწვევდა გლუკოზის შედარებით მაღალი კონცენტრაციები. ეს ეფექტი დაფუძნებულია  $\beta$ -უჯრედებში cAMP კონცენტრაციის მატებაზე და პროტეინ კინაზა A-ს (PKA)-ს აქტივაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, ზრდის GLP-1 (glucagon-like peptide-1) ეფექტს. ამ აღმოჩენას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი კლინიკური და ფარმაკოლოგიური ღირებულება შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პრევენციისათვის ასაკოვან მამაკაცებში (Navarro et al., 2016).

ზოგიერთი გამოკვლევით, ტესტოსტერონი, გარდა ინსულინის სეკრეციის სტიმულაციისა, პირდაპირ გავლენას ახდენს  $\beta$ -უჯრედებზე (Mauvais-Jarvis et al., 2016). ანდროგენების დამთრგუნველი თერაპიის შემდეგ ვლინდება ჰიპერგლიკემია და  $\beta$ -უჯრედების ფუნქციის დარღვევა, რაც მათი აპოპტოზის გაძლიერებით უნდა იყოს გამოწვეული (Inaba et al., 2005). ამასვე ადასტურებს ის კვლევებიც, სადაც ნაჩვენებია თუ ტესტოსტერონის ჩანაცვლებითი თერაპიით როგორ აღიკვეთება სტრეპტოზოტოცინით გამოწვეული  $\beta$ -უჯრედების ადრეული აპოპტოზური დაზიანება კასტრირებულ ვირთაგვებში (Morimoto et al., 2005).

გ. ნავარო და თანაავტორები იკვლევდნენ გლუკოზის ჰომეოსტაზს 12 კვირის მამრ თაგვებში, რომელთაც  $\beta$ -უჯრედებში არ ქონდათ ანდროგენ-რეცეპტორი ( $\beta$ ARKO<sup>-/-</sup> ხაზის ცხოველები). ეს ის ასაკია, რომელსაც მოსდევს ცხიმის ნაგვიანევი განვითარება და ინსულინრეზისტენტობა - ანდროგენ-რეცეპტორის სრული ან ნაწილობრივი დეფიციტის ფონზე. 9 კვირის განმავლობაში, დიეტით გამოწვეული მეტაბოლური სტრესის პირობებში,  $\beta$ ARKO<sup>-/-</sup> თაგვებმა, საკონტროლო ჯგუფის თაგვებისგან განსხვავებით, გამოავლინეს როგორც ინსულინის კონცენტრაციის, ისე ჰიპერგლიკემიის შემცირება, როგორც შიმშილის ასევე მაძღრობის შემდეგ. ამდენად, დადასტურდა, რომ  $\beta$ -უჯრედებში ანდროგენ-რეცეპტორების დეფიციტის მქონე თაგვები ავლენენ ინსულინის დეფიციტის ტენდენციას, მაშინ, როდესაც „western“ დიეტისთვის დამახასიათებელია გლუკოზით სტიმულირებული ინსულინის სეკრეციის (GSIS) შემცირება და გლუკოზისადმი ტოლერანტობის განვითარება, მიუხედავად იმისა, რომ  $\beta$ -უჯრედების რაოდენობა არ იცვლება (Navarro et al., 2016).

აღსანიშნავია, რომ ანდროგენ-რეცეპტორის ინსულინტროპული ეფექტი ადამიანის ლანგერჰანსის კუნძულებში ვლინდება ტესტოსტერონის ფიზიოლოგიური კონცენტრაციის შემთხვევაში. ეს ამტკიცებს, რომ

ტესტოსტერონი მნიშვნელოვანია მამაკაცებში გლუკოზით სტიმულირებული ინსულინის სეკრეციის (GSIS) ნორმის ფარგლებში შესანარჩუნებლად. ანდროგენების ნაკლებობა კი იწვევს გლუკოზით სტიმულირებული ინსულინის სეკრეციის (GSIS) დაქვეითებას, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებისთვის.

ფრიად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ გლუკოზის მეტაბოლიზმზე ტესტოსტერონი გავლენას ახდენს არა მხოლოდ პანკრეასის  $\beta$ -უჯრედების ანდროგენ-რეცეპტორებზე ზემოქმედებით. გლუკოზის კონცენტრაციის დაქვეითება ტესტოსტერონის ინიექციის შემდეგ აიხსნება იმითაც, რომ ტესტოსტერონი ზემოქმედებს ღვიძლის ანდროგენ-რეცეპტორებზე და ხელს უწყობს ჰეპატოციტებში ინსულინ-რეცეპტორების m-RNA სინთეზს, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს ჰეპატოციტების მგრძობელობის გაზრდას ინსულინის მიმართ. ამ პირობებში ინსულინის მინიმალური კონცენტრაციაც საკმარისია რომ გაიზარდოს გლუკოზის მოხმარება ღვიძლის უჯრედების მიერ (Kapoor et al., 2006; Sato et al., 2008).

აღსანიშნავია, რომ მამაკაცებისგან განსხვავებით, ქალების  $\beta$ -უჯრედებში ანდროგენ-რეცეპტორების დაბალი დონე არ ცვლის გლუკოზით სტიმულირებული ინსულინის სეკრეციას (GSIS). მიზეზი მდგომარეობს იმაში, რომ მდებარე ვირთაგვებში ანდროგენების კონცენტრაცია შრატში და ქსოვილში იმაზე ნაკლებია ვიდრე საჭიროა ანდროგენ-რეცეპტორის აქტივაციისთვის (Mauvais-Jarvis et al., 2011). ეს მონაცემები ადასტურებს სხვა კვლევების შედეგებს, რომლებიც მიუთითებს, რომ სხვადასხვა სქესის ორგანიზმის ორგანოებში განსხვავებული რაოდენობითაა წარმოდგენილი ანდროგენ- და ესტროგენ-რეცეპტორები.

როგორც აღვნიშნეთ, ტესტოსტერონის მაღალი კონცენტრაცია მამაკაცებში კორელაციაშია ინსულინის მიმართ მომატებულ მგრძობელობასთან. ამასთანავე, ტესტოსტერონ 17 $\beta$  ექვემდებარება არომატიზაციას ესტრადიოლად (E2) და ეს რეაქცია მნიშვნელოვანია მამაკაცებში ენერგეტიკული ჰომეოკინეზის დაბალანსებისათვის (Navarro et al., 2015).

კასტრირებულ მამრ მღრღნელებს, რომელსაც უკეთებდნენ “სუფთა” ანდროგენს (DHT), რომელიც არ გარდაიქმნება ესტრადიოლად არ უვითარდებოდათ სიმსუქნე, იმ მღრღნელებისგან განსხვავებით, რომელსაც უკეთებდნენ ტესტოსტერონს. ეს მიუთითებს იმას, რომ ცხიმის დაგროვება კასტრაციის შემდეგ გამოწვეულია ტესტოსტერონის გარდაქმნით ესტრადიოლად, რომელიც უკვე გავლენას ახდენს ესტროგენ-რეცეპტორებზე. ეს დაკვირვება ეთანხმება ალოქსანით გამოწვეულ შაქრიანი დიაბეტის მოდელის კვლევისას მიღებულ მონაცემებს, რომლის თანახმადაც ესტრადიოლის კონცენტრაციის მატების პარალელურად კლებულობს ტესტოსტერონის კონცენტრაცია (Hayes et al., 2000; Hayes et al., 2001).

Wistar-ის ჯიშის მამრ ვირთაგვებში ალოქსანის 200 მგ/კგ ინტრაპერიტონეალური ინიექციის შემდეგ (Latsabidze et al., 2016), ისევე როგორც Sprague-Dawley ჯიშის მდედრ ვირთაგვებში სტრეპტოზოტოცინის 50 მლ/ლ ინტრაპერიტონეალური ინიექციის შემდეგ, ნანახი იქნა ნეკროზული  $\beta$ -უჯრედები. ნაკლები ინტენსივობის დაზიანება იქნა ნანახი ღვიძლის და თირკმელის მილაკების ეპითელურ უჯრედებში. ამრიგად, დადასტურებულია, რომ ალოქსანის და სტრეპტოზოტოცინის ინიექცია მოზრდილ ვირთაგვებში იწვევს მძიმე და შეუქცევად შაქრიან დიაბეტს, რომელიც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მსგავსია (Portha et al., 1974; Wilson et al., 1990; Haligur et al., 2012).



β-უჯრედების კვდომა, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ნეკროზით ან კასპაზ (caspase) დამოკიდებული აპოპტოზით, წარმოადგენს ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის საბოლოო სტადიას, რაც თანხვედრაშია გლუკოზის მეტაბოლიზმის მნიშვნელოვანი მოშლასთან (Haligur et al., 2012).

ცნობილია, რომ ინსულინს და გლუკაგონს საპირისპირო მოქმედება აქვს გლუკოზის ჰომეოსტაზზე ღვიძლში. ინსულინის დაბალი დონე და გლუკაგონის მაღალი დონე შიმშილის დროს ღვიძლში იწვევს გლუკონეოგენეზს და გლიკოგენოლიზს, რაც ხელს უშლის ჰიპოგლიკემიის განვითარებას. ამგვარად, უზმოდ გლუკოზის დონე განისაზღვრება ღვიძლის მიერ გენერირებული გლუკოზის დონის მიხედვით. ჭამის შემდეგ გლუკოზა მთავარი ფაქტორია, რომელიც ასტიმულირებს პანკრეასის β-უჯრედებში ინსულინის სინთეზს და სეკრეციას. სინთეზირებული ინსულინი ურთიერთქმედებს პერიფერიული ქსოვილების ინსულინ-რეცეპტორებთან (ჩონჩხის კუნთები და ცხიმოვანი ქსოვილი), იწვევს ტრანსმემბრანულ და უჯრედშიგა რეაქციებს, რაც ხელს უწყობს გლუკოზის შთანთქმას და გლუკოზის უტილიზაციას საკვების მიღების შემდეგ, რითაც ინარჩუნებს გლუკოზის ჰომეოსტაზს (Rovira-Llopis et al., 2017).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დროს, პანკრეასის კუნძულების დაზიანებული β-უჯრედები აღარ ახდენს ინსულინის სინთეზს და სეკრეციას. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს კი, β-უჯრედები კარგავს უნარს ადეკვატურად უპასუხონ გაზრდილ პერიფერიულ ინსულინრეზისტენტობას. სისხლში გლუკოზის მომატებული რაოდენობა ხელს უწყობს პრო-ანთებითი ციტოკინების სეკრეციას β-უჯრედებიდან, რაც იწვევს მონონუკლეური უჯრედების აქტივაციას და ადგილობრივად ციტოკინების პროდუქციის კიდევ უფრო გაზრდას. ეს ანთებითი რეაქცია იწვევს β-უჯრედების შემდგომ დაზიანებას.



ამგვარად, შაქრიანი დიაბეტი კომპლექსური მეტაბოლური დარღვევაა, რომელიც ხასიათდება ინსულინის პროდუქციისა და სეკრეციის შემცირებით, რაც აისახება მრავალი უჯრედის ფუნქციონირებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში გლუკაგონის გაზრდილი კონცენტრაცია ხელს უწყობს ჰიპერგლიკემიის სტაბილიზაციას. მაგრამ, გარდა ქრონიკული ჰიპერგლიკემიისა, შაქრიანი დიაბეტი ხასიათდება ნახშირწყლების, ცხიმის და ცილების მეტაბოლიზმის დარღვევით, რაც გამოწვეულია ინსულინის სეკრეციის დეფიციტით და/ან მისი მოქმედების მექანიზმის დაზიანებით. დაავადება ადრეულ სტადიაზე ყველაზე ხშირად შეიძლება გამოვლინდეს გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევით. შაქრიანი დიაბეტი იწვევს გრძელვადიან დაზიანებებს, მრავალი ორგანოს დაზიანებას და დისფუნქციას, რომელთა შორისაც, როგორც ზემოთ აღინიშნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვალების, თირკმელების, ღვიძლის, გულის და სისხლძარღვების დაზიანება (Bennett P.H. and Knowler W.C., 2005). შაქრიანი დიაბეტის დროს ორგანოთა დაზიანების პათოგენეზში მრავალი ფაქტორი მონაწილეობს (Cheville N. F., 2009), მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს ზიანდება როგორც გლუკოზის ინსულინდამოკიდებული ტრანსპორტის (მაგ. კუნთოვანი ქსოვილი), ისე ინსულინდამოუკიდებელი ტრანსპორტის ორგანოები.

იმის გამო, რომ შაქრიანი დიაბეტი კომპლექსური დაავადებაა და იწვევს მრავალი ორგანოს უჯრედულ დაზიანებას, მისი პათოგენეზური მექანიზმები სავარაუდოდ ინტერაქტიურია. შაქრიანი დიაბეტის დროს პანკრეასის კუნძულების  $\beta$ -უჯრედების დაზიანების მექანიზმების კვლევა დღესაც აქტუალურია. ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმადაა მიჩნეული კასპაზდამოკიდებული აპოპტოზის მექანიზმი. კასპაზა (caspase) წარმოადგენს ცისტეინ პროტეაზის ნაწილს, რომელიც ძირითადად ჩართულია აპოპტოზის

პროცესის საწყის ეტაპზე (Thornberry N.A. and Lazebnik Y., 1998). ყველაზე „ეფექტურია“ Caspase-3, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პროტეაზას, რომელიც „თიშავს“ მრავალი უჯრედული სუბსტრატის, ასევე დნმ-ის აღდგენასთან და რეგულაციასთან დაკავშირებულ კომპონენტების ურთიერთობას, რითაც იწვევს უჯრედის „დაპროგრამებულ“ სიკვდილს (Woo et al., 1998; Zhang et al., 2005). უჯრედების დაზიანებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ციკლოოქსიგენაზას ენზიმები. არსებობს სამი სხვადასხვა COX ენზიმი, რომლებიც ცნობილია როგორც COX-1, COX-2 და COX-3. ეს ენზიმები პასუხისმგებელია ისეთი პროსტანოიდების (მნიშვნელოვანი ბიოლოგიური შუამავლების) შექმნაზე, როგორიცაა პროსტაგლანდინები, პროსტაციკლინი და თრომბოქსანი. COX-ის ფარმაკოლოგიურ ინჰიბირებას შეუძლია ანთების და ტკივილის სიმპტომების შემსუბუქება (Morita I., 2002).

პირდაპირი მტკიცებულებები იმისა, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს ციტოპლაზმური  $Ca^{2+}$  იწვევს ინსულინის გრანულების ეგზოციტოზს, დადასტურებულ იქნა  $\beta$ -უჯრედებზე - დიაბეტის ექსპერიმენტულ მოდელებში. ამ უჯრედების პლაზმური მემბრანა შედარებით ადვილად შელწევადია, მემბრანული პოტენციალი ვარირებს ფართო დიაპაზონში და აგრეთვე, შესაძლებელია ციტოზოლური პატარა მოლეკულების კონცენტრაციის კონტროლი (Tamagawa et al., 1985). G პროტეინთან დაწყვილებული რეცეპტორი (GPCR) წარმოადგენს კალციუმის მიმართ მგრძობიარე რეცეპტორს (CaSR- calcium sensing receptor), რომელიც მონაწილეობს კალციუმის როგორც უჯრედშიგა, ისე უჯრედგარეთა ჰომეოსტაზის CaSR-თან დაკავშირებულ რეგულაციაში, რომლის დარღვევაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს უჯრედების დაზიანებაში. თუმცა, ასევე ნანახია სხვადასხვა ორგანოებში, რომლებიც არ იღებს მონაწილეობას

კალციუმის სისტემურ ჰომეოსტაზში (Brown E.M., 1991; Chattopadhyay et al., 1996; Brown E.M. and Macleod R.J., 2001).

ჰიპოქსიის გამომწვევ ფაქტორ -  $1\alpha$ -ს (HIF- $1\alpha$ ) მნიშვნელოვანი როლი აქვს დეგენერაციასა და ტრანსკრიფციის გააქტიურებაში, რომელიც ხელს უწყობს ანგიოგენეზის აქტივაციას (Brahimi-Horn M.C. and Pouyssegur J., 2007; Semenza G.L., 2007). ჰიპერგლიკემიით გამოწვეული პრო-ანთებითი ციტოკინების გაძლიერებული გამოყოფა ხელს უწყობს HIF- $1\alpha$ -ს წარმოქმნას და პანკრეასის  $\beta$ -უჯრედების, ასევე სხვა ორგანოთა უჯრედების დაზიანებას. აღსანიშნავია, რომ HIF- $1\alpha$  -ის ექსპრესია ასევე ინდუცირდება ნორმალურ პირობებშიც, როცა უჯრედები სტიმულირდება ზრდის ფაქტორით, ანთებითი ციტოკინებით, ლაქტატით ან პროსტაგლანდინებით (Laughner et al., 2001).

### **სასქესო სტეროიდული ჰორმონების რეცეპტორები და მათი გამოკვლევის მეთოდები.**

კვლევებმა ცხადყო, რომ ემბრიონის პანკრეასისაგან განსხვავებით, ზრდასრული ორგანიზმის პანკრეასში სასქესო სტეროიდების რეცეპტორები კონცენტრირებულია კუნძულოვან უჯრედებში (El Seifi et al., 1981). დადასტურებულ იქნა მოცირკულირე სასქესო სტეროიდების კონცენტრაციის გავლენა პანკრეასის მიერ ინსულინისა და სხვა ჰორმონების გამომუშავებაზე (Lenzen et al., 1984). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ანდროგენ-რეცეპტორები უფრო მეტი რაოდენობით ვლინდება სიმსივნის დროს (როგორც პანკრეასის ქსოვილში, ისე მის კულტურაში), ვიდრე ნორმულად, რაც ადასტურებს მათ მნიშვნელობას (აქტიურ მონაწილეობას) პათოლოგიურ პროცესში (Greenway et al., 1981; Andren-Sandberg et al., 1982; Corbishley et al., 1984).

ანდროგენების კონცენტრაციათა ცვლილებების კორელაციამ პანკრეასის

β-უჯრედების დაზიანებასთან და შაქრიან დიაბეტთან, ცხადია, გამოიწვია სასქესო ჰორმონების რეცეპტორების გამოკვლევით დაინტერესება. აღმოჩნდა, რომ პანკრეასი განეკუთვნება ე.წ. „ქალურ“ ორგანოებს, რომელშიც ესტროგენ-რეცეპტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობას. გაირკვა, რომ ესტროგენ-რეცეპტორი ERα წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მოლეკულას, რომელიც ჩაბმულია გლუკოზისა და ლიპიდების მეტაბოლიზმში. პანკრეასის β-უჯრედების ძირითადი ფუნქციაა ინსულინის ბიოსინთეზი და გამონთავისუფლება. ინსულინი ერთადერთი ჰორმონია, რომელიც პირდაპირ ამცირებს სისხლში გლუკოზის დონეს. ესტროგენ-რეცეპტორები ERα და ERβ განლაგებულია β-უჯრედებში. ERβ-ს ფუნქცია დღემდე უცნობია, ხოლო ERα მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინსულინის ბიოსინთეზის, ინსულინის სეკრეციისა და β-უჯრედების გადარჩენის რეგულაციაში. ესტროგენის და პროგესტერონის რეცეპტორები აღმოჩენილ იქნა ადამიანის პანკრეასის ადენოკარცინომის ქსოვილში. სასქესო სტეროიდების რეცეპტორების კვლევის ახალი მგრძობიარე მიკროანალიზის ტექნიკის გამოყენებამ ასევე გამოავლინა ანდროგენ-რეცეპტორებიც ხუთი ადამიანის პანკრეასის ადენოკარცინომის ნიმუშებში, მათ შორის სამ მამაკაცში; ერთ შემთხვევაში ანდროგენ-რეცეპტორები აღმოჩენილ იქნა პანკრეასის ქსენოტრანსპლანტატში, მოგვიანებით ანდროგენ-რეცეპტორები გამოვლინდა ზრდასრული პანკრეასის ხუთ ნიმუშში, მათ შორის ორ მამაკაცში და ორივე სქესის ნაყოფის პანკრეასის ქსოვილში. ამასთანავე, მათი რაოდენობა ჩამორჩებოდა ესტროგენ-რეცეპტორების რაოდენობას (Corbishley et al., 1986). ანდროგენ-რეცეპტორი (AR) არის ლიგანდ-დამოკიდებული ტრანსკრიფციის ფაქტორი, რომელიც განკარგავს სპეციფიკური გენების ექსპრესიას. ანდროგენ-რეცეპტორის კავშირი მისთვის სპეციფიკურ და ბუნებრივ ლიგანდთან

ტესტოსტერონთან და 5 $\alpha$ -დიჰიდროტესტოსტერონთან (DHT), ხელს უწყობს მამაკაცის სქესობრივ განვითარებას და დიფერენციაციას. ტესტოსტერონი ძირითადად სინთეზდება სათესლეს ლეიდიგის უჯრედებში, და ეს პროცესი რეგულირდება მალუთეინიზირებელი ჰორმონით (LH), რომელიც, თავის მხრივ, გამომუშავდება ჰიპოფიზის წინა წილის მიერ. LH სეკრეცია, თავის მხრივ, რეგულირდება გონადოტროპინ განმანთავისუფლებელი ჰორმონით (GnRH). სინთეზირებული ტესტოსტერონი ძირითადად უკავშირდება სისხლის პლაზმაში არსებულ სექს-ჰორმონ შემაკავშირებელ გლობულინს (SHBG) და ალბუმინს და მათთან ერთად ქმნის სისხლში მოცირკულაციე კომპლექსს (Rosner et al., 1991; Baker et al., 2002).

უჯრედის შიგნით ტესტოსტერონი გარდაიქმნება ტესტოსტერონის უფრო ძლიერ 5 $\alpha$ -ნაკლულ მეტაბოლიტად, 5 $\alpha$ -დიჰიდროტესტოსტერონად (DHT). DHT უკავშირდება ანდროგენ-რეცეპტორს მაღალი აფინურობით, განაპირობებს ენერგოტევადი (სითბოს გამომყოფი) ცილების დისტანცირებას ანდროგენ-რეცეპტორიდან, ააქტიურებს ანდროგენ-რეცეპტორის N-ის და C-ის შემცველი დაბოლოებების ურთიერთქმედებას და იკავშირებს იმპორტინ- $\alpha$ -ს, რაც უზრუნველყოფს ანდროგენ-რეცეპტორის გადაადგილებას ბირთვში. ბირთვში გადაადგილებული ანდროგენ-რეცეპტორი მონაწილეობს მოლეკულურ-ბიოლოგიურ პროცესებში და ზეგავლენას ახდენს დნმ-ისა და რნმ-ის სინთეზზე (Srinivas-Shankar et al., 2006). მამრობითი სქესის დიფერენციაცია შეუძლებელია ანდროგენ-რეცეპტორის არარსებობისას. მამაკაცებში ანდროგენ-რეცეპტორის ფუნქციის სრული დაკარგვა იწვევს ანდროგენისადმი სრული უგრძობელობის სინდრომს (McPhaul et al., 1991; Brinkmann et al., 2001).

სასქესო სტეროიდები ხშირად განიხილება როგორც რეპროდუქციული სისტემის ფიზიოლოგიური მოქმედებების მოდერატორები. მათი რეცეპტორების გამოვლენა წლების განმავლობაში ხდებოდა ბიოქიმიური, იმუნოჰისტოქიმიური და ავტორადიოგრაფიული მეთოდების გამოყენებით. ბიოქიმიური კვლევის დროს სამიზნე ორგანოს ქსოვილები ჰომოგენიზდება და ხდება რეცეპტორების რაოდენობრივი ბიოქიმიური ანალიზი. ავტორადიოგრაფია იძლევა საშუალებას ბირთვული რეცეპტორების ლოკალიზაციის ზუსტი განსაზღვრისათვის სპეციფიკურ უჯრედებში, მაგრამ ვერ საზღვრავს ციტოზოლის რეცეპტორებს (Winborn et al., 1987; Ruizeveld de Winter et al., 1991).

**ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობრივი შეფასებისათვის სამიზნე ორგანოს იმუნოჰისტოქიმიური კვლევა.**

ანდროგენ-რეცეპტორის ექსპრესიის გამოსავლენად იყენებენ ორმაგი იმუნოფერმენტული შეღებვის მეთოდს. კვლევა ეფუძნება პირშუშხას პეროქსიდაზას და ტუტე ფოსფატაზას გამოვლენას. ინკუბაციის შემდეგ ხდება არაპირდაპირი კონიუგირებული პეროქსიდაზის მეთოდის გამოყენება. ნაჭრები ინკუბირდება მონოკლონური ანტიდესმინური ანტისხეულით, რომელიც ზავდება 1:20 პროპორციით 37°C-ზე 30 წუთის განმავლობაში.

**რადიოიზოტოპური კვლევა ეფუძნება რადიოაქტიური ტესტოსტერონის ან ესტრადიოლის (5 $\alpha$ -დიჰიდრო ტესტოსტერონი ( $[^3\text{H}]$ DHT) და ესტრადიოლ-17 $\beta$  ( $[^3\text{H}]$ E $_2$ ) გამოსხივების რეგისტრაციას. გამოყენებული მეთოდიკების მიხედვით განარჩევენ რადიოგრაფიულ და რადიომეტრიული მეთოდებს.**

რადიომეტრიის დროს 4 მიკრომეტრი სისქის ნიმუშები დაჭრილ იქნა კრიოსტატით, დამონტაჟებულ იქნა სასაგნე მინებზე და დაფარულ იქნა NTB $_2$  „ბირთვული ბილიკის“ ამსახველი ემულსიით.



ანდროგენების ან ესტროგენების, ან ორივე რეცეპტორების რაოდენობრივი ანალიზი ხდებოდა ფოტოზე შესამჩნევი (გასარჩევი) ბირთვზე განლაგებული ვერცხლის მარცვლების მიკროსკოპში დათვლით (Arnold, A.P., 1981).

რადიომეტრიული ანალიზი ეფუძნება ანდროგენ- (ან ესტროგენ-) რეცეპტორთან შეჭიდული რადიოაქტიური ტესტოსტერონის (ან ესტრადიოლის) მიერ გამოსხივებული ენერჯის „დაჭერას“ სპეციალურ მთვლელში შემდგომი რაოდენობრივი ანალიზით. ამ მეთოდის დეტალური აღწერა იხილეთ თავში „მასალა და მეთოდები“.

ანდროგენ-რეცეპტორი მონაწილეობს უჯრედული პროცესების ფართო სპექტრში, როგორცაა პროლიფერაცია, დიფერენციაცია და აპოპტოზი. ანდროგენ-რეცეპტორების კვლევამ პანკრეასის  $\beta$ -უჯრედებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის ექსპერიმენტულ მოდელზე, რომელიც გამოწვეული იყო სტრეპტოზოტოცინის დაბალი დოზების მრავალჯერადი ინიექციით, გამოავლინა კორელაცია ანდროგენ-რეცეპტორსა და  $\beta$ -უჯრედების აპოპტოზ/პროლიფერაციას შორის. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ანდროგენ-რეცეპტორის ექსპრესიამ  $\beta$ -უჯრედებში პიკს მიაღწია ერთდღიანი შაქრიანი დიაბეტის პირობებში, შემდეგ კი თანდათანობით და მნიშვნელოვნად შემცირდა, და საერთოდაც გაქრა შაქრიანი დიაბეტის მოგვიანებით ვადებზე. ამასთანავე, TUNEL (Terminal deoxynucleotidyl transferase dUTP nick end labeling) - პოზიტიურ  $\beta$ -უჯრედებს თან ახლდა ანდროგენ-რეცეპტორების გაძლიერებული ექსპრესია, ხოლო Ki67-დადებით  $\beta$ -უჯრედებში კი ანდროგენ-რეცეპტორები ძალიან სუსტად, ან თითქმის არ ვლინდებოდა (Li et al., 2008). ზოგიერთი მკვლევარის აზრით ანდროგენ-რეცეპტორი შეიძლება გახდეს  $\beta$ -უჯრედების აპოპტოზის ერთ-ერთი ხელშემწყობი, ხოლო ანდროგენ-რეცეპტორის ანტაგონისტი ფლუტამიდი  $\beta$ -უჯრედების პროლიფერაციის ხელშემწყობი. შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის



განვითარებისას, ანდროგენ-რეცეპტორების ექსპრესიის შემცირება კორელაციაშია  $\beta$ -უჯრედების აპოპტოზის შემცირებასთან და ამავე უჯრედების პროლიფერაციასთან (Li et al., 2008).

3. ლინმა გამოიკვლია ანდროგენ-რეცეპტორის როლი ვირთაგვების ღვიძლში. მან მოახერხა მიზნობრივად „ამოელო“ ანდროგენ-რეცეპტორები ჰეპატოციტებიდან, რის შედეგადაც შექმნა ვირთაგვების ე.წ. H-AR<sup>-y</sup> ხაზი. 8 კვირიანი მაღალკალორიული კვების შემდეგ, მამრ H-AR<sup>-y</sup> ვირთაგვებს განუვითარდათ სიმსუქნე და ღვიძლის სტეატოზი (Lin et al., 2008).

ცნობილია, რომ ღვიძლის სტეატოზი აქვეითებს ინსულინისადმი მგრძობელობას (იწვევს ინსულინრეზისტენტობის გაზრდას, რაც ვლინდება ინსულინის მიერ ღვიძლისმიერი გლუკოზის პროდუქციის ვერ- ან ნაკლებად დათრგუნვით. მაღალკალორიულ დიეტაზე მყოფ H-AR<sup>-y</sup>-ს ჯიშის მამრ ვირთაგვებში გამოვლინდა უზმოდ ჰიპერგლიკემია და ინსულინრეზისტენტობა, რაც მიუთითებს გლუკოზის ჰომეოსტაზის და ინსულინისადმი მგრძობელობის დარღვევას. ამასთანავე ნაჩვენებია იქნა, რომ ფოსფატიდილინოზიტოლ 3-კინაზ-ის შემცირებული აქტივაცია, კორელაციაშია ღვიძლისმიერი გლუკოზის სეკრეციის გაძლიერებასთან და ინსულინრეზისტენტობის განვითარებასთან (Lin et al., 2008; Yu et al., 2013).

### თავი III

#### მასალა და მეთოდები

კვლევა ჩატარდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბაზაზე.

ექსპერიმენტი განხორციელდა Wistar-ის ჯიშის თეთრ ვირთაგვებზე, ასევე გამოყენებულ იქნა საარქივო მასალა (ბიოლოგიის დოქტორის - ნელი დიდებულის ექსპერიმენტები; ქვემოთ მითითებული იქნება, თუ კვლევის რომელი ფრაგმენტი განხორციელდა საარქივო მასალაზე).

კვლევის გეგმა დამტკიცებულ იქნა ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის ბიოეთიკის კომისიის სხდომაზე (2015 წლის 3 თებერვლის სხდომის თავმჯდომარე - პროფ. ნოდარ ჭიჭინაძე).

ექსპერიმენტული კვლევის დროს დაცული იყო ლაბორატორიული ცხოველების მოვლისა და ცდებში გამოყენების მოთხოვნები, რომელიც მოწოდებულია აშშ ეროვნული აკადემიების ეროვნულ კვლევათა საბჭოს მიერ დამტკიცებული გაიდლაინით (Guide for the Care and Use of Laboratory Animals (8th edn) by the National Research Council of the National Academies Washington, DC: National Academies Press, 2011 - NRC 2011).

კვლევა ჩატარდა მამრობითი სქესის მეორე პოსტპუბერტული პერიოდის ზრდასრულ Wistar-ის ჯიშის 100 ვირთაგვაზე, რომელთა წონა შეადგენდა 180-200 გრამს. ცხოველები განთავსებული იყვნენ ვივარიუმში, ინდივიდუალურ გალიებში სტანდარტულ ტემპერატურაზე 24°C, სინათლისა და სიბნელის 12-საათიანი მონაცვლეობის რეჟიმში. კვების რაციონს შეადგენდა კომბინირებული საკვები მღრღნელებისათვის (კომპანია KIKI -ის პროდუქცია). ცხოველების დაშვება საკვებთან და წყალთან იყო თავისუფალი.

საკვლევი ჯგუფების ცხოველებში შაქრიანი დიაბეტის მოდელირებას

ვახდენდით ალოქსანის (Chemos GmbH & Co.KG (Germany)) ერთჯერადი შეყვანით ინტრაპერიტონეალურად, დოზით 2,0 მგ 10 გ წონაზე (Furman B.L., 2015). ინიექციები ხორციელდებოდა ნიღბით ეთერის ნარკოზის პირობებში.

საკონტროლო ჯგუფის ცხოველებს, ასევე ნარკოზის პირობებში, ინტრაპერიტონეალურად უკეთდებოდათ ფიზიოლოგიური ხსნარი;

ცხოველები, რომელთაც განუვითარდათ ალოქსანური დიაბეტი, დაყოფილ იქნა ოთხ ჯგუფად:

I ჯგუფი შეადგინა 20-მა ვირთაგვამ, რომელთა გამოკვლევა (ცდიდან გამოყვანა) ხდებოდა ალოქსანის ინტრაპერიტონეალური ინიექციიდან მე-15 დღეს;

II ჯგუფი შეადგინა 20-მა ვირთაგვამ, რომელთა გამოკვლევა (ცდიდან გამოყვანა) ხდებოდა ალოქსანის ინტრაპერიტონეალური ინიექციიდან 30-ე დღეს;

III ჯგუფი შეადგინა 20-მა ვირთაგვამ, რომელთა გამოკვლევა (ცდიდან გამოყვანა) ხდებოდა ალოქსანის ინტრაპერიტონეალური ინიექციიდან 45-ე დღეს;

IV ჯგუფი შეადგინა 20-მა ვირთაგვამ, რომელთაც, დაწყებული ალოქსანის ინტრაპერიტონეალური ინიექციიდან 31-ე დღეს, 15 დღის განმავლობაში უკეთდებოდა 0,5 მგ. სინთეზური რადიონერტული ანდროგენი - მეთილტრიენოლონი. ამ ჯგუფის ცხოველების გამოკვლევა (ცდიდან გამოყვანა) ხდებოდა ალოქსანის ინტრაპერიტონეალური ინიექციიდან 45-ე, ანუ მეთილტრიენოლონით მკურნალობის მე-15 დღეს.

ცდიდან გამოყვანამდე 1 სთ-ით ადრე, როგორც საკონტროლო, ისე საკვლევი ჯგუფების ყველა ცხოველს, ეთერის ნარკოზის პირობებში ინტრაპერიტონეალურად უკეთდებოდა  $3,7 \times 10^4$  Bq სინთეზური რადიოაქტიური ანდროგენი - მეთილტრიენოლონი [17 $\alpha$ -METHYL-3H] (R-1881).

ნარკოზში მყოფი ცხოველების ქვემო ღრუ ვენიდან ვიღებდით სისხლს მასში გლუკოზის, იმუნორეაქტიული ინსულინის (IRI), კორტიკოსტერონის,

ესტრადიოლისა (E2) და ტესტოსტერონის (T) კონცენტრაციების განსაზღვრისათვის.

სინთეზური რადიოაქტიური ანდროგენის - მეთილტრიენოლონის ინიექციიდან ერთი საათის შემდეგ, როგორც საკვლევი, ისე საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ცდიდან გამოყვანა ხდებოდა ეთერის ნარკოზის გაღრმავებით.

ცხოველების სიკვდილის დადგომისთანავე, მიკროქირურგიული ხელსაწყოების გამოყენებით ხდებოდა პანკრეასის და ღვიძლის ამოკვეთა. პანკრეასის გამოკვლევა ხდებოდა მასში დიაბეტური ცვლილებების დადასტურებისა და ამ ცვლილებების ხარისხის განსაზღვრის მიზნით. ღვიძლი კი შერჩეულ იქნა, როგორც ორგანო, რომლის უჯრედებშიც გლუკოზის ტრანსპორტი არაა პირდაპირ დამოკიდებული ინსულინზე (მისგან დამოუკიდებლად ხორციელდება).

ამოკვეთილი ორგანოები ექვემდებარებოდა შემდგომ დამუშავებას მორფოლოგიური და რადიომეტრული კვლევის მიზნით.

ექსპერიმენტული ცხოველების განაწილება საკვლევი ჯგუფების და ჩატარებული გამოკვლევების ჩვენებით წარმოდგენილია N1 ცხრილში.

სისხლში გლუკოზას ვსაზღვრავდით სტანდარტული გლუკოზოოქსიდაციური მეთოდით (Christensen N.J., 1967; 2009), იმუნორეაქტიული ინსულინის და ჰორმონების კონცენტრაციის განსაზღვრისათვის ვიყენებდით კომერციულ კიტ-ნაკრებებს: იმუნორეაქტიული ინსულინისა და სომატოტროპინისათვის - SEA-IRE-SORIN-ის ფირმის (საფრანგეთი); კორტიკოსტერონისათვის - RSL.,Inc. ფირმის (კალიფორნია), ტესტოსტერონისათვის - SORIN BIOMEDICA - ფირმის (იტალია); ესტრადიოლისათვის - ORIS Industrie S.A. International GIS ფირმის (საფრანგეთი). ასევე ვითვლიდით მდედრისა და მამრის სასქესო ჰორმონების კონცენტრაციათა თანაფარდობას სისხლში (E2/T).

### ცხრილი N1

ექსპერიმენტული ცხოველების განაწილება საკვლევი ჯგუფების და ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით

კვლევის ჯგუფები და ცხოველთა რაოდენობა	საკონტროლო ჯგუფი	I ჯგუფი ალოქსანის ინიექციიდან მე-15 დღეს	II ჯგუფი ალოქსანის ინიექციიდან 30-ე დღეს	III ჯგუფი ალოქსანის ინიექციიდან 45-ე დღეს	IV ჯგუფი ალოქსანის ინიექციის 31-ე დღიდან მეთილ- ტრიენოლონით მკურ- ნალობის მე-15 დღეს
რაოდენობრივი კვლევები	20	20	20	20	20
გლუკოზა	+	+	+	+	+
იმუნორეაქტიული ინსულინი	+	+	+	+	+
კორტიკოსტერონი	+	+	+	+	+
ესტრადიოლი	+	+	+	+	+
ტესტოსტერონი	+	+	+	+	+
დნმ	+	+	+	+	+
რნმ	+	+	+	+	+
ანდროგენ რეცეპტორი	+	+	+	+	+
ჰეპატოციტების პლოიდობა	+	+	+	+	+

ჰორმონების განსაზღვრის შედეგები აღებულია მორფოლოგიის ინსტიტუტის საარქივო მასალიდან.

ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის პირობებში, ღვიძლში განვითარებული მეტაბოლური ცვლილებების შეფასებისათვის, ერთი მხრივ, და დიაბეტური დისმეტაბოლიზმის ანდროგენით (სინთეზური რადიოაქტიური მეთილტრიენოლონი) კორექციის პროცესში ანდროგენული რეცეპტორების მონაწილეობის შეფასებისათვის, მეორე მხრივ, ვახდენდით ღვიძლის ქსოვილში ნუკლეინური მჟავების სინთეზის ინტენსივობის და ანდროგენული რეცეპტორების რაოდენობის განსაზღვრას.

ანდროგენული რეცეპტორების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით ცხოველის ღვიძლის ხუთი წილის ცენტრალური და პერიფერიული უბნებიდან ვიღებდით ქსოვილის 3x5x5 მმ<sup>3</sup> ზომის ფრაგმენტებს. მასალის ნაწილს ვწონიდით,

ვახდენდით მის ჰომოგენიზაციას და ვათავსებდით სცინტილაციური სითხის 5 მლ-ის შემცველ მინის ფლაკონებში, რომლებსაც ვდებდით დანადგარ „ბეტა-2“-ში (რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ЗАО “ВНИИМП-ВИТА”) ცენტრის წარმოება) რადიაქტიული იმპულსების რაოდენობის განსაზღვრისათვის. იმპულსების რაოდენობრივი შეფასება ხდებოდა იმპულსი/გრამი/წუთი ერთეულით (იმპ/გრ/წთ) (Benito et al., 2012).

ანდროგენ-რეცეპტორების განსაზღვრის შედეგები აღებულია მორფოლოგიის ინსტიტუტის საარქივო მასალიდან. ნუკლეინური მჟავების სინთეზის ინტენსივობის შეფასებისათვის, დნმ-ისა და რნმ-ის რაოდენობის შესწავლას ღვიძლის ქსოვილში ვახდენდით რადიაქტიული  $H^3$ -თიმიდინის (I.U.  $8.14 \times 10^{11}$  Bq/ml) და  $H^3$ - ურიდინის (I.U.  $8.8 \times 10^{11}$  Bq/ml) ჩართვის მიხედვით. ამისათვის, ანდროგენული რეცეპტორების რაოდენობის განსაზღვრის შემდეგ დარჩენილი მასალის ნაწილს ვწონდით, ვათავსებდით 5 მლ გარემო 199 ხსნარის შემცველ ფლაკონებში (Anisimov V.N. and Khavinson V.K., 2010) და ვუმატებდით რადიაქტიურ კომპონენტს: დნმ-ის რაოდენობის განსაზღვრისათვის -  $H^3$ -თიმიდინს (დოზით  $3.7 \times 10^5$  Bq/ml) (Benito et al., 2012; Didebulidze et al., 2015), ხოლო რნმ-ის რაოდენობის განსაზღვრისათვის -  $H^3$ - ურიდინს (დოზით  $3.7 \times 10^6$  Bq/ml.) (Benito et al., 2012; Didebulidze et al., 2015), ინკუბაციისათვის ფლაკონები თავსდებოდა თერმოსტატში  $+38^{\circ}C$ -ზე 90 წუთის განმავლობაში. ინკუბაციის შემდეგ ფრაგმენტები ირეცხებოდა ცივ ( $+4^{\circ}C$ ) მკვებავ არეში, ხდებოდა მათი ჰომოგენიზაცია და განთავსება სცინტილაციური სითხის 5 მლ-ის შემცველ მინის ფლაკონებში, რომლებიც თავსდებოდა დანადგარ „ბეტა-2“-ში რადიაქტიული იმპულსების რაოდენობის განსაზღვრისათვის.

ჰისტოლოგიური შესწავლისათვის პანკრეასის და ღვიძლის ქსოვილის ფრაგმენტებს ვაფიქსირებდით 7,2-7,4 pH ფოსფატურ ბუფერზე დამზადებულ ფორმალდეჰიდის 4%-იან ხსნარში (ფორმალინის 10%-იან ხსნარში), 24 საათის

განმავლობაში. ფიქსაციის შემდეგ მასალის გაუწყლოება მიმდინარეობდა ჯერ აღმავალი სპირტების (50<sup>0</sup> - 100<sup>0</sup>) ბატარეაში, შემდეგ კი - ქსილოლში. ქსოვილს ვაყალიბებდით პარაფინში. მიღებულ ბლოკებს ვჭრიდით 3-4 მკმ-ის სისქის ანათლებად და ვღებავდით ჰემატოქსილინ-ეოზინით. პრეპარატებს ვიკვლევდით „Micros“-ის ფირმის ტრინოკულარულ სინათლის მიკროსკოპში, რომელიც უზრუნველყოფილი იყო ციფრული ვიდეო კამერით. აღნიშნული კამერით ხდებოდა საკვლევი მასალის ფიქსირება ციფრულ ფორმატში (jpg, tif) და მისი შემდგომი თვისობრივი და რაოდენობრივი (მორფომეტრიული) ანალიზი.

პანკრეასის ქსოვილის ჰისტოლოგიურ ანათლებზე ვახდენდით კუნძულების იდენტიფიკაციას და მასში β-უჯრედების რაოდენობისა და დაზიანების ხარისხის შეფასებას.

კომპიუტერულ პროგრამა Adobe Photoshop და Image J software იქნა გამოყენებული (1-ა,ბ) პანკრეასის კუნძულების საშუალო ზომების (ჰისტოლოგიურ ანათლებზე კუნძულების ფართობის [იზომებოდა მკმ<sup>2</sup>]) განსაზღვრისათვის და (2-ა,ბ) შაქრიანი დიაბეტის მქონე ცხოველთა პანკრეასის კუნძულებში ნეკროზული უბნების გასაზომად (სურათი N1,2).


თითოეული ჯგუფიდან მორფომეტრიულ ანალიზს ექვემდებარებოდა 5 ცხოველი, თითოეული ცხოველის პანკრეასიდან და ღვიძლიდან ვსწავლობდით 10 ანათალს. შემოსაზღვრული ფართობის ზომებს კომპიუტერული პროგრამა აღრიცხავდა პიკსელებში და ავტომატურად გადაჰყავდა Microsoft Excel-ის ფორმატის ცხრილებში (სურათი N1,2; ცხრილი N2).

ღვიძლის დაზიანების ხარისხი ფასდებოდა 5-ბალიანი „ვიზუალური სკალით“, სადაც „1“ შეესაბამება „ნორმა“-ს (პრაქტიკულად ცვლილებების გარეშე), ხოლო „5“ – „მძიმე დეგენერაციულ“ (ნეკროზულ) ცვლილებებს.


ღვიძლის ქსოვილში დამატებით ვსაზღვრავდით ჰეპატოციტების პლოიდობის მაჩვენებელს (ასეთი დამატებითი კვლევის საჭიროება გამოიწვია



ღვიძლში ნუკლეინური მჟავების სინთეზის ინტენსივობის კვლევის შედეგებმა).



**სურათი N1.** (ა,ბ) ფართობის გასაზომად შემოხაზულია პანკრეასის ლანგერჰანის კუნძული. H&E, ობიექტივი 20, ოკულარი 15; Adobe Photoshop.



**სურათი N2.** (ა,ბ) ფართობის გასაზომად შემოხაზულია პანკრეასის კუნძულებში ნეკროზული უბნები. H&E, ობიექტივი 20, ოკულარი 15; Adobe Photoshop.

**ცხრილი N2.** შემოსაზღვრული ფართობის ზომები მკმ<sup>2</sup>-ში (ნიმუში).

პროცესი	ნიმუში	კალიბრაცია	ფართობი	პერიმეტრი
გაზომვა	1.jpg	83 პიქსელი = 7,5000 მიკრონი	16571,29573	499,957045
გაზომვა	2.jpg	58 პიქსელი = 7,5000 მიკრონი	10128,14358	414,695169

ჰეპატოციტების პლოიდობის განსაზღვრისათვის, ვირთაგვას ღვიძლის 5x5x3 მმ ზომის ნაჭრებს თანმიმდევრულად ვათავსებდით ორ ბუფერში: I ბუფერში (p<sup>H</sup> 8,0 - 5%-იანი საქაროზის 100მლ + 0,07 M Na<sub>2</sub>HPO<sub>4</sub>-ის 95 მლ + 0,07 M KH<sub>2</sub>PO<sub>4</sub>-ის 5მლ) 20 წუთის განმავლობაში, ხოლო II ბუფერში (p<sup>H</sup> 7,3 - 0,07 M Na<sub>2</sub>HPO<sub>4</sub>-ის 80%-იანი ხსნარი + 0,07M KH<sub>2</sub>PO<sub>4</sub>-ის 20%-იანი ხსნარი) 5 წუთის

განმავლობაში. გაჯირჯვებული ქსოვილის გამოწვლილვით მიღებულ „წვეთებს“ ვაწვეთებდით სასაგნე მინაზე და ვაკეთებდით ნაცხებს, რომელსაც ვაფიქსირებდით მეთანოლით. დნმ-ს სპეციფიკურად შეღებვისათვის ვიყენებდით შიფის რეაქტივს (ფიოლგენის რეაქციას). პრეპარატებს, ჰიდროლიზის მიზნით, ვათავსებდით 10M LiCl-სა და 2 M HCl -ის ნარევი (9:1) 30 წუთის განმავლობაში, შემდეგ ვავლებდით HCl-ის 0.01 M ხსნარში. საღებავში პრეპარატებს ვაჩერებდით 1 საათის განმავლობაში, შემდეგ ვავლებდით გოგირდოვან წყალში (5გ  $K_2S_2O_5$ -ს ემატება 950 მლ დისტილირებული წყალი და 50 მლ HCL) 3-ჯერ. ამის შემდეგ ვავლებდით HCL 0.01M ხსნარში, ვატარებდით აღმავალი კონცენტრაციის სპირტებში და ვფარავდით საფარი მინით.

ამ წესით შეღებილი პრეპარატების ფოტოგრაფირება ხდებოდა Micros-ის ფირმის სინათლის მიკროსკოპში (90X10) ინტერფერენციული ფილტრის გამოყენებით, რომელიც მხოლოდ ერთი სიგრძის (570 ნმ) ტალღის მქონე სინათლის სხივს ატარებს. თითოეული სურათი მუშავდებოდა კომპიუტერულ პროგრამა Image J-ში. გადაგვყავდა 32 bit-ში, ვახდენდით ინვერტირებას (ფონი მუქდება, ხოლო ბირთვები ღია ფერს იღებს), ვხაზავდით თითოეულ ბირთვს და ვზომავდით შეღებვის ინტენსიურობას.

აღწერილი მეთოდი საკმაოდ შრომატევადია. აღნიშნულის გამო ჩვენ ვცადეთ ჰეპატოციტების პლოიდობის შეფასება მათი ბირთვების ზომების (ჰისტოლოგიურ ანათლებში ბირთვების ფართობის) შედარებითი ანალიზით, პროგრამა Adobe Photoshop-ის გამოყენებით. ვახდენდით ჰემატოქსილინითა და ეოზინით შეღებილი პრეპარატების ინვერტირებას, რის შედეგადაც მუქ ფონზე კარგად იკვეთება ბირთვების კონტურები, შემოვხაზავდით თითოეულ ბირთვს და ვზომავდით შემოხაზულ ფართობს, რომლის ზომასაც პიქსელებში აღრიცხავდა Adobe Photoshop-ის პროგრამა და ავტომატურად გადაყავდა Microsoft Excel-ის ფორმატის ცხრილებში (სურათი N15; ცხრილი N4).

პილოტურმა ცდამ დაადასტურა, რომ ფოლგენის რეაქციით შეღებილი და შემდგომში ჩვენს მიერ მოდიფიცირებული (წინა აბზაცში აღწერილი) მეთოდით შეფასებული პლოიდობის მაჩვენებელი არ განსხვავდება ჩვენს მიერ შემოთავაზებული „გამარტივებული“ მეთოდით შეფასებული პლოიდობის მაჩვენებლისაგან. აღნიშნულის გამო კვლევა გავაგრძელებთ ამ უკანასკნელის გამოყენებით.

ყველა კვლევის (როგორც ბიოქიმიური, ისე მოლეკულურ-ბიოლოგიური და მორფოლოგიური) შედეგების სტატისტიკურ ანალიზს ვაწარმოებდით კომპიუტერული პროგრამის IBM SPSS 20-ის მეშვეობით.

## თავი IV

### შედეგები და განსჯა

შაქრიანი დიაბეტი ლანგერჰანსის კუნძულების  $\beta$ -უჯრედების პროგრესული დაზიანების შედეგია (Eisenbarth et al., 1987). სხვადასხვა მექანიზმი, რომელიც შემოთავაზებული იყო  $\beta$ -უჯრედების დაზიანების ახსნისათვის (Rabinovitch A., 1992; Mathis et al., 2001), საფუძვლად დაედო შაქრიანი დიაბეტის მოდელირებას ექსპერიმენტში.

შაქრიანი დიაბეტი პროგრესირებადი ქრონიკული დაავადებაა, თუმცა ექსპერიმენტულ მოდელებში დაწყებითი დაზიანებები შეინიშნება ადრეულ სტადიებზე. კვლევებმა აჩვენა, რომ ვირთაგვებში სტრეპტოზოტოცინით გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის პირობებში პანკრეასის კუნძულების მორფოლოგიური დაზიანება ვლინდება დაავადებიდან 3 დღეში (Komers et al., 2001; Ozmen et al., 2007). მსგავსი შედეგები შეინიშნა კვლევაში, სადაც, გლუკოზურია გამოვლინდა სტრეპტოზოტოცინის ინიექციიდან სამ დღეში. აღსანიშნავია, რომ შაქრიანი დიაბეტის პირობებში ზიანდება არა მხოლოდ პანკრეასის კუნძულები. ექსპერიმენტული დიაბეტის მე-3, მე-4 და მე-5 დღეს, ცვლილებების განვითარება ჰისტოლოგიურად და იმუნოჰისტოქიმიურად დადასტურდა ღვიძლის და თირკმელის ქსოვილებშიც. ლანგერჰანსის კუნძულებში, ღვიძლში და თირკმელში მოიმატა caspase-3-ის, COX-1-ის, COX-2-ის, CaSR-ის და HIF-1 $\alpha$ -ის ექსპრესიამ. ამ შედეგებმა განამტკიცა იდეა, რომ შაქრიანი დიაბეტის დროს უჯრედების დაზიანება იწყება დაავადების ძალიან ადრეულ ეტაპზე. კვლევების მიხედვით, შაქრიანი დიაბეტის პირობებში ორგანოთა დაზიანებას იწვევს ისეთი მექანიზმები, როგორცაა ჰიპოქსია, აპოპტოზი და კალციუმის შემოდინება (Komers et al., 2001; Ozmen et al., 2007).

სტრუქტოზოტოცინით გამოწვეული დიაბეტისაგან განსხვავებით, ალოქსანით აღძრული შაქრიანი დიაბეტის პირობებში დაზიანებას უფრო ქრონიკული ხასიათი აქვს. ალოქსანური დაზიანების დროს ადგილი აქვს პანკრეასის  $\beta$ -უჯრედების როგორც იშემიურ (ჰიპოქსია და კალციუმის შემოდინება უჯრედებში) და ტოქსიკურ (ალოქსანის უშუალო ზემოქმედება), ისე აპოპტოზურ დაზიანებას.

მიჩნეულია, რომ  $\beta$ -უჯრედების დაზიანება (დესტრუქცია) ძირითადად მიმდინარეობს კასპაზ-დამოკიდებული აპოპტოზის მექანიზმით (Maedler et al., 2001).

ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის ალოქსანური მოდელი ერთ-ერთი ფართოდ გამოყენებული მოდელია მღრღნელებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის გამოსაწვევად. ალოქსანი შერჩევითად აზიანებს პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულების  $\beta$ -უჯრედებს. მისი ერთჯერადი ინიექცია იწვევს  $\beta$ -უჯრედების ტოქსიკურ და აპოპტოზურ ცვლილებებს, ჰიპოინსულინემიას და ჰიპერგლიკემიას (Etuk E.U., 2010), რაც, თავის მხრივ, აღძრავს დისმეტაბოლიზმური მექანიზმების კასკადს, მათ შორის ისეთ პროცესებსაც, რომლებიც ააქტიურებს  $\beta$ -უჯრედების აპოპტოზს (Bonner-Weir S. and Weir G.C., 2005). ამრიგად, ალოქსანური დიაბეტის მოდელში, რომელიც 1,5-დან 2 თვემდე, ზოგი დაკვირვებით კი - 3 თვემდე გრძელდება, „მონაწილეობს“  $\beta$ -უჯრედების როგორც ნეკროზული, ისე აპოპტოზური დაზიანებები (Morgan et al., 1994). შემდგომ ვადებზე ვითარდება რეგენერაციული პროცესები და პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულები აღიდგენს ტიპურ სტრუქტურას.

როგორც ნაშრომის III თავში - „კვლევის მასალა და მეთოდები“ - აღვნიშნეთ, როგორც საკონტროლო, ისე კვლევითი ჯგუფების ცხოველებში (ექსპერიმენტის ყველა ვადაზე) ვაწარმოებდით მორფოლოგიურ (მიმოხილვითი

ჰისტოლოგია, მორფომეტრია, იმუნოჰისტოქიმია), ბიოქიმიურ და რადიოიზოტოპურ გამოკვლევებს.

პანკრეასისა და ღვიძლის ქსოვილის მორფოლოგიური ცვლილებები ალოქსანური დიაბეტის დინამიკაში და მისი მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ.

მორფოლოგიურად ვიკვლევდით პანკრეასისა და ღვიძლის ქსოვილებს; ბიოქიმიური კვლევის მეთოდებით ვსაზღვრავდით სისხლში გლუკოზის, იმუნორეაქტიული ინსულინის, ტესტოსტერონის, ესტრადიოლის და კორტიზოლის შემცველობას (კონცენტრაციებს), ხოლო რადიოიზოტოპური კვლევით ვახდენდით ღვიძლის უჯრედებში დნმ-ის და რნმ-ის, აგრეთვე, ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობრივ შეფასებას (ყველა მეთოდი დეტალურად იყო აღწერილი III თავში).

საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში ჰემატოქსილინ-ეოზინით (H&E) შეღებილი ანათლების გამოკვლევამ აჩვენა, რომ პანკრეასს და ღვიძლს აქვს ნორმალური ჰისტოლოგიური სტრუქტურა.


კერძოდ, ლანგერჰანსის კუნძულები პანკრეასის ქსოვილში გამოირჩევა როგორც არაკავსულირებული, მაგრამ ირგვლივმდებარე ქსოვილიდან კარგად გამოყოფილი, შედარებით ნათლად (მკრთალად) შეღებილი მრგვალი ან ოვალური ფორმის უბნები, რომლებიც ფორმირებულია ერთმანეთისაგან სისხლძარღვოვანი კაპილარებით გამოყოფილი სხვადასხვაგვარი უჯრედების ჯგუფებით. კუნძულები შედგება რამდენიმე ენდოკრინული ტიპის უჯრედებისგან ( $\alpha$ -,  $\beta$ -,  $\delta$ -,  $\epsilon$ - და პანკრეასული პოლიპეპტიდის [PP] უჯრედები), რომელთაგან თითოეული გამოიმუშავებს სპეციფიკურ ჰორმონს, რომელიც პასუხისმგებელია გლუკოზის ჰომეოსტაზის შენარჩუნებაზე შიმშილისა და მადრობის დროს. ამ უჯრედის ტიპებს შორის ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია ორგანიზმის მეტაბოლური სტატუსისთვის (Bluestone et al., 2010; Ashcroft F.M. and Rorsman P.,




2012). ჩვენს პრეპარატებზე  $\beta$ -უჯრედებს, ძირითადად, უკავიათ კუნძულების ცენტრალური უბნები, თუმცა იშვიათად, მათი საშუალებით შექმნილი რიგი, როგორც „მოსაზღვრე ფირფიტა“, ისე გამოყოფს პანკრეასის კუნძულს ეგზოკრინული პანკრეასის ქსოვილისაგან.

ღვიძლის ფირფიტები ძირითადად წარმოდგენილია ჰეპატოციტთა ერთშირიანი ლაბირინთით, რომელიც დაცხრილულია სინუსოიდების ქსელით. ჰეპატოციტთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთბირთვიანია, ხოლო ბირთვები, ცალკეული გამონაკლისების გარდა - დიპლოიდურია.

ამდენად, საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების როგორც პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულის, ისე ღვიძლის სტრუქტურა სრულად შეესაბამება მღრღნელებში ამ ქსოვილთა სტანდარტულ სქემებს (სურათი N3; N4), რომლებიც მრავალი კვლევიტაა დადასტურებული.



**სურათი N3.** პანკრეასის კუნძულები ენდოკრინული უჯრედებით. ა - სქემა (მოწოდებულია Blausen.com staff -ის მიხედვით. ["Medical gallery of Blausen Medical 2014". WikiJournal of Medicine 1 (2). DOI:10.15347/wjm/2014.010. ISSN 2002-4436]); ბ - ჰისტოლოგიური პრეპარატი. H&E. ობიექტივი  $\times 10$ , ოკულარი  $\times 15$ .



**სურათი N4.** ღვიძლის ქსოვილი. ა - სქემა; ბ - ჰისტოლოგიური პრეპარატი. H&E. ობიექტივი  $\times 20$  ოკულარი  $\times 15$ .




საკვლევი ჯგუფის ყველა ცხოველში, ალოქსანური დიაბეტის ყველა ვადაზე, გამოვლინდა დარღვევა პანკრეასის კუნძულებში. დესტრუქციული ცვლილებები, ძირითადად აღინიშნა  $\beta$ -უჯრედებში, რომელიც გამოიმუშავებს ინსულინს. ეს უნდა აიხსნას  $\beta$ -უჯრედებზე ალოქსანის სპეციფიკური დამაზიანებელი ეფექტით (სწორედ ეს სპეციფიკური ეფექტი უდევს საფუძვლად ექსპერიმენტული ალოქსანური დიაბეტის მოდელს) (Lenzen, S., 2008).

15-დღიანი ალოქსანური დიაბეტის მქონე ცხოველებში მიკროსკოპულმა გამოკვლევამ გამოავლინა ლანგერჰანსის კუნძულების  $\beta$ -უჯრედების დეგენერაციული და ნეკროზული დაზიანებები, განსაკუთრებით, მსხვილი სისხლძარღვების მიმდებარედ განლაგებულ კუნძულებში.  $\beta$ -უჯრედების ნაწილის ბირთვები ზომამში შემცირებულია, ნაწილში კი, პირიქით - მომატებულია შემუპების ხარჯზე. უჯრედთა ნაწილში აღინიშნება კარიოლიზისი;  $\beta$ -უჯრედების ნაწილი ნეკროზულია; ნაწილი განიცდის ვაკუოლიზაციას, ნაწილში კი აღინიშნება მუქად შეღებილი პიკნოზური ბირთვები. დეგენერაციული ცვლილებები ზოგჯერ უფრო მკვეთრად ვლინდება კუნძულების პერიფერიაზე, სადაც „თეთრი“ ფერის ვაკუოლიზებული უჯრედები წარმოქმნის ერთგვარ „სასაზღვრო ფირფიტას“ (ამ სახელს ვუწოდებთ ღვიძლის „სასაზღვრო ფირფიტის“ ანალოგიით), ხოლო ზოგჯერ ცენტრში, სადაც ვაკუოლიზებული ან ქაფისმსგავსი გამჭვირვალე ციტოპლაზმის მქონე უჯრედები გროვებადაა თავმოყრილი (სურათი N5).


მიუხედავად დაზიანებულ უჯრედთა ნაწილის კოლიქვაციისა, ლანგერჰანსის კუნძულები შეჭმუხნილია, რის გამოც გამწვანებულია სისხლის კაპილარების როგორც სანათურის, ისე ენდოთელიოციტების იდენტიფიკაცია (სურათი N6).

ამ ფონზე, აღსანიშნავია, რომ პანკრეასის აცინუსის ეპითელიუმი, სხვადასხვა დიამეტრის სადინარები და შემაერთებული ქსოვილი ინარჩუნებს

ნორმალურ სტრუქტურას (სურათი N7). ზოგიერთი ეგზოკრინული აცინუსის უჯრედებში აღმოჩენილი ციტოპლაზმის ვაკუოლიზაცია, შეიძლება გამონაკლისად მივიჩნიოთ.



სურათი N5,6. პანკრეასის კუნძულების სტრუქტურა ალოქსანური დიაბეტის მე-15 დღეს. H&E. ობიექტივი x20 ოკულარი x15. (უჯრედების ნეკროზი ✦; უჯრედშორისი სივრცის შეშუპება ⤴; β-უჯრედების ჰიპერტროფია და ვაკუოლიზაცია ▮; β-უჯრედების პიკნოზური ბირთვები (არარეგულარული ჰიპერქრომული ბირთვები) ◼ ; კუნძულის ციტოპლაზმური დეგენერაციული ცვლილებები Δ).



სურათი N7. ნორმალური სტრუქტურის პანკრეასის აცინუსის ეპითელიუმი, სისხლძარღვები და შემაერთებული ქსოვილი. H&E. ობიექტივი x20, ოკულარი x15.


ყველა ეს ცვლილება ტიპურია მღრღნელებში ალოქსანური დიაბეტის მოდელისათვის, მიუთითებს ლანგენჰანსის კუნძულების მნიშვნელოვან დაზიანებაზე და ზუსტად შეესაბამება სისხლში ინსულინის და გლუკოზის კონცენტრაციის ცვლილებებს (იხ. ცხრილი N3 (წარმოდგენილია დანართის სახით) და ცხრილი N4; დიაგრამა N5).

დადასტურებულია, რომ ალოქსანის და სტრეპტოზოტოცინის ინიექცია მოზრდილ ვირთაგვებში იწვევს მძიმე და შეუქცევად შაქრიან დიაბეტს, რომელიც შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის მსგავსია (Portha et al., 1974; Wilson et al., 1990; Haligur et al., 2012).  $\beta$ -უჯრედების კვდომა, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს ნეკროზით ან კასპაზ დამოკიდებული აპოპტოზით, წარმოადგენს ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის „ჩამოყალიბებულ“ სტადიას (Haligur et al., 2012). იმის გათვალისწინებით, რომ შაქრიანი დიაბეტის მე-15 დღეს გამოვლენილ იქნა ძირითადად ნეკროზული ცვლილებები, ხოლო აპოპტოზური „სხეულაკები“ აღმოჩენილ იქნა მხოლოდ ერთეულ უჯრედებში, უნდა დავასკვნათ, რომ ალოქსანური დიაბეტის მოდელს მე-15 დღეს, თავისი განვითარების პიკისთვის არ მიუღწევია.

30-დღიანი ალოქსანური დიაბეტის მქონე ცხოველების პანკრეასის კუნძულების მორფოლოგია ამჟღავნებს იმავე თავისებურებებს, რასაც 15-დღიანი ალოქსანური დიაბეტის მქონე ცხოველების პანკრეასის კუნძულების მორფოლოგია (სურათი N8 და სურათი N9).  $\beta$ -უჯრედების ნაწილში აღინიშნება მუქად შეღებილი პიკნოზური ბირთვები. ამასთანავე, ზოგიერთ კუნძულში დაზიანების ინტენსიობა განსაკუთრებით მაღალი იყო, რაც გამოიხატებოდა ნეკროზის უბნებისა და ნაკლები ხარისხით დაზიანებული უჯრედების გროვების მონაცვლეობით (ასეთი რამ ალოქსანური დიაბეტის მე-15 დღეს არ ყოფილა შემჩნეული) (სურათი N8). ალოქსანური დიაბეტის 30-ე დღეს, ასევე ვლინდება აპოპტოზური დაზიანების უბნებიც. სპეციალური (იმუნოჰისტოქიმიური) შედეგის არქონის გამო, ასეთი




დასკვნა, სამწუხაროდ, მხოლოდ მორფოლოგიის ინსტიტუტში არსებული ჰისტოპათოლოგიური კვლევის გამოცდილებას ეფუძნება. თუმცა სხვა, ანალოგიური პრეპარატების გამოკვლევის შედეგებთან შედარების გათვალისწინებით, აპოპტოზური სხეულების რაოდენობის მატება წინა ვადასთან შედარებით, სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ.



**სურათი N8,9.** ნეკროზის უბნებისა და ნაკლები ხარისხით დაზიანებული უჯრედების გროვები. H&E. ობიექტივი x20 ოკულარი x15. (უჯრედების ნეკროზი ✦; უჯრედშორისი სივრცის შეშუპება ✧; β-უჯრედების პიკნოზური ბირთვები (არარეგულარული ჰიპერქრომატიული ბირთვები) ▴; კუნძულის ციტოპლაზმური დეგენერაციული ცვლილებები Δ; უჯრედის სიმკვრივის შესამჩნევი შემცირება □).

ალოქსანური დიაბეტის 45-ე დღეს კი პანკრეასის მორფოლოგიური სურათი პრაქტიკულად არ განსხვავდება 30-ე დღის სურათისაგან (სურათი N10,11).




**სურათი N10,11.** H&E. ობიექტივი x20 ოკულარი x15.

დაზიანების ინტენსიობის მატების შეჩერება, სავარაუდოდ შეიძლება უკავშირდებოდეს ალოქსანის დამაზიანებელი ეფექტის „პლატოს“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს, რომ ალოქსანური დიაბეტის 45-ე დღიდან იწყება ალოქსანის დამაზიანებელი მოქმედების ეფექტის შემცირება და პანკრეასის  $\beta$ -უჯრედებისათვის “რეგენერაციის” ფაზა იწყება (Lenzen, S., 2008).

ტესტოსტერონით (მეთილტრიენოლონით) 15-დღიანი მკურნალობის ფონზე (ალოქსანური დიაბეტის 31-ე დღიდან 45-ე დღის ჩათვლით) აღინიშნება პანკრეასის კუნძულების სტრუქტურულ ცვლილებათა რევერსია. ნამკურნალები ვირთაგვების პანკრეასის მორფოლოგიურმა კვლევამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გამოავლინა: ლანგერჰანსის კუნძულების უჯრედების რაოდენობამ და, შესაბამისად, სიმკვრივემ მოიმატა; ვაკუოლიზებულ უჯრედთა რიცხვი მკვეთრად შემცირდა, ერთეულამდეა შემცირებული ნეკროზული  $\beta$ -უჯრედების რაოდენობა. პანკრეასის კუნძულების უმრავლესობას აქვს თითქმის სწორი კონტურები და ნორმალურის მსგავსი უჯრედული შემადგენლობა (სურ. N12,13).




**სურათი N12,13.** ლანგერჰანსის კუნძულების უჯრედების რაოდენობის და სიმკვრივის მატება. შემცირებული ნეკროზული  $\beta$ -უჯრედების რაოდენობა. თითქმის სწორ კონტურებიანი და ნორმალურის მსგავსი პანკრეასის კუნძულების უჯრედული შემადგენლობა. H&E. ობიექტივი  $\times 20$  ოკულარი  $\times 15$ .

მთლიანად ლანგერჰანსის კუნძულების ფართობი ალოქსანური დიაბეტის მე-15, 30-ე და 45-ე დღეებზე სარწმუნოდ შემცირებულია, საკონტროლო ჯგუფის

ცხოველების ამავე მაჩვენებლებთან შედარებით, თუმცა ერთმანეთისაგან სარწმუნოდ არ განსხვავდება (დიაგრამა N1).

ამ კუნძულებში ნეკროზული უბნების ფართობი (რაც, პრაქტიკულად შეესაბამება ნეკროზული  $\beta$ -უჯრედების ჯამურ ფართს), ალოქსანური დიაბეტის მე-15, 30-ე და 45-ე დღეებზე სარწმუნოდ მატულობს საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ამავე მაჩვენებლებთან შედარებით, თუმცა ერთმანეთისაგან სარწმუნოდ არ განსხვავდება (დიაგრამა N1; სურათი N10,11).

ამასთანავე, IV საკვლევი ჯგუფის ცხოველების (რომელთაც ალოქსანური დიაბეტის მოდელირების 31-ე დღიდან 45-ე დღის ჩათვლით უტარდებოდათ მკურნალობა სინთეზური ტესტოსტერონით - მეთილტრიენოლონით) პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულებში დასტურდება საერთო ფართობის ზრდა და ნეკროზული უბნების ფართობის შემცირება და ამ მახასიათებლების დაახლოება საკონტროლო ჯგუფის მაჩვენებლებთან (დიაგრამა N1).



**დიაგრამა N1.** პანკრეასის ლანგერჰანსის კუნძულების ფართობისა და ამ კუნძულებში ნეკროზული უბნების ფართობის ცვლილების დინამიკა ალოქსანური დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ.


როგორც პანკრეასის კუნძულების, ისე მათში ნეკროზული უბნების ფართობის გაზომვა ხდებოდა ელაიატ-ის და თანაავტორთა გამოცდილების გათვალისწინებით (Elayat A., et al., 1995). ღვიძლი არის ერთ-ერთი ყველაზე

მნიშვნელოვანი ორგანო რომელიც ჩართულია ენერგეტიკული ჰომეოსტაზის რეგულაციაში. ამდენად, ბუნებრივია, რომ მასში ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის პირობებში ვითარდება ცვლილებები.

ღვიძლის ქსოვილის დაზიანება (დეგენერაციული ცვლილებები, ფირფიტების დისკომპლექტაცია, სტაზი, ინფილტრაცია) ალოქსანური დიაბეტის ყველა ვადაზე შეფასებული იქნა „2“ და „3“ ბალით (ხუთბალიანი ვიზუალური სკალის გათვალისწინებით, სადც „1“ შეესაბამება „ნორმა“-ს (პრაქტიკულად ცვლილებების გარეშე), ხოლო „5“ – „მძიმე დეგენერაციულ“ (ნეკროზულ) ცვლილებებს.

ჰეპატოციტებში აღმოჩენილი წვრილ- და მსხვილმარცვლოვანი დეგენერაცია, იშვიათად კი - ცხიმოვანი ჩანართების არსებობა და ვაკუოლიზაცია, ასევე, აპოპტოზური სხეულაკების გაჩენა, წარმოადგენს ალოქსანით გამოწვეული დისმეტაბოლიზმის შედეგს. ეს მონაცემები ეთანხმება ს. ლენზენის მიერ აღწერილ მონაცემებთან ღვიძლის ქსოვილის დაზიანების თაობაზე სტრუქტოზოტოცინით გამოწვეული შაქრიანი დიაბეტის პირობებში, თუმცა, სტრუქტოზოტოცინის ინიექციის შემდეგ შაქრიანი დიაბეტის მოდელის განვითარების დინამიკა გაცილებით სწრაფია (Lenzen, S., 2008). ალოქსანური დიაბეტის მე-15, 30-ე და 45-ე დღეზე გამოვლენილი ღვიძლის დაზიანებები ერთმანეთისაგან პრინციპულად არ განსხვავდება. ტესტოსტერონით (მეთილტრიენოლონით) 15-დღიანი მკურნალობის ფონზე (ალოქსანური დიაბეტის 31-ე დღიდან 45-ე დღის ჩათვლით) აღინიშნება ღვიძლის ჰისტოლოგიური სურათის ნორმალიზაცია, რაც შეიძლება შეფასდეს „1“ ბალით; მხოლოდ ზოგიერთ უბნებში იქნა ნანახი ცვლილებები, რომელიც შეესაბამებოდა „2“ ბალს (სურათი N14).





**სურათი N14.** ღვიძლის ქსოვილი ალოქსანური დიაბეტის მე-15 დღეს (ა), 30-ე დღეს (ბ), 45-ე დღეს (გ) და მეთილტრიენოლონით მკურნალობის 15 დღის შემდეგ (დ). H&E. ობიექტივი x20 ოკულარი x15.

**ბიოქიმიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური ცვლილებები ალოქსანური დიაბეტის დინამიკაში და მისი მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ.**

როგორც ჩვენი ბიოქიმიური კვლევის შედეგები უჩვენებს, ალოქსანური დიაბეტი იწვევს გლუკოზის, კორტიკოსტერონისა და ესტრადიოლის კონცენტრაციის მატებას სისხლში; ეს მატება, დიაბეტის თითოეულ ვადაზე, სტატისტიკურად სარწმუნოა არა მხოლოდ საკონტროლო ჯგუფის მონაცემებთან შედარებით, არამედ, ექსპერიმენტის წინა ვადაზე დაფიქსირებულ მონაცემებთან შედარებითაც (ცხრილი N4; დიაგრამა N3).

**ცხრილი N4.** გლუკოზის, იმუნორეაქტიული ინსულინის (ირი), ტესტოსტერონის (T), ესტრადიოლის (E2), კორტიკოსტერონის შემცველობა სისხლში, ნუკლეინური მჟავების (დნმ და რნმ) სინთეზის აქტივობა, ანდროგენული რეცეპტორების (AR) ექსპრესია, ჰეპატოციტების პლოიდობა.


ჯგუფები	1	2		3		4		5	
	საკონტროლო ჯგუფი (n=20)	I სამიზნე (საკვლევი) ჯგუფი დიაბეტი - 15 დღის (n=20)	p value	II სამიზნე (საკვლევი) ჯგუფი დიაბეტი - 30 დღის (n=20)	p value	III სამიზნე (საკვლევი) ჯგუფი დიაბეტი - 45 დღის (n=20)	p value	IV სამიზნე (საკვლევი) ჯგუფი დიაბეტი - 45 დღის (მეთილტრიენოლონით 15 დღიანი მკურნალობის შემდეგ) (n=20)	p value
გლუკოზა მმოლი/ლ	5.10 (4.90-5.20)	12.30 (10.80-12.85)	<0.0001*	13.35 (12.90-13.60)	<0.0001* <0.0004**	15.00 (14.55-15.60)	<0.0001* <0.0001** <0.0001***	11.35 (10.54-12.11)	<0.0001* 0.08** <0.0001*** <0.0001****
ირი მიკრომოლ/ლ	23.30 (22.35-24.10)	12.42 (11.89-13.06)	<0.0001*	5.00 (4.70-5.40)	<0.0001* <0.0001**	4.72 (4.63-4.88)	<0.0001* <0.0001** 0.05***	4.90 (4.59-5.05)	<0.0001* <0.0001** 0.14*** 0.32****
T ნგ/მლ	2.63 (2.59-2.69)	1.73 (1.68-1.80)	<0.0001*	1.38 (1.34-1.44)	<0.0001* <0.0001**	1.38 (1.31-1.41)	<0.0001* <0.0001** 0.61***	2.40 (2.34-2.47)	<0.0001* <0.0001** <0.0001*** <0.0001****
E <sub>2</sub> ნგ/მლ	0.015 (0.013-0.016)	0.019 (0.017-0.020)	<0.0001*	0.023 (0.021-0.025)	<0.0001* <0.0001**	0.032 (0.031-0.034)	<0.0001* <0.0001** <0.0001***	0.019 (0.017-0.021)	<0.0001* 0.18** <0.0001*** <0.0001****
კორტიკოსტერონი ნგ/მლ	12.83 (11.72-13.45)	18.58 (17.90-19.03)	<0.0001*	22.15 (21.24-22.53)	<0.0001* <0.0001**	23.90 (22.05-24.85)	<0.0001* <0.0001** 0.005***	20.45 (19.60-20.95)	<0.0001* <0.0001** <0.0001*** <0.0001****
დნმ იმპ. გრ/წთ	180846 (180816-180872)	101276 (101272-101283)	<0.0001*	121163 (121157-121170)	<0.0001* <0.0001**	106698 (106683-106711)	<0.0001* <0.0001** <0.0001***	150096 (150086-150106)	<0.0001* <0.0001** <0.0001*** <0.0001****
რნმ იმპ. გრ/წთ	324909 (324870-324963)	230701 (230671-230712)	<0.0001*	259956 (259949-259962)	<0.0001* <0.0001**	243700 (243687-243714)	<0.0001* <0.0001** <0.0001***	282696 (282683-282707)	<0.0001* <0.0001** <0.0001*** <0.0001****
AR იმპ. გრ/წთ	1673.17 (1636.69-1705.25)	1885.95 (1876.15-1894.55)	<0.0001*	1121.86 (1109.23-1135.32)	<0.0001* <0.0001**	1003.43 (997.68-1013.45)	<0.0001* <0.0001** <0.0001***	1509.53 (1498.20-1516.34)	<0.0001* <0.0001** <0.0001*** <0.0001****
ჰეპატოციტების პლოიდობა (%) <sup>x</sup>	55,6/31,7/1,1	61,7/24,3/0,7	0.001*	72,3/18,2/0,5	<0.0001* <0.0001**	77,3/10,7/0,2	<0.0001* <0.0001** <0.01***	59,2/25,5/0,9	<0.0001* <0.0001** <0.0001*** <0.0001****

მედიანა წარმოდგენილია შესაბამის- კვარტილთა შორის ინტერვალით - interquartile ranges (IQR). შედარება ხდებოდა Mann-Whitney U ტესტის გამოყენებით. P -ს მნიშვნელობა 0,05-ზე ნაკლები მიჩნეული იყო სტატისტიკურად სარწმუნოდ.


\* ნიშნის რაოდენობა მიუთითებს ჯგუფზე, რომელთა მონაცემებსაც ედარება კონკრეტული ჯგუფის მონაცემები.

<sup>x</sup> პროცენტული მაჩვენებელი დიპლოიდური/ ტეტრაპლოიდური/ ოკტოპლოიდური ღვიძლის უჯრედების.


ალოქსანის ინიექციის შემდეგ, ინსულინისა და ტესტოსტერონის კონცენტრაციებმა ექსპერიმენტის მე-15 დღეს სარწმუნოდ დაიკლო ნორმის (საკონტროლო ჯგუფის) მაჩვენებლებთან შედარებით, ხოლო ექსპერიმენტის 30-ე დღეს - მე-15 დღის მაჩვენებლებთან შედარებით (დიაგრამა N5);




**დიაგრამა N2.** გლუკოზის, იმუნორეაქტიული ინსულინის (ირი) კონცენტრაცია (პროცენტებში) მამრი ვირთაგვების სისხლში - ნორმულად, ალოქსანური დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ.




**დიაგრამა N3.** კორტიკოსტერონის, ესტრადიოლის (E2) და ტესტოსტერონის (T) კონცენტრაცია (პროცენტებში) მამრი ვირთაგვების სისხლში - ნორმულად, ალოქსანური დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ.



**დიაგრამა N4.** დნმ და რნმ სინთეზის აქტივობა და ანდროგენული რეცეპტორების ექსპრესია მამრი ვირთაგვების ღვიძლში - ნორმულად, ალოქსანური დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ.



**დიაგრამა N5.** გლუკოზის, იმუნორეაქტიული ინსულინის (ირი), ესტრადიოლის (E2), ტესტოსტერონის (T) და კორტიკოსტერონის კონცენტრაციათა ცვლილებების დინამიკა (პროცენტებში) მამრი ვირთაგვების სისხლში- ნორმულად, ალოქსანური დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ. (შენიშვნა: წყვეტილი ხაზებით ნაჩვენებია მონაცემები მკურნალობის შემდეგ).



**დიაგრამა N6.** დნმ და რნმ სინთეზის აქტივობის და ანდროგენული რეცეპტორების ექსპრესიის მაჩვენებელთა დინამიკა მამრი ვირთაგვების ღვიძლში - ნორმულად, ალოქსანური დიაბეტის სხვადასხვა ვადაზე და მეთილტრიენოლონით მკურნალობის შემდეგ. (შენიშვნა: წყვეტილი ხაზებით ნაჩვენებია მონაცემები მკურნალობის შემდეგ).

ამასთანავე, ალოქსანის ინიექციიდან 45-ე დღეს დაფიქსირებული მონაცემების განსხვავება 30-ე დღის მონაცემებთან - სტატისტიკურად სარწმუნო აღარ არის.

ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეიძლება უკავშირდებოდეს ალოქსანის დამაზიანებელი ეფექტის „ამოწურვას“ 45-ე დღისათვის (Lenzen S., 2008). ინსულინის კონცენტრაციის შემცირების პარალელურად ტესტოსტერონის კონცენტრაციის შემცირება თანხმობაშია მრავალი გამოკვლევის შედეგთან, რომლებიც ამასვე მიუთითებს არა მხოლოდ ექსპერიმენტში, არამედ კლინიკაშიც (Pitteloud et al., 2005b; Kandeel et al., 2007; Grossmann et al., 2008).

ჰიპერგლიკემიის პირობებში, გლუკოზის გაზრდილი რაოდენობა აღწევს ჰეპატოციტებში (ინსულინი არაა საჭირო გლუკოზის ჰეპატოციტებში შესვლისათვის, ის საჭიროა უჯრედის შიგნით მისი უტილიზაციისთვის) (Kelly

D.M. and Jones T.H., 2013), რაც ხელს უწყობს დიდი რაოდენობით ჰიდროქსილის რადიკალების წარმოქმნას. ეს, თავის მხრივ, ზრდის BAX (Bcl-2-associated X protein) პროტეინის რაოდენობას. BAX ასტიმულირებს მიტოქონდრიიდან ციტოქრომ-C-ს გამოთავისუფლებას, რაც რთავს აპოპტოზის კასკადს: აქტიურდება კასპაზები (caspase) და ვითარდება აპოპტოზი (Francés et al., 2010).

ჰიპოინსულინიემიისა და, შესაბამისად, ჰეპატოციტებში გლუკოზის ათვისების დაქვეითების პირობებში აღძრული აპოპტოზის გამო უნდა კლებულობდეს დნმ-ისა და რნმ-ის სინთეზის ჯამური მაჩვენებელი. ეს დასტურდება ჩვენი ექსპერიმენტების შედეგებით, რომელთა თანახმადაც ალოქსანური დიაბეტის მოდელის შექმნიდან მე-15 დღეს ღვიძლში კლებულობს როგორც დნმ-ის სინთეზი (44%-ით), ასევე რნმ-ის სინთეზი (29%-ით). მსგავსი ვითარება აღინიშნება შაქრიანი დიაბეტის სხვა ვადებზეც (დიაგრამა N4;6).

რადიონერტული მეთილტრიენოლონის შეყვანის შემდეგ გლუკოზის მაჩვენებელი სარწმუნოდ კლებულობს და სტატისტიკურად აღარ განსხვავდება ექსპერიმენტის მე-15 დღის მაჩვენებლისაგან. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ტესტოსტერონი ჰეპატოციტებში ასტიმულირებს ინსულინის რეცეპტორის I-რნმ-ის სინთეზს, რის შედეგადაც ჰეპატოციტის ზედაპირზე ძლიერდება ინსულინის რეცეპტორის ექსპრესია და ამით იზრდება ჰეპატოციტის მგრძობელობა ინსულინის მიმართ. ამის შედეგად ინსულინის მკვეთრად შემცირებული რაოდენობაც კი საკმარისი ხდება, რომ დაასტიმულიროს ჰეპატოციტებში შესული გლუკოზის უტილიზაცია (Kapoor et al., 2006; Sato et al., 2008). ამასთანავე, ინსულინი ასტიმულირებს აპოპტოზის მაინჰიბირებელ ცილას - XIAP (X-linked inhibitor of apoptosis protein), რომელიც „ამუხრუჭებს“ კასპაზებს და აჩერებს აპოპტოზის პროცესს (Francés et al., 2010). ჩვენი მონაცემები, რომლებიც მიუთითებს, რომ ეგზოგენური ანდროგენის შეყვანის შემდეგ მატულობს დნმ-ის



(24%) და რნმ-ის (8%) სინთეზის ინტენსიობა ღვიძლის უჯრედებში, ადასტურებს ამ მოსაზრებას (დიაგრამა N 4, 6).

ჩვენი მონაცემები ადასტურებს იმ კვლევათა შედეგებს, რომელთა თანახმადაც ტესტოსტერონით მკურნალობისას იზრდებოდა ინსულინ-რეცეპტორის mRNA დონე და ასევე ინსულინის მგრძობელობა ადამიანის ღვიძლის უჯრედში (Parthasarathy et al., 2009). მეტიც, ტესტოსტერონის ჩანაცვლებითი თერაპია კასტრირებულ ვირთაგვებშიც ზრდიდა mRNA ინსულინ-რეცეპტორის და ცილის დონეს ღვიძლში და აკორექციებდა კასტრაციით გამოწვეულ გლუკოზის მეტაბოლიზმის დარღვევას (Moverare-Skrtic et al., 2006), იწვევდა რა გლიკოგენის სინთეზს (როგორც ინტაქტურ ასევე კასტრირებულ მამრ ვირთაგვებში) (Bergamini, 1975; Kelly D.M. and Jones T.H., 2013).

ცნობილია, რომ ტესტოსტერონი ამჟღავნებს ინსულინის მსგავს ეფექტს ცილების ანაბოლიზმის გაძლიერების თვალსაზრისითაც (Shahidi N.T., 2001), თუმცა, ამ მოქმედების მექანიზმი განსხვავებულია და ეფუძნება ტესტოსტერონის მონაწილეობას GLUT2-ის ტრანსკრიპციასა და ჰექსოკინაზისა და ფოსფოფრუქტოკინაზის ენზიმური აქტივობის ზრდაში (Sato et al., 2008).

ვარაუდობენ რომ ტესტოსტერონს შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი ეფექტი GLUT2-ის ტრანსკრიფციაზე და mRNA-ის ტრანსლაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ანდროგენ-რეცეპტორი არ არის იდენტიფიცირებული GLUT2-ის პრომოტორულ რეგიონში, ანდროგენ-რეცეპტორს შეუძლია ფუნქციონირება როგორც ლიგანდ გამააქტიურებელ ტრანსკრიფციის ფაქტორს და GLUT2-ის ექსპრესიის გამოწვევა, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა გამააქტიურებლებთან კომბინაციაში (Yeh and Chang, 1996; Mcewan I.J. and Gustafsson J., 1997; Aarnisalo et al., 1998).

აღსანიშნავია, რომ ეგზოგენური ანდროგენის შეყვანა არ მოქმედებს ინსულინის კონცენტრაციაზე: მეთილტრიენოლონით მკურნალობის ფონზე




ინსულინის კონცენტრაცია არ იცვლება. ის არ განსხვავდება ალოქსანური დიაბეტის მოდელის არც 30-ე დღის, არც 45-ე დღის მაჩვენებლისაგან (ცხრილი N4; დიაგრამა N2). ეს ადასტურებს ადრე აღნიშნულ მოსაზრებას, რომ პანკრეასის კუნძულების  $\beta$ -უჯრედები მცირე რაოდენობით შეიცავენ ანდროგენ-რეცეპტორებს. ამის გამო, ალოქსანური დიაბეტის პირობებში, ეგზოგენური ანდროგენის უშუალო ეფექტი ენდოკრინულ პანკრეასზე (მის გადარჩენილ და/ან ნაკლებად დაზიანებულ  $\beta$ -უჯრედებზე) ნაკლებია. ამასთანავე, სიმსივნური დაავადების დროს პანკრეასის  $\beta$ -უჯრედებში ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობა მატულობდა (Li et al., 2008), რაც ადასტურებს ამ რეცეპტორების „შენიღვის“ და „განნიღვის“ შესაძლებლობას. ალოქსანური დიაბეტი სიმსივნური დაავადებისაგან განსხვავებით, არ იწვევს ამ უჯრედების ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობის ზრდას.

სხვა სურათია ღვიძლის ქსოვილში. ალოქსანური დიაბეტის მოდელირებიდან 31-ე დღეს დაწყებული მეთილტრიენოლონის ყოველდღიური ინიექციები, მკურნალობის დაწყებიდან 15 დღის შემდეგ ადასტურებს, რომ დნმ-ის და რნმ-ის სინთეზის გაძლიერებას თან ახლავს პოლიპლოიდური ჰეპატოციტების რაოდენობის ზრდა ალოქსანური დიაბეტის 30-ე და 45-ე დღესთან შედარებით (სურათი N15ა,ბ); ამასთანავე, არ ფიქსირდება Ki-67 დადებითი ჰეპატოციტების რაოდენობის ზრდა.

ამდენად, სახეზეა „მყარი“ პოლიპლოიდია - ჰეპატოციტების მიტოზების გააქტივების გარეშე. ეს ფაქტი, რომლის ანალოგიც ჩვენ ვერ მოვიძიეთ ლიტერატურაში, შემდგომ კვლევასა და ადეკვატურ ინტერპრეტაციას საჭიროებს.

ჩვენი ექსპერიმენტის შედეგები მიუთითებს ალოქსანური დიაბეტის პირობებში ესტრადიოლის კონცენტრაციის სარწმუნოდ მატებას ტესტოსტერონის კონცენტრაციის შემცირების ფონზე. ეს უნდა ასახავდეს რთულ

პათოფიზიოლოგიურ/პათოქიმიურ რეაქციათა შედეგს. კერძოდ, ალოქსანის მიერ განადგურებულ  $\beta$ -უჯრედებში მკვეთრად მცირდება ინსულინის რაოდენობას.



**სურათი N15.** ა) პოლიპლოიდია, ჰეპატოციტების მიტოზების გააქტივების გარეშე. აღინიშნება დიპლოიდური და ტეტრაპლოიდური ჰეპატოციტების ერთობლიობა. H&E. ობიექტივი  $\times 20$ , ოკულარი  $\times 15$ . ბ) იგივე სურათი, დამუშავებული ფოტომოპით. დიპლოიდური ბირთვების ნიმუშები შემოხაზულია მწვანედ, ტეტრაპლოიდური ბირთვების - წითლად.

ინსულინის ნაკლებობის გამო ვეღარ სტიმულირდება ტესტოსტერონის სინთეზი. ტესტოსტერონის შემცირებული კონცენტრაცია ვეღარ ახერხებს ფერმენტ ლიპოპროტეინ ლიპაზას ინჰიბიციას. ეს ფერმენტი, რომელიც მოთავსებულია ცხიმოვანი ქსოვილის კაპილარების ენდოთელიუმის მემბრანაზე, ცხიმებით მდიდარი ქილომიკრონისა და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინებისაგან (VLDL) გამოათავისუფლებს ტრიგლიცერიდებს, რომლებიც აღწევს და ლაგდება ადიპოციტებში. ასეთ პირობებში, ადიპოციტებში აქტიურდება ფერმენტი არომატაზა, რომელიც, თავის მხრივ, ისედაც შემცირებულ ტესტოსტერონს გარდაქმნის ესტროგენად (Hayes et al., 2000; 2001).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ესტრადიოლის კონცენტრაცია, რომელიც მომატებულია ექსპერიმენტის ყველა ვადაზე, მეთილტრიენოლონის ინიექციის შემდეგ იკლებს.

წარმოდგენილი მონაცემები ადასტურებს, რომ სასქესო სტეროიდების რაოდენობრივი ცვლილებები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინსულინისა

და გლიკემიის დონეზე. სასქესო ჰორმონების მატება და სექს-ჰორმონ შემაკავშირებელი გლობულინი (SHBG) კავშირშია ჰიპერინსულინემიასთან (Haffner et al., 1988), ხოლო ტესტოსტერონის დაბალი დონე ხელს უწყობს ინსულინრეზისტენტობის განვითარებას (Pitteloud et al., 2005a).

ჩვენ მიერ რადიომეტრიული მეთოდით ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები აჩვენებს, რომ ალოქსანური დიაბეტის მე-15 დღეს ღვიძლის უჯრედებში აქტიური ანდროგენული რეცეპტორების ექსპრესიის მაჩვენებელი მატულობს. ეს ფაქტი, ვფიქრობთ, შეიძლება აიხსნას იმით, რომ ტესტოსტერონის შემცირება იწვევს აქტიური რეცეპტორების გამოთავისუფლებას და შედეგად მათ მომატებულ ექსპრესიას რადიოაქტიური  $H^3$  ტესტოსტერონის დამატების შემდეგ (იხ. მასალა და მეთოდები). ამასთანავე, შაქრიანი დიაბეტის შემდგომ ვადებზე, ტესტოსტერონის დეფიციტის შენარჩუნების ფონზე, ანდროგენ-რეცეპტორების ექსპრესიის მაჩვენებელი კლებულობს, რაც შეიძლება აიხსნას მათი შენიღბვით («маскировка») (Moudgil V.K., 1988; Теппермен Д. and ТепперменХ.,1989). 15 დღის განმავლობაში სინთეზური ანდროგენით მკურნალობა და ტესტოსტერონის კონცენტრაციის გაზრდილი რაოდენობა სისხლში იწვევს ამ რეცეპტორების „განნიღვას“ («демаскировка») და მათ აქტივაციას. გააქტიურებული რეცეპტორები უკავშირდება რადიოაქტიურ  $H^3$  მეთილტრიენოლონს, რაც, ცხადია, აისახება ანდროგენული რეცეპტორების ექსპრესიის გაზრდილი მაჩვენებლით ღვიძლის ქსოვილში.F

ჩვენი მონაცემებით, მეთილტრიენოლონის შეყვანის და პლაზმური ტესტოსტერონის კონცენტრაციის ნორმის მაჩვენებელთან მიახლოების შედეგად აღინიშნება ანდროგენ-რეცეპტორების გაზრდილი ექსპრესია, თუმცა, ის ნორმის მაჩვენებელს ვერ უბრუნდება (დიაგრამა N4,6). მიუხედავად იმისა, რომ მისი რაოდენობრივი ზრდა ხელს უწყობს ღვიძლში ფუნქციური და ადაპტაციურ-

კომპენსაციური მექანიზმების აღდგენის პროცესების გააქტიურებას (Смирнов Н., 2009).

თუმცა, ანდროგენ-რეცეპტორები ფართოდ არის წარმოდგენილი მამაკაცის და ქალის ღვიძლში, ასევე, მამრი და მდედრი მღრღნელების ღვიძლში, მისი რაოდენობა დამოკიდებულია სქესზე. დადასტურებულია, რომ ანდროგენ-რეცეპტორის ექსპრესია მოზრდილი მამრი ვირთაგვების ღვიძლში დაახლოებით 20-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მდედრი ვირთაგვების ღვიძლში (Chatterjee et al., 1996). ამასთანავე, ანდროგენ-რეცეპტორის ექსპრესია ღვიძლში ორივე სქესისთვის დამოკიდებულია ასაკზეც. პრეპუბერტატულ ასაკამდე ანდროგენ-რეცეპტორების ექსპრესია ძალიან დაბალია, მეტიც, ხშირად თითქმის არ ვლინდება. მათი რაოდენობა მკვეთრად მატულობს პოსტპუბერტატულ პერიოდში, თუმცა, შემდგომ, ხანდაზმულ ასაკში თანდათანობით მცირდება და 22-24 თვის ვირთაგვებში თითქმის შეუძლებელი ხდება მათი გამოვლენა (Supakar P.C. and Roy A.K., 1996). ეს ადასტურებს, რომ ანდროგენ-რეცეპტორები დინამიკური სტრუქტურებია, ახასიათებთ წარმოქმნა და დაშლა (გაქრობა) ან, როგორც ზემოთ აღინიშნა - „შენიღბვა“ და „განნიღბვა“. ამასთანავე, მათი წარმოქმნა და „გაქრობა“ კორელაციაშია ტესტოსტერონის კონცენტრაციასთან.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენი საკვლევო ცხოველების სქესი და ასაკი, ვფიქრობთ ოპტიმალურად შეესაბამებოდა კვლევის ამოცანებს.

თუ ჩვენი კვლევის შედეგებს შევაჯერებთ ლიტერატურის მონაცემებთან (Shen M. and Shi H., 2015), შეიძლება დავასკვნათ, რომ მამრებში ტესტოსტერონი ანდროგენ-რეცეპტორების „გზის“ მეშვეობით ზრდის ინსულინ-რეცეპტორების ექსპრესიას და გლიკოგენის სინთეზს, ამცირებს გლიკემიასა და ლიპოგენეზს და ხელს უწყობს ქოლესტეროლის დაგროვებას ღვიძლში. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასქესო ჰორმონის რეცეპტორებზე, კერძოდ, ანდროგენ-

რეცეპტორებზე ზემოქმედება შეიძლება შეიცავდეს, შაქრიანი დიაბეტის კომპლექსური მკურნალობის ახალ, პოტენციურ პერსპექტივას.

ალოქსანური დიაბეტის დინამიკაში სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მატება თანხვედრაშია ადაპტაციური ჰორმონის - კორტიკოსტერონის კონცენტრაციის მატებასთან. ეს მატება შეიძლება გამოწვეული იყოს უჯრედების მიერ გლუკოზის ვერ-ათვისებით: ასეთ ვითარებაში კორტიკოსტერონის რაოდენობის მატება შეიძლება იყოს კომპენსატორული: ის ასტიმულირებს გლუკონეოგენეზს - პროცესს, რომელიც ირთვება გლუკოზის ნაკლებობისას, და რომლის დროსაც ცხიმებიდან და ამინომჟავებიდან უჯრედები თავად წარმოქმნის გლუკოზას (Imai et al., 1993; Andrews R.C. and Walker B.R., 1999; Kinote et al., 2012).

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ალოქსანური დიაბეტი ცვლის სისხლში როგორც სასქესო სტეროიდების, ისე ადაპტაციური ჰორმონის - კორტიკოსტერონის კონცენტრაციას, რაც ადასტურებს „მეტაბოლური სტრესის“ არსებობას (Селятицкая В.Г., 2012). ეგზოგენურად შეყვანილი ანდროგენი კი, სარწმუნოდ ამსუბუქებს ამ სტრესის ეფექტს.

ეგზოგენური ანდროგენის შეყვანა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ფუნქციურად აქტიური ანდროგენ-რეცეპტორის ექსპრესიას, რომლებიც მონაწილეობს ჰეპატოციტებში დნმ-ისა და რნმ-ის სინთეზის გაძლიერებაში იმდენად, რომ ამ პროცესების ინტენსივობის მაჩვენებელს უახლოებს ნორმის (საკონტროლო ჯგუფის მონაცემების) მაჩვენებელს.

ამრიგად, ჩატარებული კვლევები ადასტურებს სინთეზური ანდროგენების დადებით ზემოქმედებას მამრ ვირთაგვებში ალოქსანური დიაბეტის დროს განვითარებულ მეტაბოლურ ცვლილებებზე.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ მეთილტრიენოლონით მკურნალობა ახდენს გლუკოზის კონცენტრაციის ნორმალიზაციას, ისე, რომ



პრაქტიკულად არ ცვლის პანკრეასული ინსულინის დონეს. იგივე შედეგი იქნა ნაჩვენები სხვა მკვლევარების მიერაც (Didebulidze et al., 2015).

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეთილტრიენოლონის (ტესტოსტერონი) ინიექციები ნაკლებად მოქმედებს უშუალოდ  $\beta$ -უჯრედებზე და მისი დადებითი მეტაბოლური ეფექტი ეფუძნება სხვა, ნაწილობრივ ზემოთ აღწერილ მექანიზმებს. ამას ხელს უნდა უწყობდეს ზემოთ აღნიშნული ფაქტი, კერძოდ, პანკრეასის  $\beta$ -უჯრედებში ანდროგენ-რეცეპტორების სიმცირე. სამაგიეროდ, ანდროგენ-რეცეპტორები უხვადაა კუნთებში, მათ შორის გულის კუნთში (Ruizeveld de Winter et al., 1991), (ანუ ქსოვილში/ორგანოში, რომლის უჯრედებშიც გლუკოზის სისხლიდან გადასვლა „ინსულინდამოკიდებული“ პროცესია), ასევე ღვიძლში (Shen M. and Shi H., 2015), რომლის უჯრედებშიც (ჰეპატოციტებში) სისხლიდან გლუკოზის გადასვლისათვის, ინსულინი არ არის საჭირო („ინსულინდამოუკიდებელი“ პროცესია). ინსულინის ნაკლებობისას, ტესტოსტერონი ზრდის გლუკოზის ტრანსპორტის სიჩქარეს მღრღნელების ჩონჩხის კუნთებში. ის, ინსულინისგან დამოუკიდებლად, ააქტიურებს cAMP-დამოკიდებული პროტეინ კინაზას, რომელიც ზრდის AMP კინაზა-1-ს, რაც ხელს უწყობს გლუკოზის ტრანსპორტს. ტესტოსტერონი ზემოქმედებს ჩონჩხის კუნთებში არსებულ ადენოზინ A1-ის რეცეპტორზე, რომელიც აუმჯობესებს გლუკოზოტოლერანტობას ვირთაგვებში (Kelly et al., 2016).

რაც შეეხება ტესტოსტერონის ზემოქმედების მექანიზმს ღვიძლის ქსოვილში, ის ზემოთ იქნა აღწერილი.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტესტოსტერონი დადებით გავლენას ახდენს ორივე ტიპის ქსოვილის/ორგანოს მეტაბოლიზმზე შაქრიანი დიაბეტის პირობებში.

## V თავი

### შეჯამება

მეტაბოლური სინდრომის, შაქრიანი დიაბეტისა და ანდროგენების დეფიციტის ურთიერთკავშირი ფართო განხილვის საგანია.

დადასტურებულია, რომ ტესტოსტერონის დეფიციტი იწვევს მეტაბოლურ სინდრომს, ინსულინრეზისტენტობას, შაქრიან დიაბეტ ტიპ 2-ს, ჰიპერგლიკემიას, ასევე დისლიპიდემიას და არტერიულ ჰიპერტენზიას, რაც, თავის მხრივ, ზრდის სისხლძარღვოვანი დაავადებების რისკს (Simon et al., 1997; Stellato et al., 2000; Oh et al., 2002; Dhindsa et al., 2004; Pitteloud et al., 2005a,b; Rhoden et al., 2005b; Corona et al., 2006; Kapoor et al., 2006, 2007; Selvin et al., 2007; Fukui et al., 2007, 2008; Stanworth et al., 2009; Traish et al., 2009; Yeap et al., 2009; Keating et al., 2012) და პირიქით, ტესტოსტერონის მაღალი კონცენტრაციის პირობებში ინსულინრეზისტენტობა მცირდება და შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი მნიშვნელოვნად დაბალია (Ding et al., 2006; Lage et al., 2007). ამასთანავე, ინსულინრეზისტენტობის მაჩვენებლის კლება უფრო მაღალ კორელაციაშია თავისუფალ ტესტოსტერონთან, ვიდრე საერთო ტესტოსტერონთან (Rhoden et al., 2005a,b; Basaria et al., 2006; Selvin et al., 2007).

დადასტურებულია, რომ სიმსუქნე და მასთან ასოცირებული ჰიპერინსულინემია ახდენს ტესტოსტერონის წარმოქმნის სტიმულაციას, მაგრამ, თრგუნავს სექს-ჰორმონ შემაკავშირებელი გლობულინის (SHBG) სინთეზს და აქედან გამომდინარე ამცირებს მოცირკულირე ტესტოსტერონის რაოდენობას (Kaufman et al., 2005; Eckel et al., 2005). SHBG-ის დაბალი დონე მიიჩნევა მეტაბოლური სინდრომის და შაქრიანი დიაბეტის განვითარების პროგნოზულ მაჩვენებელად (Laaksonen et al., 2004; Haring et al., 2009) და პირიქით (Muller et al., 2005).



შაქრიანი დიაბეტის მქონე მამაკაცებში ტესტოსტერონის მიღება ამცირებს გლუკოზის დონეს როგორც უზმოზე, ისე ჭამის შემდგომ, ასევე გლიკოზირებული ჰემოგლობინის დონეს (Boyanov et al., 2003; Ho et al., 2013), ინსულინ დამოკიდებულ პაციენტებში კი იძლევა ინსულინის დოზის შემცირების საშუალებას (Kapoor et al., 2006; Naharci et al., 2007).

ამ ფონზე, საინტერესოა აღინიშნოს, რომ კვლევების ერთი ჯგუფის შედეგები უარყოფს სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებას ტესტოსტერონით და მის გარეშე ნამკურნალევ პაციენტებს შორის, რომელთაც აღენიშნებათ მეტაბოლური სინდრომი და შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2. ეს მიუთითებს ამ მიმართულებით გამოკვლევების გაგრძელების აუცილებლობას.

ანდროგენების დეფიციტის პირობებში ინსულინისადმი რეზისტენტობა, სავარაუდოდ, დაკავშირებულია ინსულინის მიმართ ჩონჩხის კუნთების მგრძობელობის შეცვლასთან. ვირთაგვების კასტრაცია ჩონჩხის კუნთებში იწვევს გამოხატულ ინსულინრეზისტენტობას - ნორმოგლიკემიის და ჰიპერინსულინემიის პირობებში. ტესტოსტერონის ფიზიოლოგიური დოზებით მკურნალობა კი მთლიანად აღადგენს ინსულინის მიმართ დარღვეულ მგრძობელობას (Holmång A. and Björntorp P., 1992).

ტესტოსტერონს, გარდა ინსულინისადმი მგრძობელობაზე ზემოქმედების ეფექტისა, შესაძლოა ჰქონდეს უშუალო გავლენა პანკრეასზე და კერძოდ,  $\beta$ -უჯრედების ფუნქციონირებაზე. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ანდროგენების აღკვეთის თერაპიის შემდეგ ვლინდება გამოხატული ჰიპერგლიკემია და  $\beta$ -უჯრედების ფუნქციის უკმარისობა (Inaba et al., 2005), მაშინ, როდესაც კასტრირებული ცხოველების პანკრეასის უჯრედებში სტრუბტოზოტოცინით გამოწვეულ ადრეულ აპოპოტოზურ დაზიანებას ამუხრუჭებს ტესტოსტერონით ჩანაცვლებითი თერაპია (Morimoto et al., 2005).

ტესტოსტერონი მოქმედებს ანდროგენ-რეცეპტორის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს ლიგანდ-დამოკიდებულ ტრანსკრიფციის ფაქტორს. იმ მამრ თაგვებში, ასევე ადამიანის პანკრეასის ქსოვილის კულტურებზე, რომელთაც წინასწარ დაქვეითებული ჰქონდათ  $\beta$ -უჯრედების ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობა. ნანახია რომ ეს რეცეპტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლუკოზით სტიმულირებული ინსულინის სეკრეციის (GSIS) გაძლიერებაში. მექანიზმი ეფუძნება  $\beta$ -უჯრედებში cAMP ზრდას და პროტეინ კინაზა A-ს (PKA) აქტივაციას, რომელიც, თავის მხრივ, ზრდის GLP-1 (glucagon-like peptide-1) ეფექტს. ამ აღმოჩენას შეიძლება ჰქონდეს კლინიკური და ფარმაკოლოგიური მნიშვნელობა ასაკოვან მამაკაცებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პრევენციისათვის (Navarro et al., 2016). შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის დროს მსგავსი მექანიზმი ნაკლებად სავარაუდოა, ერთი მხრივ,  $\beta$ -უჯრედების მნიშვნელოვანი დაზიანების, ხოლო, მეორე მხრივ, მათში ანდროგენ-რეცეპტორების სიმცირის გამო (Winborn et al., 1987).

გლუკოზის ჰომეოსტაზის შესწავლამ 12 კვირის  $\beta$ ARKO- $y$  მამრ თაგვებში (ეს ის ასაკია, რომლის შემდეგაც თაგვებში ვითარდება დაგვიანებული სიმსუქნე და ინსულინრეზისტენტობა ტოტალური (ან ნაწილობრივი) ანდროგენ-რეცეპტორების დეფიციტის ფონზე) 9 კვირის განმავლობაში „western“ დიეტით ე.წ. გამოწვეული მეტაბოლური სტრესის პირობებში გამოავლინა ინსულინის კონცენტრაციის შემცირება და ჰიპერგლიკემია - როგორც უზმოზე, ისე საკვების მიღების შემდეგ. ამდენად, დადასტურდა, რომ თაგვებში, რომელთაც აღენიშნებათ  $\beta$ -უჯრედებში ანდროგენ-რეცეპტორების დეფიციტი, ვლინდება მიდრეკილება ინსულინის დეფიციტისადმი, ხოლო „Western“ დიეტის შემდეგ - აღინიშნება GSIS-ის (გლუკოზით სტიმულირებული ინსულინის სეკრეცია) შემცირება და გლუკოზოტოლერანტობის განვითარება, იმის მიუხედავად, რომ  $\beta$ -უჯრედების რაოდენობა არ იცვლება (Navarro et al., 2016).

მნიშვნელოვანია რომ, ანდროგენ-რეცეპტორების ინსულინოტროპული ფუნქცია ადამიანის პანკრეასის კუნძულებში ვლინდება ტესტოსტერონის ფიზიოლოგიური კონცენტრაციისას. ეს ადასტურებს, რომ ტესტოსტერონი მნიშვნელოვანია მამაკაცებში ნორმალური GSIS-სთვის. ანდროგენების ნაკლებობა იწვევს GSIS-ის დეფიციტს და ხელსაყრელ პირობებს ქმნის შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის განვითარებისთვის.

გლუკოზის კონცენტრაციის დაქვეითება ტესტოსტერონის ინიექციის შემდეგ აიხსნება იმით, რომ ტესტოსტერონი ზემოქმედებს ღვიძლის ანდროგენ-რეცეპტორებზე ხელს უწყობს ჰეპატოციტებში ინსულინ-რეცეპტორების m-RNA სინთეზს, რომელიც იწვევს ჰეპატოციტების მგრძობელობის გაზრდას ინსულინის მიმართ. ამ პირობებში ინსულინის მინიმალური კონცენტრაციაც საკმარისია რომ გაიზარდოს გლუკოზის მოხმარება ღვიძლის უჯრედების მიერ (Kapoor et al., 2006; Sato et al., 2008). ჩვენი კვლევის შედეგები ამ მოსაზრების დადასტურებას წარმოადგენს.

მამრებისგან განსხვავებით, მდედრების  $\beta$ -უჯრედებში ანდროგენ-რეცეპტორების ნაკლები რაოდენობა ვერ ცვლის GSIS-ს (Visakorpi et al., 1995), რადგანაც, სავარაუდოდ, მდედრებში ანდროგენების კონცენტრაცია შრატში და ქსოვილებში იმაზე ნაკლებია, ვიდრე საჭიროა ანდროგენ-რეცეპტორების გასააქტიურებლად (Mauvais-Jarvis F., 2011). ამასთანავე, იმის გამო, რომ ტესტოსტერონი გარდაიქმნება ესტროგენად, ეფექტი რომელიც მოსდევს ტესტოსტერონის ინიექციებს, დიდი ალბათობით შეიძლება წარმოადგენს ტესტოსტერონის არომატიზაციით მიღებული ესტროგენის ზემოქმედების შედეგს ესტროგენ-რეცეპტორებზე (Wong et al., 2010).

ტესტოსტერონის მაღალი კონცენტრაცია მამაკაცებში კორელაციაშია ინსულინის მიმართ გაზრდილ მგრძობელობასთან. ამასთანავე, ტესტოსტერონ 17 $\beta$  არომატიზაცია ესტრადიოლად (E2) მნიშვნელოვანია მამაკაცებში

ენერგეტიკული ჰომეოსტაზისათვის. ექსპერიმენტში კასტრირებულ მამრებს, რომელთაც უკეთებდნენ “სუფთა” ანდროგენს (DHT), რომელიც არ გარდაიქმნება ესტრადიოლად (E2), არ უვითარდებოდათ სიმსუქნე, იმ მამრებისგან განსხვავებით, რომელსაც უკეთებდნენ ტესტოსტერონს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ცხიმის დაგროვება კასტრაციის შემდეგ გამოწვეულია ტესტოსტერონის გარდაქმნით ესტრადიოლად, რაც გავლენას ახდენს ესტროგენ-რეცეპტორებზე (Hayes et al., 2000; Hayes et al., 2001). ეს დაკვირვება ეთანხმება ალოქსანით გამოწვეულ შაქრიანი დიაბეტის მოდელის კვლევისას ჩვენს მიერ მიღებულ მონაცემებს, რომლის თანახმადაც ესტრადიოლის კონცენტრაციის მატების პარალელურად იკლებს ტესტოსტერონის კონცენტრაცია.

ჩვენს ექსპერიმენტებში Wistar-ის ჯიშის მამრ ვირთაგვებში 200 მგ/კგ ალოქსანის ინტრაპერიტონეულად შეყვანის შემდეგ, ისევე როგორც Sprague-Dawley ჯიშის მდედრ ვირთაგვებში სტრეპტოზოტოცინის (STZ) 50 მმლ/ლ ინტრაპერიტონეალური ინიექციის შემდეგ, ლანგერჰანსის კუნძულებში ნანახი იქნა ნეკროზული  $\beta$ -უჯრედები; ამასთანავე, სტრეპტოზოტოცინური დიაბეტის მოდელზე იმუნოჰისტოქიმიურმა კვლევამ მძიმე დაზიანებები გამოავლინა შაქრიანი დიაბეტის ადრეულ სტადიაზე. ნაკლები ინტენსიობის დეგენერაციული ცვლილებები იქნა აღმოჩენილი ღვიძლში და თირკმელის მილაკების ეპითელიოციტებში.

ალოქსანის ან სტრეპტოზოტოცინის შეყვანა ზრდასრულ ვირთაგვებში იწვევს მძიმე ციტოტოქსიკური შაქრიანი დიაბეტის განვითარებას, რომელიც ძალიან გავს შაქრიან დიაბეტ ტიპი 1-ს. ვირთაგვების პანკრეასში  $\beta$ -უჯრედების მორფოლოგიური დაზიანებები თანდართულია გლუკოზურიით.

$\beta$ -უჯრედის კვდომა შეიძლება გამოვლინდეს ნეკროზით ან აპოპტოზით. მრავალი *in vitro* კვლევების საფუძველზე, მიჩნეულია, რომ  $\beta$ -უჯრედების აპოპტოზში ძირითადია კასპაზ დამოკიდებული აპოპტოზური გზა. Caspase-3

აპოპტოზის მთავარი მარკერია (Morgan et al., 1994; Morimoto et al., 2005; Furman, B.L., 2015).

ინსულინის ძირითად მეტაბოლურ ფუნქციას წარმოადგენს გლუკოზის ტრანსპორტის გაზრდა განივზოლიანი კუნთების უჯრედებში (მათ შორის მიოკარდიუმის უჯრედები), სადაც გლუკოზა ინახება როგორც გლიკოგენი ან იჟანგება ატფ-ის წარმოსაქმნელად, და ადიპოციტებში, სადაც ინსულინი ახდენს ლიპიდების სინთეზის სტიმულაციისა (ლიპოგენეზი) და ლიპიდების დაშლის (ლიპოლიზი) შეფერხებას (Kelley et al., 1996).

ღვიძლში ინსულინი და გლუკაგონი საპირისპიროდ მოქმედებენ გლუკოზის ჰომეოსტაზზე. შიმშილის დროს ინსულინის დაბალი დონე და გლუკაგონის მაღალი დონე ხელს უწყობს ღვიძლში გლუკონეოგენეზს და გლიკოგენოლიზს, რაც ხელს უშლის ჰიპოგლიკემიის განვითარებას. ამდენად, უზმოდ გლუკოზის დონე განისაზღვრება ღვიძლის მიერ გამომუშავებული გლუკოზით. ჭამის შემდეგ, გლუკოზა მთავარი ფაქტორია, რომელიც ასტიმულირებს ინსულინის სინთეზს  $\beta$ -უჯრედებში და მის სეკრეციას. ინსულინი პერიფერიულ ქსოვილებში (ჩონჩხის კუნთებში და ცხიმოვან ქსოვილში) უკავშირდება ინსულინის რეცეპტორს, იწვევს უჯრედშიგა რეაქციების კასკადს, რომელიც ხელს უწყობს გლუკოზის ათვისებას და პოსტპრანდიული გლუკოზის უტილიზაციას, რითაც ინარჩუნებს გლუკოზის ჰომეოსტაზს (Ozougwu et al., 2013).

შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის დროს  $\beta$ -უჯრედები კარგავს უნარს ადეკვატურად უპასუხოს პერიფერიულ ინსულინრეზისტენტობას და ინსულინის სეკრეციაზე გაძლიერებულ მოთხოვნას. გლუკოზის გაზრდილი რაოდენობა ხელს უწყობს პრო-ანთებითი ციტოკინების სეკრეციას  $\beta$ -უჯრედებიდან, რაც იწვევს მონონუკლეარული უჯრედების გააქტიურებას და ადგილობრივი ციტოკინების პროდუქციის მომატებას. ამ პათოლოგიური ანთების შედეგად  $\beta$ -უჯრედების დისფუნქცია პროგრესირებს და დგება მათი სიკვდილი.

მიჩნეულია, რომ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მქონე მამაკაცები, რომელთაც ტესტოსტერონის დაბალი დონე აღენიშნებათ, შეუძლიათ ტესტოსტერონით მკურნალობით გაიუმჯობესონ მდგომარეობა - ასეთი დასკვნა იქნა გამოტანილი რანდომიზირებული, ორმაგი ბრმა, პლაცებო კონტროლირებადი კვლევის შედეგად, სადაც ტესტოსტერონით მკურნალობდნენ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ით დაავადებულ მამაკაცებს და სრულყოფილად იკვლევდნენ ინსულინრეზისტენტობის და ანთების როლს ტესტოსტერონით მკურნალობამდე და მკურნალობის შემდეგ. დადასტურებულ იქნა, რომ ტესტოსტერონის დაბალი დონე ასოცირდება ინსულინის მიმართ მგრძობელობის მნიშვნელოვან დაქვეითებასთან (Batra et al., 2014).

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თუ კლინიკური კვლევების აბსოლუტური უმრავლესობა სწავლობს ესტროგენების ეფექტს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის პირობებში, შაქრიანი დიაბეტის ექსპერიმენტულ მოდელებზე ანდროგენების დადებითი ეფექტი, იმის გათვალისწინებით, რომ ექსპერიმენტული დიაბეტი უფრო შეესაბამება დიაბეტ ტიპი 1-ს, მიუთითებს, რომ მამაკაცის სასქესო ჰორმონი დადებითად მოქმედებს არა მხოლოდ შაქრიანი დიაბეტ ტიპ 2-ზე, არამედ, ტიპ 1-ზეც. ამ მიმართულებით გამოჩნდა პირველი კლინიკური დაკვირვებებიც, რომლებიც ადასტურებს კვლევების გაგრძელების აუცილებლობას (Saad et al., 2015).

იმ კვლევების ანალიზი, რომლებიც შეისწავლის ანდროგენების მოქმედების მექანიზმს შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 და ტიპი 2-ის პათოგენეზში, იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ანდროგენების დამატება შეიძლება სხვადასხვა გზით ახდენდეს გავლენას შაქრიანი დიაბეტის დროს წარმოშობილ სხვადასხვა დარღვევებზე. ექსპერიმენტულ მოდელებში ანდროგენით მკურნალობის ეფექტი შეიძლება უკავშირდებოდეს ამ ჰორმონის ზეგავლენას



ღვიძლის უჯრედების ინსულინრეზისტენტობაზე და მათში გლუკოზის მეტაბოლიზმზე - ანდროგენ-რეცეპტორებზე ზემოქმედების გზით.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანდროგენებით შაქრიანი დიაბეტის სხვადასხვა ფორმების თერაპიის შესაძლებლობის კვლევა აქტიურ სამეცნიერო და პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ახალ მონაცემებს და საბოლოო ვერდიქტს ელოდება.

## დასკვნები

1. ალოქსანით გამოწვეული ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ მამაკაცის სასქესო ჰორმონის - ტესტოსტერონის - გამოყენების დადებითი ეფექტი მიუთითებს, რომ ტესტოსტერონი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული არა მხოლოდ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2-ის მართვისას (რაც დადასტურებულია მრავალი კლინიკური კვლევით), არამედ, ასევე ჩართულ იქნას შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1-ის კომპლექსურ მკურნალობაშიც (იმის გათვალისწინებით, რომ ალოქსანით გამოწვეული ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტი სწორედ ტიპი 1-ის მოდელს წარმოადგენს;
2. ალოქსანით გამოწვეული ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის მქონე ცხოველების ტესტოსტერონით მკურნალობა აკორექციებს მეტაბოლიზმურ დარღვევებს, რაც აისახება როგორც ბიოქიმიური მაჩვენებლების (გლუკოზის, იმუნორეაქტიული ინსულინის, სასქესო და სტეროიდული ჰორმონების), ისე პანკრეასისა და ღვიძლის მორფოლოგიური სტრუქტურის გაუმჯობესებით;
3. ალოქსანური დიაბეტის მოდელზე ტესტოსტერონის ზემოქმედება მულტიორგანულია და შეიძლება ხორციელდებოდეს განსხვავებული მექანიზმებით, მათ შორის ღვიძლის ანდროგენ-რეცეპტორებზე ზემოქმედებითა და იმ მექანიზმის ჩართვით, რომელიც ხელს უწყობს ინსულინრეზისტენტობის დაქვეითებას და გლიკოგენის სინთეზს;
4. ალოქსანური დიაბეტის მოდელირებიდან 15 დღის შემდეგ ჰეპატოციტების აქტიური ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობა საკონტროლო ჯგუფის ცხოველების მონაცემებთან შედარებით მომატებულია; შაქრიანი დიაბეტის მოდელირებიდან 30 და 45 დღის შემდეგ კი, აქტიური ანდროგენ-

რეცეპტორების რაოდენობა შემცირებულია როგორც საკონტროლო ჯგუფის, ისე 15-დღიანი შაქრიანი დიაბეტის მქონე ცხოველების მონაცემებთან შედარებით; ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობის შემცირება თანხვედრაშია ღვიძლის უჯრედებში დნმ-ის და რნმ-ის სინთეზის შემცირებასთან;

5. ალოქსანით გამოწვეული ექსპერიმენტული შაქრიანი დიაბეტის სამკურნალოდ მამაკაცის სასქესო ჰორმონის - ტესტოსტერონის - გამოყენება იწვევს აქტიური ანდროგენ-რეცეპტორების რაოდენობის მატებას, რასაც თან სდევს ღვიძლის უჯრედებში დნმ-ის და რნმ-ის სინთეზის გაძლიერება;
6. ტესტოსტერონის ინიექციების შედეგად ჰეპატოციტებში დნმ-ისა და რნმ-ის სინთეზის გაძლიერება აისახება არა ღვიძლის უჯრედების მიტოზების, არამედ პლოიდობის მატებით;

დანართი

ცხრილი N 3. ბიოქიმიური კლასების (გლუკოზა, იმუნორეაქტიული ინსულინი (ირი), ესტრადიოლი (E2), ტესტოსტერონი (T), კორტიკოსტერონი (კორ), დნმ, რნმ, ანდროგენ-რეცეპტორები (AR)) შედეგები

N	გლუკოზა კორტი	გლუკოზა-15	გლუკოზა-30	გლუკოზა-45	გლუკოზა-45 მუთ	ირი კორტი	ირი-15	ირი-30	ირი-45	ირი-45 მუთ	E2 კორტი	E2-15	E2-30	E2-45	E2-45 მუთ	T კორტი	T-15	T-30	T-45	T-45 მუთ	კორ კორტი	კორ-15	კორ-30	კორ-45	კორ-45 მუთ	დნმ კორტი	დნმ-15	დნმ-30	დნმ-45	დნმ-45 მუთ	რნმ კორტი	რნმ-15	რნმ-30	რნმ-45	რნმ-45 მუთ	AR კორტი	AR-15	AR-30	AR-45	AR-45 მუთ
1	5.20	12.00	14.0	15.1	11.2	23.80	12.40	5.00	4.70	4.90	0.014	0.018	0.023	0.030	0.022	2.63	1.65	1.38	1.40	2.43	13.60	18.95	22.20	21.80	19.30	180840.5	101286.5	121164.3	106678.4	150079.7	324944.6	230667.3	259955.5	243684.1	282689.6	1670.45	1882.25	1135.77	1005.95	1508.95
2	4.70	10.40	13.5	14.4	10.4	24.20	13.00	5.80	4.63	5.00	0.016	0.016	0.020	0.030	0.016	2.59	1.74	1.29	1.40	2.45	12.80	19.2	23.40	22.20	19.50	180862.2	101269.2	121145.1	106700.4	150119.3	324959.9	230767.2	259936.1	243708.3	282700.2	1675.85	1875.40	1117.68	996.90	1496.90
3	5.11	10.80	11.6	15.0	12.0	23.80	13.60	4.60	4.65	4.20	0.013	0.02	0.025	0.034	0.018	2.61	1.85	1.32	1.50	2.48	13.20	19.47	21.84	21.90	21.00	180845.6	101276.3	121183.6	106696.0	150099.0	324945.1	230956.6	259975.1	243732.5	282709.0	1599.90	1895.60	1125.20	1015.00	1525.00
4	5.10	13.00	12.5	16.5	12.2	22.50	12.00	4.50	4.70	4.40	0.015	0.019	0.024	0.031	0.016	2.63	1.72	1.35	1.52	2.32	13.80	17.73	21.45	25.40	20.80	180790.1	101281.5	121180.0	106710.9	150095.5	324875.2	230647.1	259954.4	243695.5	282680.9	1680.75	1900.80	1111.96	1010.20	1510.20
